# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 30 ნოემბერი, № 48 (2776) გამოცემის 59-ე წელი, 1990 ფასი 20 კაპ.



საქართველოს ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა


## სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

## სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის თაობაზე

იმსჯელა, რა „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციაზე“, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 14 ნოემბერს ერთხმად მიიღო კანონი გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ. კანონი ადასტურებს, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით აღდგენილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მიერ ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის გზით იქნა წართმეული. გამომდინარე ჩამოყალიბებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სტრუქტურებიდან, საქართველოს რესპუბლიკა ფაქტობრივად დღესაც რჩება სსრ კავშირის შემადგენლობაში, მაგრამ აღნიშნული სტრუქტურების რეორგანიზაციის გზით ესწრაფვის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

ამ პირობებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შესაძლებლად არ თვლის ხელი მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას და ამით თავის თავზე აიღოს რაიმე ვალდებულება. მხოლოდ როცა მოიპოვებს ნამდვილ დამოუკიდებლობას, მხოლოდ როცა გახდება სახელმწიფო ცხოვრების პოლიტიკურ და სხვა სფეროებში ჭეშმარიტად თავისი ბედის ბატონ-პატრონი და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ქართველმა ხალხმა შეიძლება აღჭურვოს რწმუნებით ხელი მოაწეროს რაიმე ხელშეკრულებას, ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან, რომელიც დაადგენს სახელმწიფოთა კავშირის ამა თუ იმ ფორმას.

ასეთი მიდგომა არ ნიშნავს უარის თქმას ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში ამა თუ იმ ქვეყანასთან თანამშრომლობის ნებისმიერ ფორმაზე, რომელთა უმრავლესობასთანაც საქართველოს კავშირი აქვს საუკუნეების განმავლობაში და დღესაც ნაყოფიერად თანამშრომლობს. ცხადია, რომ ახალ პოლიტიკურ პირობებში ეს თანამშრომლობა უნდა ეყრდნობოდეს თვისებრივად ახალ სამართლებრივ ბაზისს, რომელიც ითვალისწინებს სრულ თანასწორუფლებიანობასა და ურთიერთსარგებლიანობას.

უარს ამბობს რა ნებისმიერ ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე, რომელიც ითვალისწინებს „საკავშირო ორგანოსადმი“ დაქვემდებარების მინიმალურ ვერტიკალურ სტრუქტურასაც კი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მზად არის ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის თანასწორუფლებიანი ურთიერთობების საფუძველზე, რაც ასეთი ურთიერთობის მონაწილეთა კეთილდღეობამდე მიგვიყვანს.

ყოველივე ზემოთქმული საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საფუძველს აძლევს ამ ეტაპზე უარი თქვას „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციის“ დეტალურად განხილვაზე, რამდენადაც მისი ნებისმიერი ფორმა მიუღებელია საქართველოს რესპუბლიკისათვის, რომელიც ჯერ მხოლოდ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში იმყოფება.

ეს განცხადება მოწონებული და მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1990 წლის 22 ნოემბერი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბატონ ზვიად გამსახურდიას

**გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევას. გისურვებთ წარმატებას თქვენზე დაკისრებული იმ უმძიმესი ისტორიული მისიის შესრულებაში, რომელიც წილად გხვდათ საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის, სულიერი ამაღლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე.**

**გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ მხნეობას ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.**

საქართველოს ინდივიდუალურად მომუშავეთა და სამეურნეო-სამეცნიერო საქმიანობის ასოციაცია „შემოქმედი“.

### სრულიად საქართველოს. ახლად არჩეულ მრავალპარტიულ უზენაეს საბჭოს

**გულწრფელად გილოცავთ ყველას იმ დიდ გამარჯვებას, რაც საქართველოში ეროვნული პარლამენტის შექმნასთანაა დაკავშირებული.**

**კარგად გვესმის რამდენად საპასუხისმგებლო და ძნელია ახლად არჩეული დეპუტატებისათვის დღევანდელი საქართველოს ურთულეს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში საზოგადოებრიობის წინსვლისათვის მისიონერული როლის შესრულება, მისიისა, იხსნა დემოკრატიას ზიარებული, უზენაესი სამართლიანობის მაძიებელი, მრავალგზის მოტყუებული, ერთმანეთის პირისპირ დამდგარი ხალხი და ემსახუროს მას, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე საქართველოში აალორძინოს და განავითაროს თავისუფალი ცხოვრების ხალხისეული უფლებები.**

**გვწამს, ამ გზაზე ქართველი ერის ნება, რომელიც მრავალპარტიულ ეროვნულ პარლამენტშია გამოხატული, ნება კეთილშობილებისა და შემწყნარებლობისა — ერთადერთი ლამპარი იქნება, რომელიც გააცისკროვნებს საქართველოში მცხოვრები ყველა ერის დიადი სულის შინაგან სამყაროს საქართველოს სრული თავისუფლებისათვის ბრძოლის საკეთილდღეოდ.**

**დალოცვილი და კურთხეული ყოფილიყოს მრავალპარტიული უზენაესი საბჭოსა და მისი თავმჯდომარის, ჭეშმარიტად ხალხთან შესისხლხორცებული ადამიანის, ბატონ ზვიად გამსახურდიას სულისუფლების სათავეში მოღვაწეობა სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ.**

**ბორის ღუღაროვი,**
ოსური ასოციაცია „რასთძინადის“ (სიმართლე) თავმჯდომარე.

# ძვირფასო მკითხველებო!
# მოასწარით,
# დღეს ბოლო დღეა
# გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“
# 1991 წლისათვის გამოსაწერად.
# იჩქარეთ! იჩქარეთ! იჩქარეთ!

# გამოვაცხადოთ საქართველო

## მუხრან მაჭავარიანი

### ქილვაშა და ულვაშა, ანუ „ვაშა“, სულ „ვაშა“

ერთს ჰქონდა ულვაში,
მეორეს, — ქილვაშიც;
არიან შუაში,
რაც ხდება ცხინვალში.

ერთს ჰქონდა ულვაში,
მეორეს, — ქილვაშიც;
არიან შუაში,
რაც ხდება ქინვალში.

ერთს ჰქონდა ულვაში,
მეორეს, — ქილვაშიც;
არიან შუაში,
რაც ხდება შირვანში.

მიზანი ჩიხშია
შირვანშიც, ცხინვალშიც...
და ხალხი რიგშია
ქილვაშას ხილვაში.

10.XI.86.

### პასუხად იმ კაცს, რომელმაც მკითხა: — რა დაგიშავა?! — რას ერჩი მიშას?!

მიშას, — როგორ თუ, რას
ვერჩი?!—
ცრემლით იცვლება კისკისი;
დღეშია უკანასკნელში
ზოდი, დარკვეთი, იცქისი!

გრიშას, — როგორ თუ, — რას
ვერჩი?! —
ვით არ დამეწვას მე გული;
დღეშია უკანასკნელში
მტკვარი, არაგვი, ენგური!

გამჩენს, — როგორ თუ, — რას
ვერჩი?! —
გაჩნდნენ ახალი სერგონი;
დღეშია უკანასკნელში
მთლად საქართველო, მე მგონი!

23.X.88.

## მადლობა, უფალო, საქართველოს გადარჩენისთვის

ძვირფასო თანამემამულენო!

„თავისუფალ ერთა მძლე კავშირს“, საუკუნო მონობისთვის რომ ჰქონდა შეკრული „დიდ რუს ხალხს“, საბედისწერო ბზარი გაუჩნდა!

თვალ და ხელშუა ილუპება ბოროტების უკანასკნელი იმპერია! —

დაინგრა ბერლინის კედელი!

დაიშალა ვარშავის პაქტი!

არსებობა შეწყვიტა დახავსულმა ევროპის სოციალისტური ქვეყნების ბანაკმა!

სულს ღაფავს საბჭოთა იმპერია! — ხიშტებით მოტანილ ხელისუფლებას ახლა ტანკებით იცავენ!

„სოციალისტური სამშობლოს“, სანახევროდ გადაკეტილ ქუჩებში, ხალხი და ტანკები ერთმანეთს უყეფენ!..

ძვირფასო თანამემამულენო!

ფრთხილად უნდა ვიყოთ. უფსკრულის პირისკენ ზვავივით დაქანებულ ამ უზარმაზარ კომუნისტურ მანქანას, ყველასი და ყველაფრის დანთქმა შეუძლია!

ამ უმძიმეს ჟამს, ქართველებს „ხეიხმოლოგიურმა“ ინტუიციამ არ უნდა გვილალატოს! — ზვავს უსაფრთხოდ უნდა გავერიდოთ!

მადლობა ღმერთს, მთაგორიან ქვეყანაში გაზრდილ ხალხს, ზვავებში რომ არ მოვყვეთ, ამის გარკვევის საუკუნოვანი გამოცდილება გვაქვს!

დედამიწის ზურგზე ბევრი დიდა ერი დაითქა, ჩვენ კი, გენიალობამდე მისული ამ ინტუიციის წყალობით, ისევ ფეხზე ვდგავართ!

ძვირფასო თანამემამულენო!

ამიერიდან სხვათა იმედითაც ველარ ვიქნებით — „ჩვენ ჩვეხი უნდა ვშვათ მყოობადი“! — თორემ, ვისაც პატრონობა ვთხოვეთ, — ყველა გაგვიბატონდა!

გიხაროდენ!

ეროვნული კატასტროფის წინაშე მდგომ თავის წილხვდომ ქვეყანას, ღვთისმშობელმა და მისმა ღვთაებრივმა ძემ იმედის თვალით გადმოხედეს!

ღვთის ნება იყო, ქართველებმა, საბჭოთა კავშირში პირველებმა, მრავალპარტიული არჩევნები რომ გავმართეთ!

ღვთის ნება იყო, ქართველებმა, საბჭოთა კავშირში პირველებმა, ამ მრავალპარტიულ არჩევნებში „საუკუნის ჭირი“ — კორუმპირებული კომპარტია რომ დავამარცხეთ!

დიდის ღმერთის ნებით, ორი დიდი გამარჯვება სახეზეა!

იგი აუცილებლად უნდა გახამდეს!

თუ ღმერთი ისევ შეგვეწია, იქნებ მოხერხდეს და — **საქართველოს მთელი ტერიტორია უკომუნისტებო ზონად გამოვაცხადოთ!**

და ესეც, რაკი ამიერიდან ჩვენი მეგზური ძალდატანება ველარ იქნება, ღვთის ნებით და ღვთის შეწევნით უნდა მოხდეს!..

ღმერთო, თუ ამახაც მოგვანწრებ, „ლოცვად მუხლმოყრილი“ ყოველი ქართველის ბაგეთაგან, უპირველესად ეს სიტყვები მოწყდება:

— მადლობა, უფალო, საქართველოს გადარჩენისთვის!

**თამაზ წივწივაძე**

## ჩვენი სიცოცხლის ჭეშმარიტი აზრი

ხულ ხამიოდე წლის წინ სიზმარშიც ვერ ვნახავდით იმას, რაც დღეს საქართველოში გაცხადდა. ხამიოდე წლის კი არა, ხამიოდე თვის წინათაც ძნელად სარწმუნო იყო ის, რომ ურჩხული, რომელმაც ცეცხლითა და მახვილით მოიპოვა უსაზღვრო ძალაუფლება და თავის არსებობის პოლიტიკურ თუ ზნეობრივ ხატად სისხლის სმა და ძალმომრეობა აირჩია, ასე უსისხლოდ დასთმობდა პოზიციას. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: სამოცდაათი წლის ბატონობის შემდგომ საქართველოში კომუნისტურმა პარტიამ კრახი განიცადა, ნამდვილ დემოკრატიულ არჩევნებში, როცა ხალხმა შეძლო თავის ნების გამოხატვა, ის დამარცხდა.

დაიწყო ახალი ერა საქართველოს ისტორიაში: თანდათან იმსხვრევა კომუნისტური რეჟიმი, მკვიდრდება მმართველობის ახალი სისტემა. თავისთავად ეს იმდენად ეპოქალური მოვლენაა, რომ მისი არსის სრული გააზრება დღეს ძნელდება კიდეც და ალბათ მომავლის საქმეა.

დიახ, მოხდა ის, რასაც ჩუმის ნატვრით ნატრულობდა ქართველი. თავისუფლება კარს მოგვადგა. მაგრამ უკვდავების წყალს ასე იოლად როდი დათმობს ურჩხული. ყველას კარგად მოეხსენება, რომ წინ უფრო საშიში და ძნელად გასავლელი გზაა და, როგორც ზღაპარში, მით უფრო მეტად გართულდება, რაც უფრო მივუახლოვდებით მიზანს.

ბუნებრივია, რომ კრემლი ასე ადვილად ვერ შეელევა „მზიურ საქართველოს“. ის ყოველგვარ ფანდს იხმარს, რათა პირშიჩალაგამოვლებული დაგვტოვოს. რა-რა და მზაკვრობაში ტოლს არავის დაუდებენ. საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ირონია და გადაკრული სიტყვები, — საქართველოში მღელვარება დაიწყოო, ამის აშკარა დასტურია. ეტყობათ ცხრა აპრილი მოენატრათ იქ, ზემოთ. მიზეზს ეძებენ და მოძებნიან კიდეც, თუ გონებას არ მოვუხმეთ, თუ ჭეშმარიტად არ გავერთიანდით, თუ საქართველოს სისხლ-ხორცად არ ვიქეცით.

დღეს რომ უაღრესად რთული მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში, ყველას მოეხსენება. ბოლო ხანებში რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა, რათა დესტაბილიზაცია ჩვენი ცხოვრების ნორმად ექცია, უკანონობა დაეკანონებინა; ძარცვა-გლეჯა, ქურდობა, ავაზაკობა, გაუპატიურება, მკვლელობა და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი უმსგავსოება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ატრიბუტად იქცა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ჩვენში მომხდარ „უსისხლო რევოლუციას“ საზოგადოების გარკვეული ნაწილი — პირადი მტრობის, ამბიციების, ეგოცენტრიზმის თუ სხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ვიტყოდი, მტრულად ან, უკეთეს შემთხვევაში, ინერტულად შეხვდა, რასაც საყოველთაო აღფრთოვანების ნაცვლად მოჰყვა ვნებავერდამცხრალი დედაკაცების გესლიანი სისინი, კარიერისტ მამაკაცთა ნირწამხდარი ქირქილი, ყოფილ ფუნქციონერთა მალული თუ აშკარა პროტესტი, მტრულად განწყობილ ელემენტთა აუგი ქმედებანი და სხვა.... ერთი სიტყვით, ატმოსფერო, რომელშიც ახლა გვიხდება ყოფნა, დენთით არის დატენილი, საკმარისია ერთი ნაპერწკალი, რომ მეორედ მოსვლა დაიწყება.

მაშ, როგორღა მოვიქცეთ, ქალბატონებო და ბატონებო?!

ამ კითხვას ყველა ჩვენთაგანმა უნდა გასცეს პასუხი, და, ალბათ, ყველა ჩვენთაგანს საკუთარი აზრი და ფიქრი აქვს, ამიტომაც ჩემ საკუთარ პოზიციას მოგახსენებთ: უკან დასახევი გზა არ გაგვაჩნია, ან დღეს უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება ან სამუდამოდ დავიდგათ მონობის უღელი! ხოლო მონურ სიცოცხლეს რომ თავისუფალ ადამიანად სიკვდილი სჯობს, ეს ძველთაძველი შეგონებაა.

მოახლოებულ ქარიშხალს კი მხოლოდ ჩვენი ჭეშმარიტი სულიერი თუ ფიზიკური ერთობა გადაგვარჩენს, მოდით, ავმაღლდეთ პიროვნულზე მაღლა, დავივიწყოთ მტრობა და შური, მერწმუნეთ, დღეს, სწორედ დღეს, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება აზრისა და ფიქრის ერთი კეთილი მიზნისკენ მიმართვა. შეუმცდარი დედამიწაზე არავინ არის, იქნება ჩვენ ახლადარჩეულ პარლამენტსაც ეშლება რამე, ამის გამო მას ზურგს ნუ შევაქცევთ და ქირქილს ნუ მოვყვებით, ჩასაფრებულის პოზას ნუ დავიჭერთ. ყველამ ერთად ვილოცოთ, ყველამ ერთად ვაკეთოთ ის გადაუდებელი საქმე, რისი გაკეთებაც ხელგვეწიფება და, რაც, უპირველეს ყოვლისა, ერთიან, მთლიან საქართველოს წაადგება.

დასასრულს, ამ ერთგვარი პათეტიკური განცხადების შემდგომ (ამისათვის პატიებას ვთხოვ მკითხველს) მინდა მთელ ქართველ ხალხს მივმართო ასეთი წინადადებით: კომუნისტურმა პარტიამ რომ სიკეთე ვერ მოუტანა საქართველოს, ეს ყველამ კარგად ვუწყით. ახლა დადგა ჟამი, რომ ყოველივე ის ბოროტება, რაც ამ პარტიამ ჩვენს ხალხს არგუნა, გავაცნობიეროთ და ჩვენი სურვილით ზურგი ვაქციოთ მას. საქართველოა ის ქვეყანა, სადაც პირველად დაიწყო ეროვნული მოძრაობანი, საქართველოა ის ქვეყანა, სადაც პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები და კომუნისტური პარტიის ჰეგემონიას ბოლო მოეღო. **დაე, საქართველო იყოს ის ქვეყანა, სადაც სულ ცოტა ხანში კომუნისტური პარტიის არცერთი წევრი აღარ იქნება, აღარ დარჩება ძალა, რომელსაც ურჩხული თავის ბნელ საქმეების მოსაგვარებლად წარმართავს.** ჩემი სურვილი უფრო შორს მიდის, მე მინდა საქართველო არა მარტო კომუნისტური პარტიისგან თავისუფალ ზონად ვიხილო, არამედ „უპარტიულ“ ქვეყნადაც, სადაც ქართველები მხოლოდ ქართველობის ნიშნით გაერთიანდებიან და არ იქნება მათ შორის პარტიული შუღლი და ქიშპობა.

დასასრულს კვლავ გავიმეორებ უკვე ერთხელ ნათქვამ სიტყვებს: **საქართველოა ჩემი პარტია! ოღონდაც ამ ფორმულას ახლა ასე დავაზუსტებდი: საქართველო — ჩემი სიცოცხლის ჭეშმარიტი არსი და უმთავრესი მიზანი!**

**ელიზბარ ჯაველიძე**

მიმდინარე წლის 7 დეკემბერს მუშაობას განაახლებს საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა. დღეს საკმაოდ მომრავლდა დაწესებულებები, სადაც გააუქმეს პარტიული ორგანიზაცია. ბევრმა დატოვა სკკპ რიგები. ამის მიზეზი მრავალგვარია და მათ შეფასებას არ ვაპირებ. ჩემი პირადი აზრი კი არასოდეს შემიცვლია. იგი ჩამომიყალიბდა წლების მანძილზე საერთაშორისო და პარტიულ ორგანოებში მუშაობისას. საქართველოში კომუნისტური პარტიის ფუნქციონირების საკითხზე მე ჩემი აზრი არაერთხელ გამოვთქვი პარტიული ხელმძღვანელობის ყველა დონეზე, პარტიულ ფორუმებზე. შექმნილი ვითარების გამო არც მე, არც ჩემს მოსაზრებათა მხარდამჭერებს არ გვქონდა შესაძლებლობა იგივე გამოგვეთქვა ყრილობის პირველ ეტაპზე. იმედი მაქვს, რომ ყველასათვის საყვარელი „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველები, განსაკუთრებით მომავალი ფორუმის მონაწილეები, სალად შეხედავენ ქვემოთ თქმულს.

დარწმუნებული ვარ, რომ კომპარტიის ყრილობის ყველა მონაწილეს ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რა დიდმნიშვნელოვანი იქნება ამ ფორუმის გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც კომუნისტური პარტიის წევრის მანდატს ატარებს.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ ერთობაზე, კონსოლიდაციაზე, იმაზე, რომ საქართველოს სიძლიერე დამოკიდებულია არა ყოველი ჩვენთაგანის ადამიანურ თვისებებზე და, მით უმეტეს, პოლიტიკურ პოზიციაზე, არამედ მთელი ერის, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა მოქალაქის სამოქალაქო თანხმობაზე. ორი აზრი არ არსებობს — ეს ასეა. ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ადამიანი საქმემ უნდა წარმოაჩინოს. უპატიოსნო დარჩება უპატიოსნოდ, რა ფერის მანდატიც უნდა ედოს ჯიბეში ან, საერთოდ, არ ჰქონდეს. ეს — რაც შეეხება ცალკეულ პირებს. როდესაც ლაპარაკი გვაქვს ადამიანთა საკმაოდ დიდ ჯგუფზე, ამ შემთხვევაში კომუნისტური პარტიის წევრებზე, საერთოდ — კომუნისტურ პარტიაზე, ასეთი შეფასება აღარ გამოგვადგება იმ ხავსადაც კი, რომელსაც წყალწაღებული შეიძლება ჩამოეკიდოს. აქ შეფასება უნდა მიეცეს იმ იდეას, რომლის გარშემო ეს ხალხია შემოკრებილი, იმ პროგრამასა და წესდებას, რომლის „გაცნობითა და აღიარებით“ შეიქმნა და სიცოცხლეს განაგრძობს ყველაზე მასიური პოლიტიკური ორგანიზაცია.

მე არ ვაპირებ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებზე თეორიული, ყველასათვის მოსაბეზრებელი დისკუსიის გამართვას, უპრიანი იქნება თუ კომუნისტური პარტიის იდეას სახიერად, ფაქტიურად არსებული მდგომარეობით წარმოვადგენთ, — ეს დასკვნების გაკეთებას გაგვიადვილებს.

კიდევ ერთხელ მოვყვეთ თავიდან: რა როლი ითამაშა კომუნისტურმა პარტიამ თავისი კლასიკური გაგებით, მთელი თავისი იდეოლოგიური არსენალით. ძმათა შორის სისხლისღვრა, ეკონომიკის გაჩანაგება, განვითარების ისტორიული ლოგიკის უარყოფა და ამას გამო საზოგადოების ალოგიკური განვითარების წინაპირობების შექმნა, მსოფლიო ურთიერთობების დესტაბილიზაცია მოიტანა რუსეთის რევოლუციამ.

მისმა ექსპორტმა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებით დაამახინჯა ერების ტრადიციული სამეურნეო და ინტელექტუალური ურთიერთობები, სიღარიბესა და გაჩანაგებას აზიარა ერთიც და მეორეც, და დღემდე ასე მოვდივართ. ჩვენს ამგვარ ყოფას თვალნათლივ ხედავს დარწმუნებული ბოლშევიკიც, ნომინალური კომპარტიის წევრიც და უპარტიოც, მთელი ქვეყანა.

# კომუნისტებისაგან თავისუფალ ზონად

სტალინიზმის ოცდაათიანი წლები მხოლოდ შედეგი იყო იმ „დიადი“ პროცესებისა, რომლებიც გაცილებით უფრო ადრე დაიწყო. მიამიტობაა იმის თქმა, რომ რეპრესიები, რომელიც განიცადა ქართველმა, რუსმა, ყაზახმა თუ სხვა ხალხებმა, ლენინიზმის დამახინჯებაა, — იგი ბოლშევიკური იდეალებისაგან გადახრად, რაღაც ანომალიად უნდა წარმოვიდგინოთ. სიბოროტე მხოლოდ ხელსაყრელ ნიადაგზე შეიძლება აღმოცენდეს, ისევე, როგორც სიკეთე. რა ნიადაგიც შეიქმნა, ისეთივე იყო ნაყოფი, ისეთივე მოსავალი იქნა მომკილი.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ვერავის დავუმალავთ იმას, რომ ამ ნიადაგის შემქმნელიც, მხვნელიც, მთესველიც და კომბაინერიც კომუნისტური პარტია იყო.

## კომუნისტური იდეები ისტორიამ გაასამართლა

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე მხედველობაში არა მყავს ცალკეული პირები და პიროვნებათა ჯგუფები. მრავალი სახელოვანი პიროვნება, კომუნისტური პარტიის წევრი კაცურ ვალს იხდიდა თავისი საქმიანობის უბანზე, მრავალი შეეწირა ომს, შეეწირა უსამართლობასთან ბრძოლას, ხელი გაუწოდა გაჭირვებულს, სამართლიანობის მხარეს იდგა, მაგრამ განა შეიძლება ეს კომუნისტური პარტიის წესდებასა თუ პროგრამას, ამ პიროვნებათა „კომუნისტური სულისკვეთებით“ აღზრდას მივაწეროთ. გავიმეორებ არაერთხელ სხვის ნათქვამ რიტორიკულ შეკითხვას — მაშ რომელი პარტიის წევრები ვუწოდოთ კაცობრიობის ღირსეულ შვილებს, რომელთა ცხოვრება და საქმე ლეგენდებმა მოგვიტანა ისტორიის უპარტიო დროიდან.

მკრეხელობა იქნება მსოფლიო ომის მონაწილეებს, დახოცილ თუ ცოცხლად დარჩენილ ჯარისკაცებს, რომელთა შორის არაერთი ჩვენი თანამემამულეც იყო, დამპყრობელი ვუწოდოთ, მაგრამ აღმოჩნდა თუ არა ევროპის მთელი რიგი ქვეყნები ფაქტიურად ანექსირებული მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, იყო თუ არა სისხლში ჩახშობილი მათი ხალხების ნება?! იმ ხალხებმა, რომელნიც 1945 წელს ყვავილებით ეგებებოდნენ წითელ არმიას, ფაშიზმის დამამხობელს და მსოფლიოს გამათავისუფლებელს, დროთა განმავლობაში შეიძულეს ყველაფერი საბჭოთა და, რაც ყველაზე სავალალოა, ის ხალხიც, განურჩევლად ეროვნების და ინდივიდუალური თვისებებისა, რომელიც ამ, ეგრეთწოდებულ, ქვეყანაში ცხოვრობდა.

ამ მსოფლიო მასშტაბის სიბოროტის ჩამდენიც საერთაშორისო ინტერნაციონალიზმის, მსოფლიოს რევოლუციის, საქვეყნოდ ბატონობის იდეით შეპყრობილი კომუნისტური პარტია აღმოჩნდა.

ოვაციებისა და ტაშისცემის ფონზე მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში აგრარული რეფორმები, ინდუსტრიალიზაცია, ხალხთა ძმობის დამადასტურებელი ღონისძიებები; ვისმენდით პატაკებს სოციალისტური ვალდებულებებისა და სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებაზე, სარეკორდო მოსავლებსა და ლითონის დნობაზე; ერთხმად იგმობოდა დასავლეთის სრიკები და მილიტარიზმი, ოკეანის გაღმა გამეფებული კორუფცია და ფერადკანიანთა ჩაგვრა; ამ ერთსულოვნების მიღმა კი მოკავშირე რესპუბლიკათა „ძმურ ოჯახში“ დაეცა და გაჩანაგდა ეკონომიკა, სიცოცხლისათვის საშიში შეიქმნა ეკოლოგია, აბუჩად იქნა აგდებული რესპუბლიკების ინტერესები, თავს მოხვეული ცენტრისტული კონსტიტუციაც კი. დაკნინდა ინდივიდის სულიერი სფერო, ცნობილი მეთოდით „ინტერნაციონალური ვალის“ მოხდა საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცა. სოციალურად დაუცველი აღმოჩნდა საზოგადოების ყველა ფენა.

უდავოა, რომ ეს პროცესებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის პირობებში ხდებოდა.

შეიძლება მავანი შემომედავოს, რომ ერთი პარტიის ჰეგემონიის პირობებში ყოველგვარი ნეგატიური პროცესი ძალაუნებურად ამ პარტიის, ამ შემთხვევაში კომუნისტური პარტიის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს; ასეთი მსჯელობა ცალმხრივია, რამდენადაც სხვა ნებისმიერი პარტიის ერთადერთობის პირობებში სათავეში მოქცეულმა არაკეთილსინდისიერმა პირებმა შეიძლება იმავე შედეგამდე მიგვიყვანოს. ამის მაგალითები მოიპოვება მსოფლიოში. მაგრამ განა ერთპარტიულობა, კომპარტიის ერთადერთობა ისევ კომუნისტურმა პარტიამ არ დააკანონა, განა იგი დოგმატურად არ იღებდა საფუძვლად „კომუნისტური აჩრდილის“ მეხოტბე მანიფესტს, განა იგი თავად არ იყო პირველი პრაქტიკული დამრღვევი თავისივე თეორიული მოწოდებისა — ძალაუფლება ხალხს გადაეცემოდა?!

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოეთად წოდებულ ქვეყანაში საბჭოს ანუ ხალხის რჩეულთა ბჭობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებებით არასოდეს გვიცხოვრია. სოციალიზმის ჯერ ქება, დღეს კი ძაგება ყოველდღიურ აუცილებლობად ვიქციეთ და სოციალიზმის სულ მცირედი ნიშნითაც არასოდეს გვიცხოვრია.

რაც შეეხება კომუნიზმს, რომლის პირობებშიც ხალხი თვითშეგნებით მუშაობს და ცხოვრობს, მოიხმარს იმდენს, რამდენიც სჭირდება და იშრომებს საყოველთაო კეთილდღეობისათვის, — ჩვენ მას ვერ ავაშენებთ. არ ვიცი, რას ეძახიან ასეთ ფორმაციას დასავლეთ ევროპის ქვეყნების „პროლეტარები“, მაგრამ თავიანთი მეფეებითა და დედოფლებით კომუნიზმთან გაცილებით უფრო ახლო დგანან, ვიდრე კომუნიზმის მშენებელი „დიადი“ სახელმწიფოს მრავალეროვანი პროლეტარები და, ვფიქრობ, სულაც არ აპირებენ მათთან შეერთებას ამ მიზნის მისაღწევად.

ამ საკითხთან დაკავშირებით მილიონობით ხალხის შეცდომაში შეყვანისთვისაც ისტორიული პასუხისმგებლობა სწორედ კომუნისტურ პარტიას ეკისრება.

ფორმალობის, თავის მოტყუების, აბსურდულობის მაგალითებს უჩვენებდა წლების განმავლობაში ჩვენს ახალგაზრდობას ღია და დახურული პარტიული კრებები, პოლიტმეცადინეობები, თითიდან გამოწოვილი სხვა ღონისძიებები. პარტიის „გაკეთება“ ანუ წევრობის მიღწევა პროტექციით თუ სხვა გზით ჩვენს საზოგადოებაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. დღეს ამ მოვლენების მთელი სიმახინჯე თვალწინ ამოგვიტივტივდა და, რაც არ უნდა პირი ვუბრუნოთ მათგან, ისინიც კომუნისტური პარტიის საქმიანობის ნაყოფია.

ვიცი, არ ვარ ორიგინალური ასეთი შეფასებისას, საქართველოს კომპარტიის პროგრამის ახალ პროექტში ნათლად წერია: „საქართველოს კომპარტია აღიარებს და გმობს თავისი ისტორიის მანძილზე დაშვებულ შეცდომებსა და გადახრებს...“, მაგრამ განა შეიძლება შენი ერის წინაშე და, საერთოდ, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის წინაშე მხოლოდ ამით გაიმართლო თავი? შემწყნარებელია ჩვენი ერი, ჰუმანიზმით, ჭეშმარიტების, მოძმის სიყვარულით ანთებულმა გამოიარა თავისი ისტორია, არავის აქვს უფლება პროგრამული ფრაზით შეურაცხჰყოს მისი მახსოვრობა. ახსოვს ხალხს, რომელი პარტია მიუძღოდა რუსეთის არმიას ცეცხლითა და მახვილით, ვინ დახვრიტა და ამოალპო ციმბირის ციხეებში ერის, ინტელიგენციის იმდროინდელი საუკეთესო ნაწილი, ვინ გაწირა მონობისა და უცხო ქვეყანაში გადასვეწისათვის ქართველი და მასთან ერთად მცხოვრები ყველა სხვა ერი, ვინ დაუშინა ტყვიები 1956 წელს, რომელი პარტიის წევრი იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელი, რომელმაც 25 თებერვალი საქვეყნოდ თავის სულიერ ზეიმად გამოაცხადა ეროვნული მოსაზრების საპირისპიროდ.

გადავხედოთ თუნდაც კომუნისტური პარტიის ლოზუნგებს, რომელთა შორის ყველაზე გამორჩეულია — „პარტიის ძალა ხალხთან ერთობაშია“. დამეთანხმებით, ლოზუნგი სასურველია, მაგრამ რეალობას თუ შევხედავთ, სავსებით საფუძველმოკლებული. მის გამგონს კი უნებურად დაებადება კითხვა — რომელ ხალხთან ერთობაში? რომელიც უმოწყალოდ სცემეს და დახოცეს 9 აპრილს?!

9 აპრილი ერის ტრაგედიაა და არა მარტო იმიტომ, რომ მან ადამიანების სიცოცხლე წაგვართვა, არამედ იმიტომაც, რომ მან ჩირქი მოსცხო ბევრ უდანაშაულო, სხვაზე არანაკლებ პატრიოტული სულის, ერის აღორძინების საქმისათვის მაღალი პოტენციური შესაძლებლობის მქონე ადამიანს, რომელსაც დღეს კომუნისტური პარტიის წევრი ჰქვია. ერისადმი დაპირისპირებული მტრის ბანაკში ყოფნისათვის გაწირეს ისინი. ამიტომ გადაწყვეტილებების მიღებისას ჩვენ მათზე, ყველა ჩვენთაგანზე ფიქრი გვმართებს. დღეს არა გვაქვს უფლება, რაიმე გარემოებისა თუ ვითარების გამო არა ვთქვათ ის, რასაც ვფიქრობთ, არ ჩავუღრმავდეთ ჩვენს თავს, არ მივიღოთ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება.

ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ აბსოლუტურად არავითარ მონაპოვრად და გამარჯვებად არ მიმაჩნია საკავშირო ყრილობაზე ცნობილი 22-ე პუნქტის მიღება, როგორც ეს ზოგიერთს სურს წარმოადგინოს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გარდა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების დამოუკიდებლობის აღიარებისა, იქ ნათლად წერია, რომ ისინი თავიანთ საპროგრამო და ნორმატიულ დოკუმენტებს საკავშირო კომპარტიის ფუძემდებლური დოკუმენტების ბაზაზე შეიმუშავებენ; მეორე და მთავარი — საქართველოს ნებისმიერი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციის ბედი, ყოფნა-არყოფნის ან მისი მომავალი საქმიანობის საკითხი საქართველოშივე უნდა გადაწყდეს. სხვა ქვეყნის ორგანიზაციის ფილიალი არც საქართველოს, არც ნებისმიერ სხვა ქვეყანას არ სჭირდება. ამის თაობაზე მე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი ყრილობის მსვლელობისას გაზეთ „კომუნისტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში.

საბოლოოდ უნდა ითქვას უარი საზოგადოებრივი წყობილების შესახებ მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე, იგი მოძველებულიცაა და, რბილად რომ ვთქვათ, არა პრაქტიკულიც.

გადაჭრით უნდა დაიგმოს ათეისტური პოზიცია, რამაც კიდევ ერთი ძნელად მოსარჩენი დაღი დაასვა კომუნისტური პარტიის „ბრძნული“ ხელმძღვანელობის ქვეშ მოხვედრილ ხალხს: ბევრი განუყენა ჭეშმარიტებას და დამნაშავედ აქცია — ისინი, ვინც ანგრევდნენ და ბღალავდნენ საუკუნეების მანძილზე შემონახულ ისტორიულ ძეგლებს; ბევრი გარიყა, მეორეხარისხოვან ადამიანად აქცია — ისინი, ვინც უარი არ თქვა რწმენაზე; ბევრს თვალთმაქცობა ასწავლა, რწმენისა და ტრადიციის მალვით გამომჟღავნება ცხოვრების ჩვეულ ნორმად ექცათ.

ეს ცოდვაც კომპარტიას აქვს გამოსასყიდი.

ამავე დროს საქართველოს კომუნისტების ფორუმის, შეიძლება ითქვას, მთელი საზოგადოების ვალია არ დაუშვას ჩვენს რესპუბლიკაში ეგრეთ წოდებული „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმაზე“ არსებული პარტიის შექმნა. ამის მიღწევა არაა რაღაც შეუცნობელი თვითმიზანი, არც ძლიერი ოპოზიციური ორგანიზაციის შიშითაა გამოწვეული, უბრალოდ, ყველამ უნდა გაიგოს, რომ საქართველოში არ არსებობს არავითარი წინაპირობა და საფუძველი ეროვნულ მოძრაობასთან დაპირისპირებისა. რა დასამალია და ასეთი დაპირისპირებული ორგანიზაციის შექმნა ძირითადად ეროვნული ნიშნით ხდება და არა იდეური უთანხმოების გამო. ამდენად სასაცილოც კია, როდესაც სასახელო დროს თამარის დროშის ქვეშ გაერთიანებული, ბუნებით ვაჟკაცური, თავისი ტრადიციების პატივისმცემელი აფხაზები ან ოსები, ჭირ-ვარამში ჩვენთან ერთად გამოვლილები, ქართულ მოძრაობას ლენინის სურათებით, პროკომუნისტური ლოზუნგებით უპირისპირდებიან. ვაღიაროთ, რომ ეროვნებათა შორის დამოკიდებულების პოლიტიკაში უხეში შეცდომებია დაშვებული, მათი ანალიზი ცალკე თემაა და მომავალში ალბათ საჭირო იქნება ამ საკითხთან დაბრუნება. ამავე დროს ფაქტია, რომ ეს შეცდომებიც, მთელი თავისი მძიმე შედეგებით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის პირობებში იქნა დაშვებული.

ყოველივე ზემოაღნიშნული არაა ერთი ან ორი დღის ფიქრის შედეგი. წლების განმავლობაში კომუნისტური პარტიის ასეთი მოღვაწეობა მთელ კაცობრიობას მისდამი ანტაგონისტურად განაწყობდა. ვერაფერმა შეუწყო ხელი მის გაკეთილშობილებას, ვერც ენერგიული, პატიოსანი, ახალგაზრდა კადრების მოზიდვამ მის აპარატებში — ვინაიდან ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული შიდაპარტიული სტრუქტურა და დამოკიდებულებები შეუძლებელს ხდის შემოქმედებით მუშაობას. ცალკეული შემთხვევები, როგორც იტყვიან, არ ითვლება.

არც ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილის წევრობა გახდა გამოსავალი საქართველოში კომპარტიის რეანიმაციისა. მუშათა და გლეხთა მხარდაჭერაზე ხომ სულ ვერ ვილაპარაკებთ, ვინაიდან, სწორედ მათი ფენა დატოვა კომპარ[illegible] ყველაზე მეტად დაუცველი და ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი სოციალურად.

მე პირადად აბსურდულად მიმაჩნია ის აზრი, რომ დღეს შეიძლება ვინმემ პასუხი აგოს კომპარტიის საქმიანობისათვის. მაშინ, რატომ არ მივაკვლიოთ და პასუხი არ ვაგებინოთ ყველას, ვინც უპატიოსნოდ იცხოვრა ან ცხოვრობს, მიუხედავად მისი პარტიულობისა.

რაც შეეხება თავად კომუნისტურ პარტიას, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციას, მის იდეას, ვფიქრობ, რომ იგი ისტორიამ გაასამართლა. ჩვენ, უბრალოდ, რეალობის კონსტატირება უნდა მოვახდინოთ — **საქართველოში კომუნისტურ პარტიას არა აქვს არსებობის არავითარი საფუძველი არც იდეურად და არც მხოლოდ სახელწოდების შენარჩუნებით.**

პარტიის ვეტერანებმაც უნდა გაგვიგონ: კაცობა, რომელიც ბევრმა მათგანმა ატარა ცხოვრების მანძილზე, არ არის ჩადებული კომუნიზმის იდეურ შინაარსში, ეს მცნება პიროვნების სულიერი წიაღიდან მოდის, ზოგადსაკაცობრიო თვისებაა და არა წესდებით განსაზღვრული ნორმა.

ჩვენ ყველამ ვიცით, საქართველოს სხვა პოლიტიკურ მოძრაობათა აზრი კომპარტიის თაობაზე. ზოგი წუხს, ზოგი ბრაზობს კიდეც იმ რადიკალურად უარყოფითი პოზიციის გამო, რომელსაც იჩენენ მის მიმართ. აღშფოთება ეუფლებათ, როდესაც კომპარტიისადმი ისტორიულ ბრალდებებს მისი დღევანდელი წევრების მისამართით გამოთქვამენ. თუ ასე არ არის, მაშინ ვაღიაროთ კიდეც, რომ კომუნისტური იდეის გარშემო გაერთიანებულ პარტიაში მხოლოდ ნომინალურად ვიმყოფებოდით, ხოლო ყრილობისათვის შემუშავებულ პროექტებში ასახულ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან კომუნისტურ პარტიას არაფერი აქვს საერთო; ჩვენვე დავანგრიოთ საბოლოოდ საფიცარ ხალხთან გაუცხოების ის კედელი, რომლის საშენი მასალის უდიდესი ნაწილი კომუნისტურმა პარტიამ მოზიდა.

უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოში ნებისმიერი ახლადშექმნილი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის რადიკალიზმი არ არის პოზა ან პოლიტიკური კაპიტალის მოპოვებისაკენ სწრაფვა, როგორც ეს ზოგიერთს სურს წარმოადგინოს; ეს ობიექტური შედეგია იმისა, რაც ათეული წლები ვაშენეთ. ეს შენობა უნდა დაინგრეს ერთხელ და სამუდამოდ, თუ გვინდა, რომ სიმშვიდემ და სტაბილურობამ დაისადგუროს.

არაა დასამალი, სსრკ უმაღლესი საბჭოს მაღალი ტრიბუნიდან საქართველოსაკენ მიმართული მუქარა ბევრს ორჭოფულ მდგომარეობაში ჩააყენებს, ნეიტრალური პოზიციის დაკავებას აფიქრებინებს, ასეთნი უნდა დარწმუნდნენ, რომ სწორედ ახლაა საჭირო ერთობა. „ბრძნული“ დუმილის პოზიციაც ასეთივე დამღუპველია.

დღეს, როგორც არასდროს, მოგვეთხოვება რადიკალური ღონისძიებების განხორციელება, ამას გვავალებს ჩვენი სინდისი, პასუხისმგებლობა მომავალი თაობის, ჩვენი სამშობლოს წინაშე.

**პეტრე ჩხეიძე,**
საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის თავმჯდომარე.

# იდეოლოგია და დეიდეოლოგიზაცია

დემურ ქერქაძე

## 1. იდეოლოგია: ცნება, აგებულება, მნიშვნელობა

იდეოლოგიის ბუნების გასაგებად საკმარისი არაა ვიკვლიოთ აზროვნება იმ სახით, როგორც იგი წარმოდგენილია ლოგიკის სახელმძღვანელოებში. ლოგიკა შემეცნებას განიხილავს ვაკუუმში, რომელშიც არ მოქმედებენ არავითარი სასიცოცხლო ძალები, არავითარი ნება, ინტერესები და ღირებულებითი ორიენტაციები. შემეცნების ამ გაგებამ შექმნა წარმოდგენა სინამდვილის დაუინტერესებელ ხედვაზე, შემეცნებაზე როგორც „წმინდა ჭვრეტაზე". ამის შესაბამისად იყო გაგებული შემმეცნებელი სუბიექტიც — უპიროვნო სტრუქტურა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ადამიანურ გარკვეულობებს, გარდა სამყაროსადმი ჭვრეტითი მიმართებისა. ეს შეხედულება ემყარებოდა რწმენას, რომ ადამიანმა ცოდნა შექმნა თავის თავში გარესამყაროსთან ცნობიერების უბრალო და უშუალო შეხებით. თანამედროვე აზროვნებაში განმტკიცდა საპირისპირო აზრი, რომ რეალური შემეცნება ყოველთვის განსაზღვრულია სოციალურად: შემმეცნებელი სუბიექტის, როგორც კოლექტიურის, ისე ინდივიდუალურის, ნება მონაწილეობს შემეცნების პროცესში და განსაზღვრავს მის მიმართულებას და შინაარსს.

ეს ფენომენი — აზროვნება, განპირობებული ცხოვრების ინტერესებით, არის იდეოლოგია. იგი გვიჩვენებს როგორ აზროვნებენ ადამიანები სინამდვილეში, როგორ ფუნქციობს აზროვნება, როგორც კოლექტიური ნებისა და მოქმედების, ცხოვრებისა და პოლიტიკის იარაღი.

იდეოლოგიის, როგორც სისტემის, ელემენტებია შეხედულებები, წარმოდგენები, ცნებები, მსჯელობები და მათი მთლიანობითი წარმონაქმნები: რწმენა, თეორია, მსოფლმხედველობა. ისინი განსაზღვრულნი არიან გარეთეორიული ფაქტორებით, რომლებიც არ არიან მხოლოდ პერიფერიული მნიშვნელობის: ეს ფაქტორები აღწევენ იდეების შიგნით და გავლენას ახდენენ მათს შინაარსსა და ფორმაზე. იდეოლოგია ქმნის გონითი წარმონაქმნების მთელს ერთობლიობას, რომელსაც ვერ გავიგებთ, თუ არ მოინახა მისი სასიცოცხლო და ემოციონალური იმპულსები, აგრეთვე სიტუაცია, რომელშიც იგი წარმოიქმნება; ამოცანა, რომელიც მან უნდა გადაწყვიტოს.

ახლა შეგვიძლია ვთქვათ: იდეოლოგია არის აზროვნება — შინაგანი, გონითი აქტივობა, ინდივიდუალური და კოლექტიური გამოცდილების, ნებისა და გრძნობის მოტივების, მოლოდინისა და იმედების — მთელი ამ იდეალური სინამდვილის რაციონალური გამთლიანების ცდა, რომლის მიზანია სიტუაციის დაუფლებისათვის აუცილებელი დირექტივის მიღება. ადამიანისათვის აზროვნების მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი წარმართავს მის საქმიანობას და ქცევას გადაწყვეტილებების მიღების მომენტში, ხოლო ყოველი ნამდვილი გადაწყვეტილება — შეფასებითი აქტები, ცხოვრების იდეალების აგება და მათს განსახორციელებლად სწრაფვა მოითხოვს სააზროვნო ველის გაფართოებას და „შეკვრას", ე. ი. მასში უზოგადესი პრინციპების ჩართვას, რომელიც აუცილებელს ხდის მსჯელობებს სიკეთისა და ბოროტების, ადამიანის ცხოვრების საზრისის თაობაზე. აქედან — იდეოლოგიური აზროვნება მოიცავს როგორც შემეცნებითს, ისე ემოციონალურ მომენტებს. იდეოლოგიას არ შეუძლია შეასრულოს ნიცშეს მოთხოვნა, რომელსაც იგი ფილოსოფოსებს უყენებს, — დადგეს სიკეთისა და ბოროტების მიღმა.

იდეოლოგიის ცალკეული ელემენტების ბირთვი არის იდეა. ელემენტები თავს იყრიან და ერთიანდებიან იდეების გარშემო და ქმნიან მათს რაციონალურ გარსს, როგორც მათი გააზრებისა და გამთლიანების „თეორიული საშუალებანი". იბადება კითხვა: რა არის იდეა, პასუხი მრავალია, ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელოვანია იდეის დინამიური გაგება, რომელიც გერმანულ იდეალიზმში ჩამოყალიბდა: იდეა არის სრულყოფილების ცნება, რომელიც ცდაში არ არსებობს. მაგალითად, სრულყოფილი სახელმწიფოს იდეა. კანტი ამბობს: ოღონდ ჩვენი იდეა სწორი იყოს და მაშინ, მიუხედავად მისი განხორციელების გზაზე არსებული დაბრკოლებისა, იგი მიუღწეველი არ იქნება. ფიხტე ფიქრობს: როცა იდეა ცხოვრებაში აღწევს, იგი იძლევა განუზომელ ძალას და ძლიერებას, და მხოლოდ იდეა შეიძლება იყოს ძალის წყარო.

იდეაში საგანი მოაზრებულია მის იდეალურ ყოფიერებაში, სინამდვილე კი — როგორც მოცულობა, მისი განხორციელების შესაძლებლობა. იდეაში „დავანებულია" წარმოდგენა იმაზე, რაც არის და იმაზე, რაც უნდა იყოს — ფაქტი და ღირებულება. იდეა იანუსს ჰგავს: მისი ერთი სახე სინამდვილეზეა მოპყრობილი — მეორე, — ღირებულებათა სამყაროზე. იანუსს აინტერესებს არა მხოლოდ ფაქტი, არამედ მისი საზრისიც — ღირებულება და მნიშვნელობა. იდეა არის „არხი", რომლითაც ღირებულებათა სამყაროდან ღირებულებები მოედინება და სარეალიზაციოდ ფორმდება.

იდეოლოგიის საქმეა თეორიულად „გააფორმოს" ღირებულებები, რათა მათ პრაქტიკულად განხორციელებადი სახე ჰქონდეთ. ღირებულება არის ის, რასაც მნიშვნელობა აქვს, „რაც მნიშვნელობს". ღირებულება არის ჯერარსი, ის, რაც უნდა იყოს, რაც ღირსია არსებობის და შემეცნების, რასაც ადამიანი პატივს სცემს, რისკენაც იგი მიისწრაფვის. ჯერარსის სახით ღირებულება არის ადამიანის ცხოვრების პრინციპი, ნორმა. იგი ანიჭებს საზრისს და მიმართულებას ადამიანის ცხოვრებას. რეალურად ღირებულება ყოველთვის დაკავშირებულია ფაქტთან, ფაქტი — ღირებულებასთან. ღირებულების განხორციელება და მასთან ზიარება არის ადამიანის მოღვაწეობის მიზანი. ქმნადობა მიმართულია ღირებულებაზე, ხოლო ღირებულება თავის „სადგომს", „საცხოვრისს" ქმნადობის ნაყოფებში პოულობს. ასე ხდება ღირებულებათა სამყაროს დაკავშირება საგნობრივ სამყაროსთან. მათი ერთიანობა არის ის, რასაც ადამიანის ყოფიერება ეწოდება. ღირებულებათა სამყარო მოიცავს რელიგიურ, ეთიკურ, ესთეტიკურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ ღირებულებებს. ისინი ერთმანეთს მოითხოვენ, რაც განსაზღვრავს მათი წესრიგის აუცილებლობას. იდეოლოგია არის ღირებულებათა მოწესრიგების ერთ-ერთი ფორმა.

ღირებულებათა ორგანიზაციის წესი იდეოლოგიაში გვევლინება, როგორც ცხოვრების მოდელების შინაარსები, რომლებიც თავს იჩენენ პოტენციური შესაძლებლობების სახით. იდეოლოგიური მოდელების შინაარსში შემავალი ღირებულებები აქტუალურნი არიან: კოლექტიური ან ინდივიდუალური სუბიექტები „ალიჭურვებიან", „იარაღდებიან" ამ ღირებულებებით. სუბიექტის პოზიცია აქ იმით გამოიხატება, რომ მას ეს ღირებულებები უნდა, რომ მან არჩევანი მოახდინა მათზე. მას არა მარტო უნდა, არამედ თვითონაც უნდა აკეთოს საქმე ამ ღირებულების მიხედვით, ეზიაროს და განახორციელოს ისინი. განხორციელება ნიშნავს სუბიექტის შეერთებას ღირებულ ობიექტებთან.

ამ აზრით, იდეოლოგია ესმით, როგორც საშემსრულებლო სისტემა, რომელშიც ღირებულებები მოძრაობენ და ცოცხლობენ. ეს სისტემა გულისხმობს შემსრულებლებს, ე. ი. საგნებს ან არსებებს, რომლებიც ასრულებენ აქტებს, ან განიცდიან მოქმედებას. სხვაგვარად მათ პერსონაჟებს — მოქმედ პირებს უწოდებენ. ისინი მონაწილეობენ ყოველგვარ როლში და ყოველგვარი სახით, უსიტყვო შემსრულებლის სახითაც. იდეოლოგია ხასიათდება აქტუალური სტატუსით, რომელსაც თვითონვე კისრულობს. იგი ამავე დროს არის ღირებულებათა განუწყვეტელი ძიება, ხოლო საშემსრულებლო სისტემა იძლევა განუწყვეტელ ინფორმაციას ამ ძიების შესახებ. იდეოლოგია მიმართულია შემსრულებლებზე, აქტუალიზდება და ხორციელდება მათი აქტივობით. აქტივობის გამოწვევა იდეოლოგიის საქმეა. ამიტომ იდეოლოგია მარტოოდენ ცოდნა ან ინფორმაცია კი არაა, არამედ მოთხოვნაც და ვალდებულებაც, რათა სუბიექტმა იმოქმედოს ამ ცოდნისა და ინფორმაციის შესაბამისად.

ადამიანზე მიმართულობა არის იდეოლოგიის, როგორც აზროვნების განსაკუთრებული ტიპის, არსებითი თვისება: იგი კარნახობს, აძლევს რეკომენდაციას, ურჩევს ან მოუწოდებს. პასუხებს ყოფიერების ძირითად პრობლემებზე იგი ანიჭებს პრინციპულ მნიშვნელობას და აკისრებს ცხოვრების ორიენტირის ფუნქციას. იგი შეიცავს აგრეთვე შეფასებებს, ღირებულებათა იერარქიულ კავშირებს, მოთხოვნებს სამყაროს მიმართ, მასში საბუთდება ადამიანის რწმენა და საქმეები. იდეოლოგიაში მსჯელობის საგნები გადაქცეულია ღირებულ ობიექტებად, რათა ადამიანის ნება და ინტერესი მათზე იყოს მიმართული. მაგრამ მასში სამყაროს ყველა ელემენტი, ან ფრაგმენტი არაა ერთნაირი მნიშვნელობის. ზოგიერთი იდეოლოგია ირჩევს ერთ ან რამდენიმე ღირებულებას, რომელთაც აბატონებს ინდივიდებზე ან ადამიანთა ჯგუფებზე ინდივიდუალური ან კოლექტიური მოქმედებისათვის. ღირებულებათა რეალიზაცია უნდა მოხდეს მათთვის და მათივე ძალისხმევით.

## 2. იდეოლოგიზაცია — კომუნისტური იდეოლოგიის დასასრული

იდეოლოგიური მოდელების საფუძველია ღირებულებათა სისტემა, რომლისგან ისინი ღირებულებებს იკრებენ. იდეოლოგია აგრეთვე, როგორც ითქვა, თვითონ ეწევა ღირებულებათა ძიებას. ის მოდელი, რომელიც ღირებულებათა იერარქიულ წყობას ეყრდნობა, მეტად მკაცრია მისი განხორციელების, ცხოვრებაში გატარების აზრით. ამგვარი ტიპის იდეოლოგიას მიეკუთვნება კომუნისტური იდეოლოგია. აქ ღირებულებითი ცენტრი იმდენად უძრავი და აბსოლუტური მნიშვნელობის მქონეა, რომ არ უშვებს აქცენტების არავითარ გადანაცვლებას, რის გამოც საქმე გვაქვს მოდელთან, რომელიც ურყევადაა ჩაკეტილი როგორც შიგნით, ისე გარეთ — იგი დახშული სტრუქტურაა. ამ სტრუქტურის ბირთვია თვითნებურად შერჩეული ღირებულებები, რომლებიც დესპოტურად „დევნიან" ყველა სხვა ღირებულებას.

ვნახოთ, რა შედეგები მოაქვს ამას ადამიანის ყოფიერებისათვის. ადამიანური სამყარო არის საზრისების სავსეობა — ერთობლიობა მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ღირებული საგნობრივი ვითარებებისა, რომელშიც მას ცხოვრება უხდება. საზრისები არც ერთმანეთზე დაიყვანებიან, არც ერთმანეთს გამორიცხავენ, არც ერთმანეთის მასშტაბებს წარმოადგენენ: კრიტერიუმებს საზრისები თავისივე თავში ატარებენ. აქ შეიძლება ასეთ ანალოგიას მივმართოთ: ისე, როგორც კილოგრამებით გამოხატული წონა ვერ დაიყვანება მეტრებით გამოხატულ სიგრძეზე — სხეულს ვერ „ავწონით" მეტრებით და ვერ „გავზომავთ" კილომეტრებით, ასევე საზრისები ერთმანეთზე ვერ დაიყვანებიან — ისინი სხვადასხვა განზომილებანია. ღირებულებათა სავსეობა და მათი ავტონომიურობა არის სრულყოფილი არსებობის საფუძველი — ადამიანი, როგორც მთლიანი არსება, მასზეა მიმართული.

რომელიმე ღირებულების ან ღირებულებათა ჯგუფის აბსოლუტად გამოცხადება, ე. ი. მისი ყველა ღირებულების საზომად გადაქცევა იწვევს ღირებულებათა ჭეშმარიტი კავშირის რღვევას, სინამდვილიდან თავისთავად ღირებული ნაწილების ამოვარდნას ან გაუფასურებას. ეს იქნება ადამიანის ცხოვრების მთლიანობისა და სავსეობის, წონასწორობის მოშლის, გონითი სამყაროს გალარიბების, ყოფიერების გაბლეჩის მომასწავებელი: ადამიანს საქმე ექნება არა მთელს სამყაროსთან, არამედ მარტოოდენ მის ფრაგმენტთან.

ახლა, ვფიქრობ, შესაძლო უნდა იყოს ეს აზრი მივუყენოთ საბჭოთა იდეოლოგიურ სტრუქტურას. აღმოჩნდება, რომ აქ ღირებულებათა მთელს სამყაროზე ბატონობენ პოლიტიკური ღირებულებები, მაგრამ არა ისეთი ფუნდამენტური ღირებულებები, როგორიცაა თავისუფლება, თანასწორობა, დემოკრატია (რომლებიც მხოლოდ შირმის როლს თამაშობენ მასში), არამედ კონიუნქტურული ღირებულებები, რომლებიც თავს იყრიან პოლიტიკური დიქტატურის, „სახელმწიფოს ინტერესის", როგორც აბსოლუტის ირგვლივ, ისინი შედიან კომუნისტური იდეოლოგიის შინაარსში, ღირებულებათა სათავეში ექცევიან და განსაზღვრავენ მის სტრუქტურას.

სადაც ამგვარი ღირებულებები აბსოლუტის რანგშია აყვანილი, ყველა სხვა ღირებულება მათს ფონზე მოჩანს, როგორც დამხმარე საშუალება მათი განხორციელების საქმეში, ან ზოგიერთი ღირებულება განიხილება, როგორც ხელისშემშლელი და პირდაპირ უარიყოფა (ზნეობრივი, სამართლებრივი, ესთეტიკური ღირებულებები; მეცნიერული ჭეშმარიტებანი). ისეთი ღირებულებები, რომელთაც პირდაპირი კავშირი არ აქვთ მათთან, საეჭვო ხდება, ან მიიჩნევა, როგორც არაარსებითი ადამიანისათვის (ზოგადსაკაცობრიო, უნივერსალური ღირებულებები; ღირებულია მხოლოდ კლასობრივი და პარტიული). როცა ასეთი ღირებულებითი ორიენტაცია ცხოვრების პრინციპად გაბატონდება, იგი აუცილებლად მიგვიყვანს ცხოვრების ტოტალიტარულ წესთან, სადაც ადამიანი გადაიქცევა ნივთად და საშუალებად.

ამ ეფემერულ და თვითნებურ ღირებულებებზე აგებული საბჭოთა იდეოლოგია თავისი ბუნებით ტოტალიტარულია არა იმ აზრით, რომ მოიცავს და ანგარიშს უწევს მთელს სამყაროს მისი მრავალფეროვანი ღირებული მოდუსებით, არამედ მხოლოდ იმ აზრით, რომ იგი მსჭვალავს ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს — თვითონ საზოგადოებას, მეცნიერულ აზროვნებას, შემოქმედებას, პიროვნულ ყოფიერებას, ყველგან და ყველაფერში ადგენს შეფასებისა და ინტერპრეტაციის თვითნებურ კრიტერიუმებს. ჰაიგერი მართალია, როცა ამბობს: მარქსიზმში იდეოლოგია მოიცავს მთელ გონითს და ინსტიტუციონალურ ზედნაშენს. იგი არ შემოიფარგლება მარტოოდენ თეორიული შემეცნებით, არამედ ვრცელდება მთელს კულტურულ და მეცნიერულ ცხოვრებაზე, ლიტერატურაზე, სამართალსა და რელიგიაზე: მარქსისტული წარმოდგენით უკლებლივ ყველაფერი, ა-დან ჰ-მდე, სხვა არაფერია, თუ არ იდეოლოგია. ამას ჰაიგერი პანიდეოლოგიზმს უწოდებს.

მთელი საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული აზროვნება, კერძომეცნიერული შედეგების ინტერპრეტაცია პანიდეოლოგიზმის მარწუხებში მოექცა, ამასთანავე იგი დაეუფლა ამ მეცნიერებათა კონცეპტუალურ აპარატს და თვითნებური პოლიტიკური მიზნებისა და ღირებულებების მსახურად და გამმართლებლად აქცია. ამჟამად შეუძლებელია განვიხილოთ ამ აპარატის თუნდაც მცირე ნაწილი. სანიმუშოდ ავიღებ მხოლოდ „საბჭოთა ადამიანის" ცნებას — ამ ე. წ. უძრაობის პერიოდის „მეცნიერული აზროვნების" ნაყოფს.

ამ ცნებაში თავმოყრილია ადამიანის ისეთი არსითი ნიშნები, როგორიცაა: კაცთმოყვარეობა და დიდსულოვნება, საქმის სიყვარული და გაქანება, პირდაპირობა და პრინციპულობა, ინტერნაციონალიზმი, აგრეთვე ბევრი სხვა დადებითი თვისება, რომლებიც, თურმე, კომუნისტური მორალის დამკვიდრების შედეგია. მაგრამ თუ ამ ცნების შინაარსს შევამოწმებთ სინამდვილესთან მიმართების თვალსაზრისით, ვნახავთ, რომ იგი ყალბი ცნებაა: არ არსებობს საგნობრივი ვითარება, რომელსაც იგი შეესაბამება. მართლაც, შეუძლებელია სადმე არსებობდეს ადამიანის ისეთი ტიპი, რომელიც აბსოლუტური დადებითობით ხასიათდებოდეს. მაგრამ იბადება კითხვა: საიდან გაჩნდა „საბჭოთა ადამიანის" ეს ნიშანი? ისინი აღებულია არა სინამდვილიდან, არამედ ღირებულების სამყაროდან, ჰიპოსტაზირებულია რეალური ნიშნების სახით და შემდეგ მიეწერება „საბჭოთა ადამიანს".

მკითხველი, იმედია, მაპატიებს, თუ ერთგვარ ანალოგიას მივმართავ. მიწერები საბჭოთა სინამდვილეში ხდებოდა არა მხოლოდ სამეურნეო საქმიანობის შედეგების აღრიცხვის დროს, არამედ „მეცნიერულ საქმიანობაშიც". ვითომ მეცნიერი, ნამდვილად კი დაქირავებული იდეოლოგი სინამდვილეს მიუმატებს ისეთ ღირებულ ნიშნებს, რომლებიც მას არა აქვს, ე. ი. ეწევა სინამდვილის იდეალიზაციას: ის, რაც უნდა იყოს, რაც იდეალშია მოაზრებული, წარმოდგენილია, როგორც ნამდვილად არსებული. საბჭოთა ადამიანზე წარმოდგენა რომ შექმნა, იდეოლოგმა სინამდვილის ამსახველი ცნება კი არ ჩამოაყალიბა, არამედ თავის ცნობიერებაში „გამოზარდა" იდეალური ადამიანის ტიპი, „საბჭოთა ადამიანის" იდეა, რომელშიც ღირებულებების მთელი კომპლექსი ჩადო. შემდეგ მსჯელობებს ღირებულების შესახებ დაფარა მსჯელობით ფაქტის შესახებ, ღირებულება, იდეალი მიმალა თეორიული მსჯელობის გარსში და ფაქტის სახით წარმოგვიდგინა.

ასე იქმნება ე. წ. „იდეოლოგიური ცნებები": იქ, სადაც ღირებულებითი მსჯელობები ობიექტური, თეორიული ფორმითაა გამოთქმული, ყოველთვის წინ დგას იდეა. მაგრამ ამ შემთხვევაში მსჯელობის თეორიული ფორმა არაა საქმის ვითარების ადეკვატური, რადგან ჯერარსული მსჯელობები, მსჯელობები იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს, ღირებულებითი მსჯელობები შეცვლილია მსჯელობებით ფაქტის შესახებ. მართლაც, საბჭოთა იდეოლოგმა თავისი ან დამკვეთის პოზიცია, განსაზღვრული ღირებულებითი განწყობა გამოხატა ობიექტური ფორმით — ფაქტის მსჯელობებით — ჯერარსი არსად მოიაზრა. აქ არის სწორედ იდეოლოგიური აზროვნება, როგორც „ყალბი ცნობიერების" წყარო.

ამგვარადაა კონსტრუირებული მთელი ის ცნებითი აპარატი, ზემოთ რომ მოვიხსენიეთ. „საბჭოთა მეცნიერება" ეწევა ყალბი იდეებისა და ცნებების, მოჩვენებითი სინამდვილის განუწყვეტელ ფაბრიკაციას, ამ მხრივ საბჭოთა იდეოლოგია არის უზარმაზარი და უნიკალური რეზერვუარი — სიცრუის ულევი მარაგი. ნიცშე ამბობს: სიცრუე მოითხოვს გამოგონებას, მახსოვრობას და მოტყუების უნარს. სვიფტს უთქვამს, ვინც ცრუობს, მძიმე ტვირთს იკიდებს; იმისთვის, რომ ერთი სიცრუე გაამაგროს, მან ოცი სხვა სიცრუე უნ-

და მოიგონოს. იდეების მთელი ეს გამოგონილი სისტემა შემდეგ თავს ეხვევა სინამდვილეს და აყალბებს მას — ეწევა მის იდეოლოგიზაციას, ეს იდეები, როგორც, „შინაგანი ფაქტები", მტკიცედ რომ სწამს იდეოლოგს, დაეშვება სინამდვილეზე და წარმოგვიდგება ფაქტიური სინამდვილის სახით. იდეების ეს ბადე უაღრესად მაცთუნებელია: ამ ბადეში მოხვედრილი უშუალო, გულუბრყვილო აზროვნებისათვის, რომელიც იდეებით ხელმძღვანელობს, იდეა არის უტყუარი რეალობა, სინამდვილის ყველა მოვლენისაკენ მისავლელი ხორციელდება იდეების მეშვეობით. ყოფიერება და შემეცნება საზრისს იძენს მხოლოდ იდეების სფეროსთან შეხების გზით.

ნამდვილად კი იდეოლოგი სინამდვილეში იმას ეძებს, რაც მან შეიტანა ფაქტებში. საამისოდ იგი მოუხმობს მეცნიერული აზროვნების ლოგიკას და მეთოდებს, რათა ფანტაზიის ნაყოფი სინამდვილედ მოგვაჩვენოს. იგი ქმნის მითების მწკრივს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეს არაფრით ჰგავს, მაინც სინამდვილედაა მიჩნეული. იდეა — მითი გამოირჩევა ემოციური დატვირთულობით, რაც მის მიმართ რწმენას და მოწიწებას მოითხოვს. აქაც გულუბრყვილო ადამიანი იდეების ტყვეობაში ვარდება: „იდეების შინაარსს" იგი ცხოვრების ურყევ პრინციპებად ალიქვამს. საბჭოთა იდეოლოგი ამოცანად ისახავს „აჩვენოს", რომ „ჩვენი" სინამდვილე არის განსახიერება მაღალი ადამიანური ღირებულებებისა და იდეალების. ამით იგი ეწევა საბჭოთა სინამდვილის მითიზაციას.

იდეოლოგიის კრიტიკის ამოცანა ამ მხრივ ის არის, რომ გამოავლინოს შენიღბული ღირებულებები, რაც შეიძლება ნათლად დაადგინოს ღირებულებითი წანამძღვრები იდეოლოგიურ სისტემაში. ეს ნიშნავს: მეცნიერება დეიდეოლოგიზირებული უნდა იქნას, ე. ი. გაიწმინდოს ისეთი ცნებებისაგან, რომლებიც წარმოიქმნება არა ობიექტური მეცნიერული კვლევის შედეგად, არამედ წარმოადგენენ ღირებულებათა ჰიპოსტაზირების და მათი რაციონალიზაციის ნაყოფს. სხვაგვარად — უნდა მოხდეს მეცნიერების დემითოლოგიზაცია — სამყაროს სურათის, მისი აგების მეთოდების, ისტორიული კვლევის განთავისუფლება მითიური ელემენტებისაგან. ჩვენს სინამდვილეში მეცნიერების დეიდეოლოგიზაცია ნიშნავს მეცნიერული აზროვნებისაგან საბჭოთა იდეოლოგიური დოგმატების ჩამოშორებას. ე. ი. კონიუნქტურული პოლიტიკური ორიენტაციისაგან გაწმენდას.

დეიდეოლოგიზაციის მოთხოვნა არ ნიშნავს იდეებისა და იდეალების უარყოფას საერთოდ, რადგან ეს გამოიწვევს ვაკუუმს — ადამიანში და მის გარშემო შეიქმნება სულიერი უდაბნო. დეიდეოლოგიზაციის მოთხოვნა ეხება დოგმატურ და გაუფასურებულ იდეოლოგიურ სტრუქტურებს, კერძოდ, კომუნისტურ იდეოლოგიას, რომელიც ინერციით და გარეგანი ძალით არსებობს და უსაზრისო გახდა მას შემდეგ, რაც კრახი განიცადა გრანდიოზულმა სოციალისტურმა ექსპერიმენტმა.

იდეოლოგიური ენთუზიაზმი მარქსიზმში ძალას იკრებდა იმ შეგნებიდან, რომ კომუნისტური იდეალის განხორციელება ემყარება განვითარების იმანენტურ კანონზომიერებას, ე. ი. დაკავშირებული იყო ისტორიის საბოლოო მიზანთან, რომელიც თითქოს მომავლიდან წარმართავდა კაცობრიობის საქმიანობას მის განსახორციელებლად. მაგრამ გზა, რომელსაც თითქოს ამ მიზანთან უნდა მივეყვანეთ, დამთრგუნველი აღმოჩნდა: მან მოითხოვა სისხლიანი რევოლუცია, სამოქალაქო ომი, პროლეტარიატის დიქტატურა, ექსპროპრიაცია, იმპერიული სტრუქტურის და ტოტალიტარული სახელმწიფოს შექმნა, პიროვნების კულტი, ეროვნული და ინდივიდუალური ცხოვრების ნიველირება და გაუფასურება, ტერორი და რეპრესიები. გზებისა და საშუალებების არჩევას განაგებდა არა ზნეობით და სიმართლით მოწესრიგებული და გაფორმებული ნება, არამედ შურისგებას და ნგრევას მოწყურებული „ჩაგრული მასების" სტიქია.

რევოლუციის იდეოლოგები ფიქრობენ, რომ მიზანი იმდენად დიადია, რომ ყოველგვარი საშუალება გამართლდება მისი განხორციელების შემდეგ. ეს იყო ყველაზე ბოროტი შეცდომა: შეუძლებელია საშუალება ნეიტრალური იყოს მიზნის მიმართ. მისი ღირებულება განხორციელების გზაზე თან მიჰყვება მიზანს, შედის მის შინაარსში და აუფასურებს მას. ასე მოუვიდა საბჭოთა იდეოლოგიის ძირითად საყრდენს — კომუნიზმის იდეას, იგი „გადაიყოლიეს" გზებმა და საშუალებებმა. მართლაც, თუ მან ასეთი საშუალებები მოითხოვა, იგი მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას. კომუნიზმის იდეა — ეს არის გამოქვაბულში მწოლარე მძვინვარე ლომი, რომელიც იქ შესულ ყოველ ცოცხალ არსებას უწყალოდ ნთქავს. იგი აბსოლუტური უტოპიაა, ხოლო მთელი პოზიცია და საქმიანობა, ამ იდეას რომ ეყრდნობოდა, — „ცუდი უტოპიზმის" ნიმუში აღმოჩნდა.

უტოპიურია ყოველი იდეალი, რომელიც განუხორციელებადია საერთოდ, ან განუხორციელებელია ყოფიერების განსაზღვრულ მომენტში. პირველს შეიძლება აბსოლუტური, მეორეს — შეფარდებითი უტოპია დავარქვათ. ერთიც და მეორეც ყოფიერების მიღმა დგანან და ეწინააღმდეგებიან მას. მაგრამ შეფარდებითი უტოპიის ჩართვა ყოფიერების ნაკადში პრინციპულად შესაძლებელია. საერთოდ უტოპიური ცნობიერება ორიენტირებულია მომავალზე, მიმართულია ისეთ ფაქტორებზე, რომელიც ყოფიერებაში არ არსებობს, მაგრამ შეიძლება აღმოცენდეს კონკრეტულ სიტუაციაში, და, რომელიც შედარებითი უტოპიის შესაბამისი იქნება. აბსოლუტური უტოპია მოკლებულია ასეთ შესაბამისობას.

უტოპიური მოდელები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუნქციონალურადაც. ერთი ტიპი უტოპიისა მიზნად ისახავს შეავსოს ნაკლოვანი სამყარო, საზრისიანი გახადოს უსაზღვრო ყოფიერება. აქ ადამიანს საშუალება ეძლევა წარმოსახვაში ჰპოვოს ის, რასაც სინამდვილეში ვერასოდეს მიაღწევს. ასეთი უტოპია ქმნის ოაზისს, სადაც ადამიანი მოისვენებს სულიერად. ამას გაქცევის უტოპიას უწოდებენ. არის აგრეთვე ისეთი უტოპიები, რომლებიც ცდილობენ მოამზადონ პირობები მომავალში ადამიანის განთავისუფლებისათვის. ეს არის ე. წ. რეკონსტრუქციის მოდელები. თუ პირველი სამყაროს ტოვებს ისე, როგორიც ის არის, მეორე ცდილობს, სამყარო შეცვალოს და მასთან ურთიერთობა დაამყაროს საკუთარი პირობებით. ამგვარ მოდელებს მიეკუთვნება მარქსისტული მოდელი.

მომავლის სახე, სამყაროს რეკონსტრუქციული მოდელის ცენტრში რომ დგას, იმდენად აქტიურია, რომ თავის გარშემო იკრებს წარმოდგენებს და განცდებს, აღწევს ცნობიერების ფენებში, მოიცავს და ბატონდება მასზე და აყალიბებს მისი შინაარსის შესაბამისი განცდის, ხედვის და მოქმედების წესს, რითაც წარმართავს სუბიექტის მოქმედებას განსაზღვრული მიზნისაკენ. ეს მოდელი ემყარება აზრს, რომ უტოპიური სამყარო საუკეთესოა შესაძლო სამყაროთა შორის, და რომ მისი განხორციელება შესაძლებელია. იგი იწყებს მოქმედებას არა ცარიელ ადგილზე, არამედ არსებულ სამყაროში, უყენებს მას საკუთარ მოთხოვნებს და ელაპარაკება ენით, რომელიც შიშს ჰგვრის სამყაროს — იგი იმუქრება არსებულის სრული აფეთქებით.

მარქსისტული იდეოლოგია ცდილობდა დაეფარა კომუნიზმის იდეის უტოპიური ბუნება იმით, რომ დაესაბუთებინა, თითქოს ეს იდეა ისტორიის იმანენტური განვითარების შედეგია. ამიტომ იყო, რომ არც მარქსს, არც ლენინს არ უყვარდათ იდეალებზე ლაპარაკი, ფიქრობდნენ, რომ იდეალები ადამიანთა გამონაგონია. რაც შეეხება კომუნიზმის იდეას, მათი აზრით, მისი განხორციელება თვითონ ისტორიამ ითავა. ასე იქცა კომუნისტური მომავალი კაცობრიობის ცხოვრების ერთადერთ ფორმად. პრაქტიკამ ნათლად გვიჩვენა, თუ რამდენად დამღუპველია ისტორიის ამგვარი ხედვა და მასზე დამყარებული პოლიტიკური საქმიანობა. კომუნიზმის იდეა ყველა უტოპიურ მოდელს შორის ყველაზე უტოპიური აღმოჩნდა, რაც გამოიხატა ტრაგიკულ დაძაბულობაში ამ იდეასა და რეალობას შორის.

მოქმედების პროგრამადქცეული მოდელის აბსოლუტური უტოპიური ბუნება თავს იჩენს როგორც შუალედურ, ისე საბოლოო შედეგებში. უტოპიური მოდელის განხორციელების ცდა დაღს ასვამს ადამიანთა ცხოვრებას და შეიძლება მოგვცეს ისეთი შედეგები, რომელიც იმთავითვე არც იგულისხმებოდა უტოპიის შინაარსში. ის, რაც თავისი ბუნებით: არც სრულად, არც მიახლოებით, არც პირდაპირ, განუხორციელებელია, სცილდება როგორც ადამიანის, ისე სინამდვილის შესაძლებლობებს. ამიტომ მისი განხორციელების ცდა მოითხოვს ძალადობას და სისასტიკეს ადამიანთა მიმართ, —ცხოვრებაზე ტერორითა და რეპრესიებით მანიპულირებას. სამყაროს ვერ მოვთხოვთ იმაზე მეტს, რისი მოცემაც შეუძლია. ძალადობა შექმნის სინამდვილეს, რომელიც წინანდელზე უარესი იქნება.

ყალბი უტოპიზმი (ეს ცნება ფილოსოფიაში ორტეგა-ი-გასეტმა შემოიტანა) არის პოზიცია, რომელსაც ჰგონია, რომ სურვილები და ჩანაფიქრები უბრალოდ — სრულად ან პირდაპირ განხორციელებადია იმის გამო, რომ ისინი მოაზრებადია. მაგრამ სულაც არაა ცხადი, რომ მომავლის სახე განხორციელებადია მარტოოდენ იმის გამო, რომ იგი მოაზრებადია, და როგორც შესაძლებელს აქვს მისწრაფება სინამდვილედ იქცეს, თითქოს სასურველი უკვე უზრუნველყოფილია როგორც სინამდვილის იმანენტური ნაყოფი. ასე ჰქონდა წარმოდგენილი მარქსიზმს კომუნიზმის იდეა — „ისტორიის რკინის აუცილებლობა", რომელიც სპონტანურად და მთელი სისრულით განხორციელდება ისტორიის ბოლოს. იგი მიიჩნევდა, რომ სამყარომ ადამიანის ძალისხმევითა და თანამონაწილეობით, ზუსტად და სრულად ის იდეალური ნაყოფი უნდა გამოიღოს, რაც ჩანაფიქრში იგულისხმებოდა. რაკი სამყარომ უარი თქვა ამ ნაყოფზე, ცუდი უტოპისტი განუწყვეტლივ ძალადობს სამყაროზე, შეაქვს მასში ტრაგიკული სიმძაფრე. ამიტომ თანამედროვე ადამიანის ცნობიერება აბსოლუტური უტოპიის შეჭრას სამყაროში განიცდის როგორც კრახს და ტრაგედიას — იგი მხოლოდ ბოროტებას ამრავლებს. ამგვარ სიტუაციაში აღმოჩნდა კომუნისტური იდეა და კომუნისტური იდეოლოგია — იდეების „კრიალოსანი", რომელიც ამ იდეაზეა აგებული.

იდეოლოგიური სისტემის კრახი ნიშნავს მისი როგორც სისტემის ნგრევას, მაგრამ არა ყველა მისი ელემენტის ქრობას. ბუნებრივად დგება ამოცანა მოხდეს ცნობიერების მთელი შინაარსის, მისი წარმონაქმნების გადაჯგუფება ახალ საფუძველზე, ე. ი. მათს შორის არსებული კავშირების მოშლა და ახალი კავშირების აგება ახალი ელემენტების ჩართვით. აზროვნების ამ პროცესს შეიძლება ვუწოდოთ დეიდეოლოგიზაციის — ღირებულებათა გადაფასების ან გაუფასურების პროცესი. ამ მდგომარეობას გულისხმობს ნიცშე, როცა ამბობს: ძლიერმა ქარმა დაუქროლა ხეებს და ყველგან სცვივა ნაყოფი — ჭეშმარიტებანი. ამაშია ნაყოფიერი შემოდგომის გულუხვობა: ყველგან ფეხებში ჭეშმარიტებები გვედება, ზოგიერთი სასიკვდილოდაა გასრესილი — იმდენად ბევრიაო ისინი. მაგრამ ის, რაც ხელთ გვრჩება, აღარ არის უკვე პრობლემატური, ეს უკვე გადაწყვეტილებებია.

ამჟამად „საბჭოთა საზოგადოება" კომუნისტური იდეოლოგიის ნანგრევებში ცხოვრობს. ზოგს არ უნდა ამ ნანგრევებიდან ამოსვლა, შეფარებულად და მკვიდრად გრძნობს თავს, ჰგონია, ამავე ნანგრევებიდან კვლავ შეიძლება აშენდეს „ხულის ტაძარი". მათ მოლოდინს და იმედს აქვს გარკვეული საფუძველი: ყოველი, მათ შორის კომუნისტური იდეოლოგია გამძლე სტრუქტურაა. იგი მრავალთავიან დევს ჰგავს, რომელიც მანამდე არ კვდება, სანამ ყველა თავს არ მოჰკვეთენ. მას შეუძლია იცოცხლოს მაშინაც კი, როცა მისი მასაზრდოებელი ფესვები გამხმარია.

გამოსავალი, ალბათ, ერთია — მობრუნება იდეებისაკენ, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან ჰუმანისტურ და უნივერსალურ ღირებულებებზე და დიალოგის პრინციპებზე. თუ ეს იდეები გა[illegible]დებიან, სისტემა უნდა იყოს ღია და ტოლერანტული, რომელიც თავისავე თავში ატარებს შინაგანი კრიტიკის და ცალმხრივობის დაძლევის, სხვა სისტემებთან მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას. კომუნისტური იდეოლოგია ბრძოლის, კონფლიქტის, კლასის — ადამიანთა ჩაკეტილი და შეზღუდული ერთობის იდეოლოგია იყო. ამან განსაზღვრა მისი ისეთი თვისებები, როგორიცაა: შეუწყნარებლობა, ცალმხრივობა, სუბიექტურობა, მისი აბსოლუტურობის რწმენა, აზროვნებისა და ურთიერთობის მანერის მდაბიურობა, მეცნიერული და ნორმატული ლექსიკის დაყვანა პარტიულ-პოლიტიკურ და მხედრულ ჟარგონზე.

იგი ყველა სააზროვნო სისტემის მიღმა მტრის მიმალულ და შენიღბულ ფიგურას ხედავს, რომლის გამოვლენა, უვნებელყოფა და იდეური განადგურება თავის ძირითად საქმედ მიაჩნია. კომუნისტური იდეოლოგია არ სცნობს არავითარ კომპრომისებს იდეების სფეროში, იგი არსებობს ბიპოლარობის პრინციპით — ან ეს, ან ის, ჩვენ და ისინი — ჭეშმარიტება მხოლოდ „ჩვენს" მხარესაა. ასეთი იდეოლოგია ჩაკეტილი სტრუქტურაა, იგი არ უშვებს არც შიგნიდან, არც გარედან კრიტიკის შესაძლებლობას და აზროვნების პლურალიზმს. ამგვარი მიდრეკილება განიცდება, როგორც იდეური დაბნეულობა და მერყეობა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს როგორც მტრის „იდეოლოგიური დივერსიის" შედეგი.

სოციალისტური სახელმწიფო იმთავითვე თვლიდა: 1. მისი უპირატესი უფლებაა ჩამოაყალიბოს სამყაროს საკუთარი ინტერპრეტაცია; 2. პოლიტიკას შეუძლია ეს კონცეფცია იარაღად გამოიყენოს; 3. პოლიტიკა შეიძენს ფუნდამენტურ მნიშვნელობას, თუ იგი შეძლებს თავისი მიზნები დაუკავშიროს საკუთარ პოლიტიკურ ფილოსოფიას — სამყაროს პოლიტიკურ კონცეფციას, რომელიც უნდა იქცეს ცხოვრების კრედოდ. ეს კონცეფცია მართლაც შემუშავდა წინასწარშემზადებული დასკვნებითა და დოგმებით, რომელთა ათვისება როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტებებისა საზოგადოების ყველა წევრისათვის სავალდებულო იყო. ამგვარ სულიერ გარემოცვაში აღზრდილი ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისუფალი და ობიექტური. იგი ვერ ენდობა საკუთარ ძალებს. არ შეუძლია ცხოვრების საზრისი თვითონ აირჩიოს, იქონიოს შეფასების საკუთარი კრიტერიუმი, რომელიც ამავე დროს არ იქნებოდა მოკლებული ობიექტურობასა და საყოველთაობას. მას არ შეუძლია შევიდეს თავისუფალ დიალოგში სამყაროსთან — მასსა და სამყაროს შორის დგას უზენაესი ინსტანცია— სოციალისტური სახელმწიფო თავის ეფემერული პოლიტიკური ღირებულებებით. „საბჭოთა ადამიანი" მითებისა და იდეალების ტყვეობაშია, რომლებიც აქტიურად წინ ეღობებიან სამყაროს ჭეშმარიტ ხედვას და ცხოვრების ჰუმანისტურ საწყისებზე მოწყობას.

ახალი იდეების ათვისების ძირითადი პირობაა ტოტალიტარული სახელმწიფოს სულიერი ტირანიისაგან განთავისუფლება, ხოლო გზა — ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დაფუძნებული ჰუმანიტარული განათლება სიტყვის ნამდვილი გაგებით, და ამ ღირებულებებით გაჯერებული პიროვნული და კოლექტიური გამოცდილება. ცხოვრების იდეალური მოწყობა მაშინაა შესაძლებელი, როცა ადამიანი შეძლებს იფიქროს და შემდეგ იმოქმედოს. მან უნდა შეძლოს წარმართოს თავისი მოქმედება კრიტიკული გონების ხელმძღვანელობით. ეს ნიშნავს: არსებობენ ფუნდამენტური იდეები, რომლებიც ადამიანმა უნდა მიუსადაგოს გამოცდილების სხვადასხვა სფეროებს. აუცილებელია ვენდოთ ამ იდეებს, როგორც უნივერსალურ პრინციპებს.

ოღონდ ნდობა უნდა ემყარებოდეს კაცობრიობის უეჭველ გამოცდილებას, რომლის საფუძველზე შეიძლება გამართლდეს როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური გამოცდილება, როგორც ფუნდამენტურ იდეებთან მისასვლელი გზები. გამოცდილებაში არ უნდა ჩაერიოს რაიმე გარეგანი ძალა, კერძოდ, ტოტალიტარული სახელმწიფო, რომელსაც — თავისი საზომით და შერჩევის პრინციპით მღვრიე ნაკადი შეაქვს ამ გამოცდილებაში, და იყენებს მას თავისი მიზნების გასამართლებლად.

რაც შეეხება ფუნდამენტურ იდეებს, ისინი ტრადიციულნი არიან ამავე დროს — გადადიან ეპოქიდან ეპოქაში და ავსებენ ცნობიერების დინად შინაარსს ტრანსფორმირებული სახით. ყველა სხვა, ასე ვთქვათ, მეორე რანგის, თანამგზავრი იდეები მნიშვნელობას იძენს ფუნდამენტური იდეებისაგან. ღრმა ჰუმანიტარული განათლება ადამიანს მისცემს შესაძლებლობას, თანამგზავრი იდეები შეუსაბამოს ამ იდეებს, არ დაუშვას ისეთი იდეების აღმოცენება ან განხორციელება, რომლებიც წინააღმდეგობაში იქნებიან ფუნდამენტურ იდეებთან.

ყოველ იდეას აქვს ჭეშმარიტების პრეტენზია (რომ მასში ღირებულება „დევს"). შევთანხმდეთ და მათ ჭეშმარიტებები ვუწოდოთ. ეს ჭეშმარიტებები ჰქონდა მხედველობაში ნიცშეს, როცა ძლიერი ქარისგან ჩამოყრილ ნაყოფზე ლაპარაკობდა: ეს ნაყოფი ჭეშმარიტებადაკარგული იდეები არიან. მხოლოდ ფუნდამენტური იდეები. არ ჰკარგავენ ღირებულებას, ჭეშმარიტებას, ყველა სხვა იდეა წარმავალია. ისინი „ძლიერი ქარების" დროს, კრიზისის ეპოქებში ნაყოფივით ცვივა. ასეთი ცვენის პროცესშია ახლა საბჭოთა იდეები.

არც სახელმწიფოს, არც მის სტრუქტურულ ნაწილს — პარტიას არ შეუძლია და არც აქვს უფლება იდეების შემოქმედი იყოს. გაჩენიდან დღემდე კომპარტია ადამიანებს არწმუნებდა, რომ მისი ყოველი ყრილობა და პლენუმი იდეური განვითარების ნიშანსვეტი იყო. მაგრამ მისიონერობის და იდეათშემოქმედების ეს პრეტენზია იყო მისი ყველაზე დიდი ცდუნება და სიყალბე. იგი მხოლოდ ლატაკ დოგმებად აქცევდა მარქსის მემკვიდრეობას, რითაც სრულად მოშალა ჰუმანისტური საწყისი, რომელიც მის ადრინდელ აზროვნებაში შეიმჩნეოდა. გორბაჩოვი ხშირად აღნიშნავს, რომ პარტია არის იდეების გენერატორი. თუ ეს რწმენა მართლაც არსებობს, იგი უბრალოდ ცრურწმენაა, აზრი კი — ყალბი. ჯერ ერთი, კომპარტიის ორგანიზაციული აგებულება ისეთია, რომ იგი იეზუიტების ორდენს უფრო ჰგავს, ვიდრე ჭეშმარიტ თანამოაზრეობაზე დამყარებულ მოქნილ და ღია სტრუქტურას. ეს მას საშუალებას არ აძლევს, გამოვიდეს დოგმების წრიდან, რის გამოც იგი ბუნებრივად ამოვარდნილია იდეების გენერაციული პროცესიდან. მეორე, პარტია როგორც სახელმწიფო სტრუქტურის ნაწილი არის კოლექტიური ფუნქციონერი, რომლის მოვალეობაა შეინარჩუნოს და განამტკიცოს არსებული, როგორც მყარი სინამდვილე, და იყოს სტაბილურობის ფაქტორი. მაგრამ არის სტაბილურობის ხარისხი, რომელიც შეუთავსებელია შემოქმედებით საქმიანობასთან. დიადი საქმეები კეთდება დიად ეპოქებში, რომლებიც ვერ ეგუებიან ამგვარ სტაბილურობას.

მესამე, ახალი იდეების შემოქმედება მოითხოვს თავისუფალ მეცნიერულ აზროვნებას, ხოლო აზროვნება, რომელიც ემორჩილება პოლიტიკურ მითითებებს, აღარ გამოდგება ახალი გამოცდილებისათვის; მეოთხე, ეს არის „ინტუიციური" ხასიათის საბუთი: კომპარტიამ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების და შენარჩუნების ისეთი გზა განვლო, არ არსებობს იმედიანი მოლოდინი, „ახალი იდეები", რომელსაც იგი გზადაგზა შემოგვთავაზებს, ძველი იდეების რეანიმაცია არ იქნება, ყოველივე ამის გამო კომპარტიას ბედისწერად დაჰყვა ჩაკეტილობა დინამიური სამყაროს მიმართ. ეს, ცხადია, არ გამორიცხავს ზოგიერთი მისი წევრის კრიტიკული აზროვნების შესაძლებლობას და სურვილს, რადიკალურად გადაფასდეს ყველაფერი, რაც კომპარტიამ მოიმოქმედა.

# მერაბ მამარდაშვილი

## თავისუფლების ფილოსოფოსი



გარდაიცვალა მერაბ მამარდაშვილი.

პირველ ელდას მოჰყვება მტანჯველი ფიქრები: ვინ დავკარგეთ... როგორ ვერ გავუფრთხილდით...

დავკარგეთ მსოფლიო გაქანების უნიკალური მოაზროვნე, რომელსაც საკუთარი განუმეორებელი ადგილი ეკავა საქართველოს, და არა მხოლოდ საქართველოს, ინტელექტუალურ ლანდშაფტში. სრულიად შეუძლებელია მერაბ მამარდაშვილი მიაკუთვნო რომელიმე ფილოსოფიურ სკოლას, მიმართულებას, ჩასვა მისი ნაშრომები ფილოსოფიურ დისციპლინათა სასკოლო სისტემაში. იგი თვითონ იყო დამოუკიდებელი მიმართულება. ყველა თავის ნაწერსა თუ გამოსვლაში იგი ცდილობდა წარმოეჩინა და გაეცხადებინა ის, რაც ყოველი სკოლის, მიმართულებისა და დისციპლინის მიღმაა — თვით ფილოსოფიის სული, რომელიც იმავდროულად თავისუფლების სულია. იგი იყო თავისუფლების ფილოსოფოსი, ხოლო ტოტალიტარულ საზოგადოებაში ცხოვრების ფაქტი თავისუფლების მისეულ განცდას განსაკუთრებით მწვავეს, მძაფრს, მტკივნეულს ხდიდა. ალბათ, სწორედ ეს თავისუფლების სუნი, რომელიც მის ნაწერებში, განსაკუთრებით — ლექციებში, ტრიალებდა, იზიდავდა მასთან უამრავ ადამიანს, მეტადრე, ახალგაზრდობას; მისი განსაკუთრებული პოპულარობა პარადოქსულად ეხამებოდა მის არცთუ იოლად გასაგებ, სპეციალური ტერმინებით დატვირთულ ენას.

იგი მხოლოდ თავის თეორიულ და სალექციო მოღვაწეობაში როდი უტრიალებდა ფილოსოფიური აქტის ბუნებას; თვით მისი ცხოვრებაც განხორციელებული ფილოსოფიური აქტი იყო, — ეს კი, როგორც ვთქვით, იგივე თავისუფლების აქტია. თავისუფლების პრინციპს მერაბ მამარდაშვილი ქცევითაც ამკვიდრებდა: იგი შინაგანად თავისუფალი კაცი იყო. ეს კი, ბუნებრივია, საქმაოდ საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ტოტალიტარულ საზოგადოებას იგი ძალიან არ ჰყვარებოდა. შედარებით ლიბერალური 60-იანი წლები რომ ჩამთავრდა, თითქმის მთლიანად მოესპო თავისი ნაშრომების საბჭოთა კავშირში გამოქვეყნების, ლექციების კითხვის საშუალება. სასტიკად აეკრძალა საზღვარგარეთ გამგზავრება. მიუხედავად ამისა, როცა აქა-იქ მაინც მოხერხდებოდა მისი ლექციების ციკლის ორგანიზება, ეს მოსკოვის ინტელექტუალურ წრეებში (1980 წლამდე კი მ. მამარდაშვილი მოსკოვში მოღვაწეობდა) ნამდვილ სენსაციას იწვევდა. მისი პიროვნება თითქმის ლეგენდარულად იქცა; ბევრი მას საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ნომერ პირველ ფილოსოფოსად თვლიდა.

1980 წელს მერაბ მამარდაშვილმა თბილისის ფილოსოფიის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. ჩემი აზრით, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მისი ნაწერების სტილიც უფრო ხალასი, გამჭვირვალე, ნათელი გახდა. თავისუფალმოაზროვნეობის ატმოსფერო, რომელსაც ქართული ფილოსოფიური სკოლა ყველაზე მძიმე წლებშიც ინარჩუნებდა, მისთვის ორგანული და ახალი იმპულსის მომცემი აღმოჩნდა. იგი ძალიან მალე იქცა თბილისისათვის აუცილებელ კაცად. ახალგაზრდობა მოეძალა მის ლექციებს, საჯარო გამოსვლებს, იშვიათი იყო საზოგადოებრივ-მეცნიერული, კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხი, ახალი წამოწყება, რომ მასთან რჩევის საკითხავად არ მისულიყვნენ, თანადგომა და მონაწილეობა არ ეთხოვათ. სულ ბოლო წლებში, როცა ყადაღა საბოლოოდ მოიხსნა, მისი, როგორც მოაზროვნის, ნამდვილი მასშტაბი, თანდათან სულ უფრო თვალსაჩინო გახდა. უამრავი ჟურნალი და გაზეთი, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, თავისი ღირსების საქმედ თვლიდა მისი სტატიისა თუ ინტერვიუს დაბეჭდვას. მას გამუდმებით, ზედიზედ იწვევდნენ დასავლეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში — კონგრესებზე, სემინარებზე, ლექციების კურსის წასაკითხად. იწვევდნენ, როგორც ცნობილ ფილოსოფოსს — მაგრამ მისგანვე იგებდნენ ჩვენი სამშობლოს, თავისუფლებისათვის მისი ძნელი ბრძოლის ამბებსაც. იგი ფაქტიურად იქცა საქართველოს ინტელექტუალური კულტურის სრულუფლებიან წარმომადგენლად საზღვარგარეთ. ახლაც — ამერიკიდან მოდიოდა, სადაც საგანგებოდ მისთვის მოწყობილ სემინარში იღებდა მონაწილეობას. მისი საერთაშორისო აღიარება მხოლოდ იწყებოდა.

მაგრამ, რაც გინდა ჰყვარებოდა ფილოსოფია და თეორია, მერაბი მერაბი არ იქნებოდა, რომ თავისუფლებისათვის რეალური ბრძოლისგან განზე დარჩენილიყო. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშიც იგი განუმეორებელ, აუცილებელ ფიგურად იქცა. იგი სულაც არ იყო თვინიერი, კომპრომისების მაძიებელი „ლიბერალი" (ამ სიტყვას აქ განგებ ვსვამ ბრჭყალებში), რომელიც სულ იმის ფიქრშია, კონკრეტულად არავის აწყენინოს; არა, იგი იყო თავისუფლებისათვის რადიკალური, შეურიგებელი მებრძოლი, ოღონდ უპირისპირდებოდა ტოტალიტარიზმის არა ცალკეულ სანიმუშო გამოვლენებს, რომელთა კრიტიკა მოცემულ მომენტში მოდაში იყო, არამედ ტოტალიტარიზმის სულს საზოგადოდ, ვინც გინდა გამოსულიყო მის მატარებლად. გასაკვირიც კია, როგორი შეუპოვარი ხდებოდა ეს პირად ურთიერთობაში უნაკლოდ ტაქტიანი, კეთილგანწყობილი, თბილი ადამიანი, როცა საქმე პრინციპულ საკითხებს შეეხებოდა. მას გააჩნდა თვისება, რომელიც დღესაც დეფიციტურად რჩება ჩვენში: სამოქალაქო სიმამაცე. იგი არასოდეს ნილბავდა სიმხდალეს „პოლიტიკური სიბრძნით" და პირდაპირ, საჯაროდ ამბობდა იმას, რასაც სხვები მხოლოდ ხანდო მეგობართა წრეში გამოთქვამდნენ. თავის დროზე, იგი სრულიად „არაპოლიტიკურად" უსწორდებოდა კომუნისტურ იდეოლოგიას და პრაქტიკას, რისთვისაც მისი ადეპტების რისხვას იწვევდა. შემდეგ, როცა „ოფიციოზის" ძაგება უსაფრთხო რიტუალად იქცა, არ უშინდებოდა საერთო მდინარების, საზოგადოების ამწუთიერი განწყობილების წინააღმდეგ წასვლას, თუკი ამას აუცილებლად თვლიდა უზენაესი ღირებულების — თავისუფლების ინტერესებში. იგი არასოდეს გარკვეულა პოლიტიკაში, როგორც პოლიტიკურ ძალთა განლაგების შეფასებისა და ამ შეფასების საფუძველზე ძალაუფლებისა თუ გავლენისათვის ბრძოლის ხელოვნებაში; ამ პოლიტიკაში მას მონაწილეობა არც მიუღია. მაგრამ მას ჰქონდა ნათელი ცნობიერება ნამდვილი მიზნისა; იგი არასოდეს აპატიებდა „თავისუფლებისაკენ მოძრაობას, თავისუფლების იდეალის ღალატს. ასეთი ადამიანების გარეშე ნებისმიერი პოლიტიკური მოძრაობა სულ მალე კარგავს ზნეობრივ ორიენტირებს.

თავში დასმულ კითხვას: ვინ დავკარგეთ, ვინ დაკარგა საქართველომ მერაბ მამარდაშვილის სახით, დღეს ჯერ ვერ ვუპასუხებთ. ამას დრო დასჭირდება. დღეს შეგვიძლია მხოლოდ ჩვენს თავს დავუსვათ კითხვა: გვესმის თუ არა, რას გვეუბნებოდა მერაბ მამარდაშვილი? გვიყვარს თუ არა თავისუფლება? მზად ვართ თუ არა ვიბრძოლოთ მისთვის?

**გია ნოდია**

## დამშვიდობება

წავიდა ჩვენგან მერაბ მამარდაშვილი, დიდი ნიჭის, მასშტაბური ბუნების ადამიანი, ასე საჭირო საქართველოსთვის.

მერაბ მამარდაშვილის არაორდინარულ აზროვნებას და ნიჭს დღესაც საერთაშორისო აღიარება აქვს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს მრავალფეროვანი ნიჭი მისი პიროვნული ღირსებებიდან ილებდა სათავეს. დღეს, ჩვენს უძნელეს დროში. დიდი სულიერი ძალაა საჭირო იმისათვის, რომ პიროვნებამ შეინარჩუნოს თავისი მთლიანობა. ეს შეძლო ბატონმა მერაბმა. მისი ცხოვრება და შემოქმედება განუყოფელია ერთმანეთისგან. ნიჭის ფენომენი და გონების ძალა, პიროვნული სიმტკიცე და გამბედაობა მხოლოდ ზნეობრივად მრთელ ადამიანს მოსდგამს. სწორედ იმიტომ იყო ის ასე მრავალფეროვანი და მასშტაბური, რომ ყველგან და ყველაფერში ერთი იყო; ერთი მრწამსიდან ამოდიოდა. ეს მრწამსი გახლდათ ადამიანის თავისუფლება, მისი შეურიგებლობა ყოველგვარი კერპების მიმართ. მხოლოდ შინაგანად თავისუფალმა კაცმა შეიძლება შექმნას დამოუკიდებელი ქვეყანა — აი ბატონი მერაბის პოლიტიკური მრწამსი, რომელსაც ის საკუთარი მაგალითით ქადაგებდა.

ძნელია ასე უცბად, ცხელ გულზე განსაჯო და შეაფასო ბატონი მერაბის პიროვნება. მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას: საკუთარ სინდისთან მართალი ადამიანი შეიძლება იყოს სულიერად ასე ძლიერი.

მძიმეა იმის განცდა, რომ ბატონი მერაბი აღარ არის ჩვენს შორის. რა თქმა უნდა, რჩება მისი ლექციები, მისი მეტად ორიგინალური შრომები, მაგრამ მთავარი მაინც მისი ცხოვრება იყო, მისი შეურიგებლობა ადამიანის ყოველგვარი დათრგუნვისა და დაბეჩავების მიმართ. ის თავს არასოდეს გახვევდა თავის სათქმელს, არამედ ალვიძებდა აზრს, იწვევდა ინტერესს და, რაც მთავარია, გაგრძნობინებდა, რომ ყოველგვარი კერპი, ყველანაირი დოგმა არის პირობითობა, რომლის გადალახვა ყოველ ჩვენთაგანს ძალუძს.

ღრმა არის ამ ადამიანის კვალი ქართულ ფილოსოფიაში. ადამიანისა, რომელიც მიუხედავად თავისი ნიჭიერებისა, ჯერ მოქალაქე იყო და შემდეგ მოაზროვნე, უფრო სწორად, ეს ორი მხარე განუყოფლად არსებობდა მასში. ცოდნის მოპოვება არ შეიძლება უმტკივნეულოდ, მხოლოდ გადმოცემისა და სწავლების შედეგად, ცოდნა მხოლოდ თავგანწირვით, საკუთარი არსების ხარჯვით შეიძლება მოიპოვო, — ასე ფიქრობდა ის.

მერაბ მამარდაშვილის ცხოვრება და შემოქმედება ეს იყო სწრაფვა ადამიანის თავისუფლებისაკენ, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის საფუძველი უნდა გამხდარიყო. ხედავდა რა ასეთ მისწრაფებას ჩვენს შორის, მან ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა საზღვარგარეთ:

„საქართველო უკვე დაადგა განთავისუფლების გზას და მას ვეღარაფერი შეაჩერებს".

დღეს ვემშვიდობებით ადამიანს, რომელიც თავისი მოქმედებით, ზნეობრივ ღირებულებებს ამკვიდრებდა ჩვენს შორის. გზა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ ყოველი ქართველის სულიერ განთავისუფლებაზე გადის. ეს გზა გაიარა ბატონმა მერაბმა. ამ გზაზე უნდა ვიდგეთ ჩვენც.

**მამუკა დოლიძე**

## ნებისმიერი ერი იამაყებდა...

სიკვდილი, მწუხარებასთან ერთად, ცხოვრების აზრზეც დაგვაფიქრებს ხოლმე. მით უფრო, თუ ჩვენგან მიდის ფილოსოფოსი, რომელიც დღენიადაგ ადამიანური არსებობის ღირებულებას უტრიალებდა და გარშემომყოფთაც ეხმარებოდა მის ძიებაში.

არადა, რამდენი რამ უშლის ხელს ადამიანს თავისი ყოფიერების ჭეშმარიტი საზრისის მიგნებაში: შინაგანი არათავისუფლება თუ შინაგანად გადაქცეული იძულებითი მონობა, საკუთარი სურვილით არჩეული თუ თავსმოხვეული ნიღაბი, წრეგადასული ამბიციები, თუ მსოფლმხედველობრივი პროვინციალიზმი და ვინ იცის, კიდევ რა.

ტრაგიკულია გაუცხოებული ადამიანის ბედი. თავისი ყოფნა ნამდვილი ცხოვრება ჰგონია და შეიძლება ისე გალიოს წუთისოფელი, ვერც კი მიხვდეს, რომ ნამდვილი ცხოვრებით არ უცხოვრია.

ზოგჯერ კიდევ უფრო დიდია ტრაგედია. გაუცხოებამ შეიძლება მთლად საზოგადოებაც მოიცვას. მაშინ კი მთელი თაობები ემსხვერპლებიან ყალბ იდეებსა და ცრუ ღირებულებებს, ფანატიკურ ილუზიებს. საზოგადოების ცხოვრება აბსურდის თეატრს ემსგავსება.

ასეთ შემთხვევაში განუზომელია ერის სულიერ მოძღვართა ღვაწლი — სიტყვით, საქმით თუ საკუთარი ცხოვრებისეული მაგალითით, რომ სთავაზობენ თანამოძმეთ ჭეშმარიტად ადამიანური ცხოვრების ორიენტირებს.

ერთი ასეთი ღირსეული მოძღვართაგანი დავკარგეთ მერაბ მამარდაშვილის სახით. დავკარგეთ ადამიანი, რომლითაც ნებისმიერი კულტურული ერი იამაყებდა. დავკარგეთ მაშინ, როდესაც იგი ასე გვჭირდებოდა თავისუფლებისაკენ და დემოკრატიისაკენ მიმავალ ძნელ გზაზე.

ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: ამ რამდენიმე წლის წინათ, თბილისში გაიმართა დისკუსია, რომელშიც თბილისელი და მოსკოველი ფილოსოფოსები მონაწილეობდნენ. დისკუსია მიეძღვნა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პრობლემებს. მოსკოველ ფილოსოფოსთა კონსერვატიული ნაწილი ჯიუტად იმეორებდა იმ დროს გავრცელებულ დოგმას, რომ ჭეშმარიტი სოციალიზმი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა მემკვიდრეა, ხოლო საბჭოთა კავშირში განხორციელებული მოდელი და კერძოდ, მისთვის დამახასიათებელი სულიერი სიღატაკე ჭეშმარიტი სოციალიზმის დეფორმაციის შედეგიაო.

დღესაც თვალწინ მიდგას ბატონ მერაბის შთამბეჭდავი გამოსვლა ამ დისკუსიაზე. მან დამაჯერებლად დაუსაბუთა ოპონენტებს, რომ საბჭოთა სინამდვილის სულიერი სიღატაკე და უზნეობა შედეგია ახალი, ე. წ. „საბჭოთა ადამიანის" აღზრდის ანტიჰუმანური თეორიისა, რომელიც ლენინიზმის მოძღვრების ორგანული ნაწილია. ეს თეორია ემყარება პიროვნულ და ეროვნულ ნიჰილიზმს, ადამიანის ღირსების შემლახველ ჯოგურ ინსტინქტებს. შედეგად მივიღეთ ადამიანის ტიპი, რომელსაც ახასიათებს ტოტალიტარული აზროვნება და მონური ფსიქოლოგია. უკიდურესი დოგმატიზმი და ფანატიზმი, ზოგადადამიანური კულტურისადმი სიძულვილი. ყოველივე ამას ბუნებრივად ერთვის უზრდელობა, მლიქვნელობა, მაბეზღარობა და სხვა მანკიერებანი. პიროვნების ასეთი გაუცხოება უდიდესი ადამიანური ტრაგედიაა და ბატონი მერაბის სიტყვებიც გაფრთხილებად ჟღერდა. წარმოიდგინეთ მოსკოველთა შეშინებული და გაოგნებული სახეები, რადგან „პერესტროიკა" ჯერ მხოლოდ იწყებოდა და ლენინის კრიტიკა უმძიმეს მკრეხელობად ითვლებოდა.

მერაბ მამარდაშვილმა ქართველ ერს და მის კულტურას მრავალი თაყვანისმცემელი შემატა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სადაც ცნობილი ფილოსოფოსი ყოველთვის სასურველი სტუმარი იყო. ყველაზე მთავარი და სასიხარულო კი მაინც ის არის, რომ მას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს მის მშობლიურ საქართველოში. ამის დასტურია აღფრთოვანებული ახალგაზრდებითა თუ მოწიფული ადამიანებით გადაჭედილი უზარმაზარი აუდიტორიები, სადაც ბატონი მერაბი საჯარო ლექციებს ატარებდა.

სიყმაწვილიდანვე ბედმა საქართველოდან შორს ყოფნა არგუნა. ხანგრძლივი გამოდგა მისი გზა სამშობლოსაკენ...

მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა, ბატონო მერაბ!

თქვენ უკვდავ სულთან ერთად მოვსწრებოდეთ თავისუფალ, ზნეობრივად ამაღლებულ საქართველოს, რომელზედაც ოცნებობდით.

**ნუგზარ ივანიძე**

## ემზარ კვიტაიშვილი

# ახალი ლექსები

### უცნაური შემოხედვა

დედაბერმა ბაზარში
წყვილი თვალი მომასო.
ვნახოთ, ცოდვილ მიწაზე
სანამ შეძლებ დგომასო.

გამიცინა კიდევაც,
ვნახოთ, სანამ ვივლითო;
შენ — ჯვარცმული ტან-ფეხით,
მე — აცმული ნივრითო.

მოვტრიალდი, წამოველ,
რას ვეტყოდი მე მასო,
ხომ ვერ დავანახვებდი
სულის, ხორცის გვემასო.

აღარ შევეპასუხე
მელანოს თუ ოლასო —
მაინც დგომა ჯობია და
ძრწოლა — ქვესკნელს წოლასო.

ვხედავ, გაწყვეტაზეა
გაწელილი კევიო...
სწვევნსაც უთქვამთ, გასროლილს
ვერსად დაეწევიო.

გინება და ხრიგინი,
ალმა-დალმა დენაო,
კუდიანმა გუნება
წამში წამიხდინაო.

ბრუნავს ჩარხი სალესი,
დანებს ლესავს სალოსი
და ილევა თავ-პირი
ჟამის უმოწყალოსი.

მომესმის გულის ბაგუნი,
ჩუმად დასცდება ბაგეთ:
მე გნახავ, რახან წამოსვლას
არ ეპირები აქეთ.

ერთხელ დაყვინთო ჯობია,
ამდენ წყვეტას და ჯახირს...
სიცოცხლე კაცის, საწყალის,
ნუღარც იკითხავ — რა ღირს.

ხდება — აბრეშუმს შრიალას
ფასიც არ ადევს „მარლის“...
სუყველაფერი, ჩემს გარდა,
გაძვირდა, ჩემო არლი.

### „თვითგვემა“

უშნო მაცვია სამოსი,
არ ვარ პოეტი სამასე,
მაინც მეძლევა, უნდა ვთქვა,
თვეში მანეთი სამასი.

ლექსებსაც ვბეჭდავ შიგდაშიგ,
დაწერილს წვით და დაგვითა;
იქაც მერგება გროშები,
მოლარემ თუ არ დაქვითა.

არ ვფიქრობ — სმაზე, ჭამაზე,
თვალს არ ვაყოლებ ლამაზებს...
ხან ვტირი და ხან ვიღიმი,
ვილა დამძრახავს ამაზე.

არ ვარ ზღვის გადამლახველი,
არც წავალ კუნძულ სამოსზე,
არც იმის თავი არა მაქვს,
კვერთხი ვეძებო სამოსე.

წამიყვანს, მისი ვიქნები,
შუბლზე ვინც მირონს წამისობს;
არ მომეშალოს იმედი
იმ ანგელოზის სამისო.

●

ქვეყნად ყველა მოვლენას
ეძებნება მიზეზი;
ვის „როკები“ აბრუებს,
ვის — ოპერა ბიზესი.

იქეთ წყნეთის გზა მიდის,
აქეთ — აეროპორტის,
კიტრი მოსწონთ დილმისა,
პამიდორი — ჰოპორტის.

ზოგი კარტით ერთობა,
ზოგის ჰობი კევია;
მე კი, ჩემთვის რომ ვეგდო,
ველარ მიმიღწევია.

### ანიჩკოვის ხიდი

ხიდზეა ჩემი თვალი და ყური.
ბრინჯაოს თევზი დგას თავდაყირა
ტლანქ მოაჯირზე, ცურვა სწყურია,
წვალობს, ქვირითი ველარ დაყარა.

შემეფეთება ფხა გაფარჩხული,
სად წაფერდილი თუჯის სვეტია;
ჯაჭვს აჩხრიალებს კუდით
ურჩხული,
ლურჯ სირინოზებს ხმა
ჩაწყვეტიათ.

ჩაკიდულია თავქვე კედელი,
ჭაობის დუქი ვერ ამოწოვა
და წყალმცენარე, მთლად
დაფლეთილი,
დააქანავებს მაჯებს ლორწოვანს.

ფანერის ყუთი ზანტად დაცურავს,
ვხედავ მკვდარ წყალზე კატერის
ტორტმანს;
ტყვიის ღრუბლიდან ცრის
ალმაცერად,
მოწყენა იცის წვიმაში პორტმა.

გრანიტის მკერდზე მართავენ
ჯირითს,
ცხენები, სიმწრით დასაურვები,
ტკვერავენ ლაგამს დაღრეჯილ
პირით;
ესმით — სკდებიან ცაში ჰურვები.

მწვანე მუცელზე, წნულად
გართხმული,
ულაყს ძარღვები გამობერვია,
ქვას ხეთქავს ფლოქვი, მისგან
დარტყმული,
ზურგზე რომ უთრთის, მისი
ნერვია.

ყრუს და უგონოს ეხლება ჯებირს
ასჯერ დაშლილი ტალღის
ტლაშუნი.
ვინ იტყვის, ვისი ჩაადნა ძვლები —
რას უძლებს თალი, მკვიდრად
ნაშენი.

რა გწამს, გათიშულს მთელისგან,
ნაწილს,
ბევრის მხილველი, ჯერდები
ცოტას,
შენს თვალწინ წამებს ატყვევებს
კაცი
და სამახსოვროს გპირდება
ფოტოს.

გაუთავები ზრიალი, სრბოლა...
ქვეყანას სახე ყალბად უბრწყინავს.
ნეტა როგორი ექნება ბოლო
უკვდავებასთან თამაშს, უწყინარს.

უნდა გაწვალდე, მოარგო საგანს—
ადევნებული ფორმა, იდეა,
ამ ფილაქანზეც ისე, ვით სხვაგან,
მოჩვენებითი, ცრუ სიმშვიდეა.

### გაბპატიოსნება
(ერთი ქუჩის ქრონიკიდან)

აღარც ის ჰალა,
აღარც ის ფშანი...
გამსკდარი გული,
გამტყდარი ჯანი...
გათავდა კაცი,
გაიდეს მხარზე.
რამდენიც გინდა ეძახე: ჟანი!..

არ ჰქონდა თავი მიდებ-მოდების,
არ იყო მარჯვე,
არც ჰგავდა უნდილს...
შეთხელებული საძმო ლოთების—
ვერელ ბიჭების—მიჰყვება გუნდი.

მოწყვეტილ ფოთლის ქარში
ფრიალი...
გასწორდა ვალი აქაც და იქაც;
ვმჯდარვარ საწყალთან,
იაფიანი,
შემისვამს ღვინო ორიოდ ჭიქა...
გვითქვამს — რა ალევს ამ
სოფლის აღმართს,
ბევრს გაძვრა,
ბევრსაც გაძვრება სიქა.

იწვის სანთელი,
ტკაცუნობს კვარი...
გადახაზული ხარ არარათი;
ვის უნდა შენი სახელი, გვარი
ან სავიზიტო თეთრი ბარათი.

ზოგის ხსოვნაში ხო მაინც ჩარჩი,
შვილო ცოდვისავ,
მეტი რა გინდა...
გაწეულია საერთო ხარჯი,
შეკვეთილია ქირის მაგიდა.

### ფასები

მყავდა ძმაკაცი, ბაზარში
ლლიცინი რომ არ ლლიდა, —
— რა ღირს, მიხაკო, მიხაკი?
— რა ღირს, ტიტიკო, ტიტა?

### გამწარებულის ვედრება

ამაშორე გესლი,
ღმერთო, ნუღარ შემშლი,
ასე მონატრებული,
ძილი მიე ჩემ შვილს.

ღმერთო, სადმე თუ ხარ,
ნუ მამყოფებ მწუხარს,
ამ გულს, დაღლილს, ნუ ღარავ,
ნუღარ, ნუღარ, ნუღარ...

კაცი მოკალ ჩემში,
არ მაღირსო ხემსი,
ოღონდ მოუშხამავი
ძილი მიე ჩემ შვილს.

ყვავილს მისას ნუ დასწვავ,
მე დამადნე — ცვილი,
დაუცლელო ნათელო,
იყავ დალოცვილი.

მარად თვალს რო მარიდებ,
დედავ მარიამო,
ნუთუ არც შენ არ გინდა —
წყლული დამიამო...

ღმერთო, მე დაგენახე
ტყვიით დაძენძილი,
გვედრებ, მე წამართვი და
ჩემ შვილს მიე ძილი.

### მუხათგვერდი
(აუთვისებელი ნაწილი)

საფლავებად დაიყოფა
ეს მინდორი ვეება;
მოედება ამ კორდებს
ტირილი და ვაება.

ნანატრით და ნაშოვნით
ქვეყნად ვინ აღვსილაო;
აქვე აიზილება,
ცემენტი და სილაო.
გამოტყვრები, უცაბედო

### კბილის ექიმთან

ისევ ზიხარ სტომატოლოგის ჩახუთულ კაბინეტში,
შემკრთალი უმზერ კედელზე ჩამწკრივებულ შპალერს.
შემჩნეული გაქვს — იცვლება მისი ფერი, მოხატულობა
(იმის კვალობაზე, ვის რა შესაძლებლობა აქვს)
და შენც თანდათან, ხუთ-ათ-თხუთმეტ წლობით,
გეცლება, ხელში გადნება ღვთის ნაჩუქარი,
ჭრელ ფარდაგად დაგორგლილი, მატყუარა სიცოცხლე.
დაძენძილ ხავსად, სუროს გრილ ფოთლებად იკლაკნება —
წებოთი, პურის გამბალი ფქვილით გაკრული შპალერი.
თუ საამისო უნარი გაქვს, მოსირმული კედლების მაცქერალი,
ეპოქების, ერთმანეთზე მიკეცილ საუკუნეთა ამოცნობას
შეძლებ.
ოდესმე იმასაც მიხვდები,—ძველის, გამოხუნებულის ნაცვლად
ახალი, გადატკეცილი რულონების გადაბმა, ვინ იცის, ეგებ—
შენი ყოფნის ბოლო, მოსასხლეტი ნაკვეთის დაწყებას
ნიშნავდეს;
შენც ასევე აეხევი მიწის პირს, სხვას დაუთმობ ადგილს
და დეკემბრის აქრიალებული ქარი აგწევს, ხევში მიგახვეტავს.
კაფელის ყვავილები შედარებით გამძლეა, ძნელად ასატეხი—
არ ჰკნება წვრილი, შავ-შავი ხაზებით დაქსელილი
(ზოგიერთი თავისითაც ცვივა), თუმცა მათაც შეუძლიათ
გარდასულის ჩვენება — შეყვითლებულებს, დაბზარულებს
(გვინახავს დანგრეული შენობების სართულებზე მათი კვალი).
რაღა არ გახსენდება, ვიდრე გვერდით, წაგრძელებულ,
გაქონილ სამზარეულოში ჯმუხი, შავტუხა ექიმი წაიხემსებს,
და ხელებდაკაპიწებული თავზე წაგადგება. ემზადები.
მისი ბანჯგვლიანი მაჯა ხელში გიჭირავს. შუბლს ოფლი ნამავს.
ბურღის ტრიალი. ხახაში შეტრუსული ძვლის, ხრაკის გემო,
გვერდულად გასერილ ენას ჩაყოლებული, სასიამოვნო.
გარბილებული, შუშაზე აფხეკილ-დაგუნდავებული
ცემენტის ბურთულა, ამომშრალ ხვრელში ჩასაგლესი.
ყველაფერი მომაბეზრებლად ნაცნობია, შეჩვეული:
ალუმინის სოკოდ ამოზრდილი საფურთხებელი —
წაქანებული, გვერდებშეჭეჭყილი, სისხლიანი.
კეფაზე მორგებული, რბილად გადაწვენილი სავარძელი.
მინის კარადაში გამოდებული უცნაური მარწუხები...
დაქამული სარკის პაწაწინა, მოღრეცილი ჩოგანი, დაკუთხული,
წვერწამახული ნიკელის ჩხირები, სარყევ-საჩიჩქნელი.
ათ წუთში ზარი დაიჟღრიალებს, რიტმულად ტოკავს საათი.
ამოგაძრეს ღრძილში გარჭობილი დამბანგველი ნემსი.
თანდათან უგრძნობ ნაფოტად გექცევა შესიებული სასა,
ყბა მოძრობაზეა, სანერწყვე ჯირკვლების ნაცვლად
ბრტყელ-ბრტყელი კენჭები გაქვს ნიკაპქვეშ ჩალაგებული.
თან მიიყოლებს დაძენძილი სიცოცხლის ნაწილს
მარწუხის კაუჭებს შერჩენილი, ფულუროიანი,
საფურთხებელში ყრუდ გარაკუნებული კბილი,
შმორის სუნი რომ დაყვება მოცვეთილი ფესვებიდანვე.
დაგერღვა, მოგეშალა მინანქარშემოცლილი თეთრი გალავანი—
კაცობის ნიშანი; შავ, მოყავისფრო ნაფხვენებად დაგცვივდა.
დაგიხედავს შეწუხებულს, ცერის ფრჩხილებში
მოგიფშხვნია.
ვერაფერი ხელობაა თვალმოკრული ნაფლეთების გამთლიანება:
იოდიანი ბამბა, გადაქლეტილ პირის ღრუში აქროლებული
ეთერი...
ნაჭრილობევში გრილი, სოდიანი, წყლის დაგუბება და
გამოვლება...
უწვრილესი, დრეკადი მავთულის წვერზე წამოცმული შხამის
წვეთი.
შაბის კრისტალები, ჭიქაში გამდნარი, აბრჭყვიალებული...
სტერილიზატორში ჩახუფული ჩხარუნა, საწამებელი იარაღები...
პურის ცომივით ქავდება ანაბეჭდებიანი, დანერწყვილი
თაბაშირი...
ერთი მტანჯველი თვისება დამყვა დედის მუცლიდანვე —
ყოველგვარი ტკივილი და ხმაური ჩემს წარმოდგენაში
სხვადასხვა ზომისა და ფერის სურათებად ლაგდება...
ცნობილია, ბგერას ერთდროულად აქვს სილბო და სიმჭახე;
ბალახს რომ დავარცხნის, შეუძლია ჭაღებიც ჩამოილოს.
ასეა. ერთხელ რომ გაგექცევა ფიქრი, მერე ჰირს შებოჭვა,
ალვირის ამოდება; მის ნებაზე მიედინება, ილვრება.
იმდენს კი ვხვდები — ყოველივე ამას ნამდვილ პოეზიასთან
თითქმის არაფერი აქვს საერთო; ხორხში მაწვებოდა,
როგორც საოპერაციოდ გამზადებულს ქლოროფორმი...
ამიტომაცაა — თანმიმდევრობა ასე ნაკლებად რომ იგრძნობა
ჩახერგილ, ერთმანეთზე უშნოდ გადახლართულ სტრიქონებში.
ხშირად გამიგონია ლაღი, გახარებული კაცისაგან:
მეორედ დავიბადეო. ჩემს თავზე (არცთუ უმიზეზოდ)
ბევრჯერ მითქვამს: ნეტა იმ ერთხელაც არ დავბადებულიყავი.
ახლაც ჩემთვის ვცოდვილობ. არ იქნება მოსაწონი საქციელი—
ჩემი უემური გუნებ-განწყობილება გადავდო სხვას,
ვინც კბილის ექიმთან იშვიათად ან საერთოდ არ
მოხვედრილა.

ჭირო, ლხინის ნაცვალო,
კაცი, სიმწრით ყაჩენილი,
არ ღირს; ასე აწვალო.
არ ილევა, არ თავდება
(ჭირს ამდენის გაძლება)
კარებიდან გვარების
ქვებზე გადანაცვლება
მალე უნდა დანაწილდეს
ფერდი საიალაღე,
ვთხრით, ამოსვლას არ ვაცლით—
ყვავილებს და ბალახებს.



კლუკი-ფონ-კლუგენაუს კავკასიაში ჩამოსვლამდე გიმრში რვაასამდე კომლი ცხოვრობდა. აული გაშენებული იყო უშუალოდ მდინარე ყარა ყოისუს („შავი მდინარის“) მარჯვენა მხარეს, მდინარისაკენ მიმავალი გზის მიმართულებით აულის სიმაღლე, სულ ქვემოთ მდება-

...საშუალებით, ფიცი დასდო. თვითონ არც კი გამოცხადებულა ფეზესთან, რომელსაც შემტევი ბატალიონები აკლდა და იძულებული იყო ხელცარიელი გაბრუნებულიყო აულიდან.

ნიკოლოზ პირველი დაინტერესებული იყო დაღისტანი და ჩეჩნეთი იმპერიისათვის შეეერთებინა და, შამილის მშვიდობიან პოლიტიკაში

## აკაკი განერელია

# შეხვედრა გიმრის უღელტეხილზე

(ერთი თავი ეპოსი-რომანიდან „შამილი“)

მარჯვენა ფეხის ტერფთან ისე ძლიერ დაუჭრიათ, რომ შემდეგ იგი მხოლოდ ყავარჯნით აზრხებდა სიარულს, თანაც მწვავე ტკივილები სიკვდილამდე არ ასვენებდა.

რე საერთო წყაროდან მოყოლებული, ახი საუენი იქნებოდა. აულიდან მდინარემდე კი, ზეუმოთ და ქვემოთ, ხუთი ვერსტის მანძილზე განლაგებული ტერასები შესანიშნავი ხეხილის



ფ. კ. კლუკი-ფონ-კლუგენაუ

დარწმუნებულმა, კავკასიის მთავარმმართველობას დაავალა საქმის მშვიდობიანი მოგვარება, უწინარესად კი შამილის ნებაყოფლობით გადმობირება თბილისში, აქ მისი ჩამობრძანების დღეებში.

კლუგენაუც შეუდგა ფეზეს დავალების შეს-

...ტლოში ფეზესთან დადებული ფიცისა და გულწრფელობის დასადასტურებლად დათანხმებულიყო თბილისში გამგზავრებაზე. გარდა ამისა, ალი-ხილაუს დაავალა შამილს ყურად-

(დასასრული მე-16 გვ.)

# „...მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?"

## სალიტერატურო ცხოვრებაზე საუბრობენ

## როსტომ ჩხეიძე

## თამაზ ბიბილური

თამაზ ბიბილური: მწერლობისადმი დამოკიდებულება დღეს იმაზე უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. წლების მანძილზე ხალხს ვუმტკიცებდით, რომ მწერალი ტრიბუნია და ისინიც მხოლოდ იმ მწერლებს იცნობდნენ, ვინც ხშირად იდგა ტრიბუნაზე. ნამდვილ მწერლებს ხალხი ზოგჯერ არც გარეგნულად იცნობს, არც მათი ნაწერებით.

თუ მწერლებზე ვინმეს დაბალი წარმოდგენა აქვს, ამაში გარემოც სცოდავს და მწერლობაც. ბევრმა დავიმცირეთ თავი, ვიღაცი მეგობარი არ გავხდით, ვიღას არ შევასხით ხოტბა, ვისი აღარ გვეშინოდა. დღეს თუ ამას წამოგვძახებენ, ნუ გავიკვირვებთ. ვთქვათ, რომ ეს სრულიად ბუნებრივია. წამოძახების დრო ჩაივლის და დადგება სულიერ ფასეულობათა ღრმა შესწავლის დრო. მაშინ გახდება აშკარა — ვის შემოქმედებაში რა არის მთავარი და რა — შემთხვევითი, ან ხარკის მოსახდელად დაწერილი. ხარკს კი ასე თუ ისე, ყველა ვიხდიდით.

ჩვენი მკითხველი და მაყურებელი ზიზღით კი არ არის განმსჭვალული, გულუბრყვილოა.

მაგრამ მწერლობისადმი დამოკიდებულება მარტო გულუბრყვილო ხომ არ იყო? იყო მტრულიც... სასტიკიც... ყველაფერი, უკლებლივ ყველაფერი, რაც კი ქვეყანაში ოფიციალურ ხელისუფლებას არ მოსწონდა, მწერლობას ბრალდებოდა. ვინმე მოძმე რესპუბლიკის შვილი ნაყენი რომ დარჩენილიყო ავტობუსში ან მატარებელში, ესეც მწერლობის დანაშაულად ცხადდებოდა — ხალხთა მეგობრობის იდეალებს პროპაგანდას არ უწევსო. მწერლობა და პროპაგანდა? — რამდენს იცინოდა ამაზე ცივილიზებული მსოფლიო...

თუ დღესაც ყველაფერი მწერლებს დავაბრალეთ, არაფერი შეცვლილა და ეგ არი...

როცა გარდუვალი ქარიშხლები მოახლოვდა, ლიტერატურის ექსპლუატაცია უფრო ვერაგული და შემპარავი გახდა. აღარავინ გეტყოდა ჭიქურ: ამა და ამ კაცის წერილი არ დავინახო გაზეთშიო. მაგრამ „უბრალო საუბარში", სიცილით ჩაურთავდნენ: „რას აიჩემეთ ესა და ეს... არა, კარგი კაცია, ნიჭიერიც, მაგრამ სხვა აღარავინ გინდათ დაბეჭდოთ, ხომ არიან სხვებიც"... და ჩვენ კარგად ვიცოდით, ვინ იყვნენ ის „სხვები". თავად ვითომ „კარგი ბიჭები" გამოდიოდნენ, ნარის გლეჯა კი სხვისი ხელით უნდოდათ. ჩვენ შეგვარისხავდნენ, მავანის ლექსები რატომ დაბეჭდეთო, თვითონ კი, მეორე დღეს, სუფრაზე იმ მავანს ხელს გადახვევდნენ და პირველ პოეტად აღიარებდნენ.

რაში დამჭირდა ამისი თქმა? ალბათ, იმასთან დაკავშირებით, რომ მწერლობაზე დაწოლის უამრავი ფორმა არსებობს: მუშტის ბრახუნით და ხიშტით დაწყებული, და ნათელი ღიმილით და „მრავალჟამიერით" დამთავრებული.

რა თქმა უნდა, წინა და ჩვენი თაობის ბევრი მწერალია მომსწრე სამწერლო ცხოვრების მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ისტორიული ამბებისა. და ისინი ოდესმე [illegible] გაიხსენებენ, მაგრამ ჩვენც (სამწერლო გაზეთის რედაქციის ხალხს ვგულისხმობ). ბევრი რამ ვიცით იმგვარი, რაც სხვამ, რაც არ უნდა დიდი ადგილი სჭეროდა, შეიძლება არც იცოდეს. ეს ბუნებრივიცაა. მწერალთა კავშირი სცენაა, სადაც სპექტაკლები თამაშდებოდა, ჩვენ კი, რედაქცია, კულისები ვიყავით. როცა სცენაზე პიესა იდგმება (განსაკუთრებით თუ დადგმა უხეიროა), კულისები უფრო საინტერესოა, ვიდრე თვით სცენა. ჩვენ მოწმენი ვართ, იმგვარი ამბებისა, რომ სამწერლო ცხოვრებიდან შორს მდგომ მკითხველს არც კი მინდა გავუმხილო. მწერალმა ხშირად კრიტიკოსისგან წინასწარ იცოდა, რა ეწერა მის წიგნზე „შექმნილ" სტატიაში; გვსაყვედურობდა, „ის ადგილი" რად ამოიღეთ, ან ეპითეტები რად გამოხშირეთო. უფრო მოურიდებელნი პირდაპირ სტამბაში კითხულობდნენ საკუთარ ქებას და სწორედ „იმ ადგილებზე", რაზეც გული წყდებოდათ, აღმიდგინეთო, გვთხოვდნენ. თავადვე ადგენდნენ სიებს, ვინც საიუბილეოდ უნდა მისალმებოდათ და, წარმოიდგინეთ, მისასალმებელი წერილებიც საკუთარი ხელით მოჰქონდათ. ერთმა კრიტიკოსმა თანამდებობრივ მწერალზე წერილი მოგვიტანა. იმ ხანებში ის მწერალი წავიდა თანამდებობიდან. აბა, როგორ დაიჯერებთ, თუ გეტყვით, რომ კრიტიკოსმა ის წერილი იმ კაცის შემოქმედებაზე გადააკეთა, ვინც წასულის ადგილი დაიკავა. საამისოდ კი დიდი შრომა არც დაუხარჯავს: გადააკეთა გვარი, წიგნის სახელი, ციტატები, და წერილი ახლა ჟურნალში მიიტანა. მადლობა ღმერთს, ჩვენი შერცხვა! არც იმას დაიჯერებთ, რომ ერთმა „ღვაწლმოსილმა იუბილარმა" საკუთარი ხელით დაწერილი, საკუთარი თავისადმი მისალოცი რამდენიმე წერილი გამოგვიგზავნა, ამა და ამ ცნობილ ხალხს დაურიგეთ და ხელის მოწერას როგორ დამზარდებიან, შეიძლება თვითონ დასაწერად ვერ მოიცალონო.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო" № 47

**როსტომ ჩხეიძე:** ამ ყველაფერზე ოდესმე წიგნს ხომ არ დაწერდით?

**თ. ბ.:** ალბათ არ დავწერდი. ხომ ხედავთ, სულ „ვიღაც", „ერთი ვინმე" და სხვა ამგვარი მაკერია პირზე. არ მიყვარს, კაცს რომ გული ვატკინო და თანაც შეგნებულად. არ მიყვარს ვინმეს გამოჯენება. ასე მგონია, „გამოჯენებასა" და დასმენას შორის ერთი ნაბიჯილაა-მეთქი. და თანაც... წიგნი მხოლოდ სიყვარულმა შეიძლება დაგაწერინოს. მიმტევებლობა ამაღლებს და ალამაზებს ადამიანს. თუ ყველანი მიმტევებლობას არ გამოვიჩენთ, ცუდად წავა ჩვენი საქმე. თანაც მიმტევებლობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე თავზე დავისვათ. მიმტევებლობა წინააღმდეგობის ადამიანურ მეთოდებს გვკარნახობს.

მწერალს თავისი ყველა გმირი, უყვარს თუ არა, ეცოდება მაინც. თანალმობა მწერლის მთავარი თვისებაა.

ნათელი არაფერი იყო ჩვენს ჯოჯოხეთურ წლებში?

როგორ არა, რამდენიც გნებავთ, და ეს ნათელი გვაცოცხლებდა.

ვერავინ დამაჯერებს, რომ ჭეშმარიტმა ქართულმა მწერლობამ ისე გაიტეხა სახელი, მხოლოდ ზიზღს თუ იმსახურებს. ღმერთმა შეუნდოს ყველას, ვისაც ვეზიზღებით.

გალაკტიონ ტაბიძეს მართალი უბრძანებია: ჩვენს სიმდიდრეს ვერ ვუვლით. ტოტალიტალურ ხელისუფლებას ყველაფერი ნუ დაბრალდება, ჩვენ არხეინი ხალხი ვართ. ყველაზე ტოტალიტარული ყოფის დროსაც კი იქმნება ნაწარმოებები, რომელთაც წლების მერეც წაიკითხავენ. ასე იყო ჩვენს საუკუნეშიც. პარადოქსულია, მაგრამ ზოგჯერ ტოტალურობა გაიძულებს, კიდეც მთელი ძალის დაძაბვას და ერთი მიზნისაკენ წარმართვას. ასეთ დროს აზროვნება დამუხტულია (რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი შემოქმედის აზროვნებას ვგულისხმობ). რაც არ უნდა თავი მხიარულად დაიჭირო, შინაგანი სულიერი დრამა თავის თავს აჩენს და ნაწარმოებშიც აშკარად ვლინდება. გიორგი ლეონიძეს პოემა აქვს სტალინზე... ბოლოს დაწერა „ნატვრის ხე"... თუ შეიძლება, რომ „ნატვრის ხის" ავტორს რაიმე ვკადროთ, საბედისწეროდ დავბნეულვართ და ეგ არი. თუ სადმე ჩანს ქართული ენის სიდიადე, სილამაზე, სიდარბაისლე, ნოყიერება და ლირიკული სინაზეც, „ნატვრის ხეშიც" ჩანს უპირატესად.

ამიტომ, ლანძღვას, გვიჯობს, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია თავიდან დავწეროთ, ყველაფერი, ძირისძირობამდე, თავიდან გავიაზროთ. თუ მეხსიერება არ მღალატობს, გალაკტიონ ტაბიძეს ერთი ჩანაწერიც აქვს. არ ვიცი, ეს ჩანაწერი მოხვდა თუ არა მისი თხზულებების ბოლო ტომში, დღიურები პოეტისა ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე წავიკითხე: გარშემო უკულტურობა სუფევს, სადაც არ უნდა მიხვიდე, თვით უნივერსიტეტში და მწერალთა კავშირშიც კი. ხედავთ, მწერალთა კავშირში უკულტურობაა. ამის წარმოდგენაც კი ზარავდა პოეტს. ამის მერე რაღა დაგვრჩენია, გაჩუმების გარდა...

**რ. ჩ:** მართალს ბრძანებთ, ნამდვილ მწერალს (და არა რომელიმე პარტიისა და პოლიტიკური დაჯგუფების მეხოტბეს), სულაც არ მოეთხოვება იყოს ისეთივე ორატორი, როგორი მხატვრული მოაზროვნეცაა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ხომ არის ხალხი, ვისაც გულით სურს უშუალოდ მოუსმინოს მწერალს. თქვენ თუ გებადებათ მკითხველებთან შეხვედრის სურვილი ან, საერთოდ, რამდენად აუცილებლად გესახებათ მწერლის უშუალო საუბრები მკითხველებთან. აქ არ იგულისხმება პროპაგანდისტული შეხვედრები, როცა ძალისძალათი შეკრებილმა ხალხმა არ იცის, რას მოითხოვენ მისგან და რატომ უნდა უსმინონ უცნობ პიროვნებებს უინტერესო თემებზე. მაგრამ ალბათ საინტერესოა მწერლისათვის, როცა პირადადაც ესაუბრება მკითხველს, ნამდვილ მკითხველს, ვისაც წაუკითხავს ამ მწერლისა და სხვა თანამედროვეთა თხზულებანი, მოსწონს, აღელვებს, თავისი მოსაზრებანიც აქვს, ლიტერატურულ ცხოვრებაში უფრო ღრმად ჩახედვის წადილი ამოძრავებს. აი, დგახართ ტრიბუნასთან და, ვთქვათ, ასი ან ორმოცდაათი სტუდენტი თქვენგან მოელის საგულისხმო პასუხებს. აინტერესებს თქვენი მონათხრობი, გეჭმათებიან კიდეც, გულისყურით გისმენენ, როცა უკითხავთ ახალ მოთხრობას, რომანსაც კი. დღეს ნაკლებად იწერება დიდტანიანი რომანები და მათი თანამედროვე მოცულობა საკმარისია საამისოდ, რომ კითხვა ორსამ დღეში თავისუფლად მოთავდეს...

ის, რომ მწერლის უმთავრესი მიზანი მარტოობა და წერაა, არ უნდა აფერმკრთალებდეს ამგვარ შეხვედრათა მნიშვნელობას. უილიამ ფოლკნერსაც კარგად მოეხსენებოდა, რაც არის მწერლის მიზანი და, თანაც, თავისი ბუნებით მარტოსული და გულჩათხრობილი კაცი იყო, მთელი ცხოვრება გაურბოდა საზოგადოებასა და ურთიერთობებს, მაგრამ გამოიჩინეს თუ არა ინტერესი მისი შემოქმედებისა და პიროვნებისადმი, მოვალედ მიიჩნია თავი, რათა ამერიკის უნივერსიტეტებს სწვეოდა (ვირჯინიის უნივერსიტეტში წელიწადნახევარიც კი დაჰყო) და იაპონიაშიც გაემგზავრა ოკეანისიქითა ახალგაზრდებთან სასაუბროდ. მას ძალიან გამახვილებოდა პასუხისმგებლობის გრძნობა და ისიც მტკიცედ სჯეროდა, რომ დიდ მკითხველთა, დიდ მსმენელთა გარეშე ვერც დიდი ლიტერატურა და ვერც ნამდვილი ლიტერატურული გარემო ვერ შეიქმნებოდა. მკითხველთა გემოვნების აღზრდისა და დახვეწის ერთ ყველაზე ეფექტურ გზად კი, ბუნებრივია, პირადი შეხვედრები და საუბრები ესახებოდა.

**თ. ბ.:** მწერლისა და მკითხველის ურთიერთობა ისევე ბუნებრივი უნდა იყოს, როგორც ურთიერთობა მეგობრებისა, ახლობლებისა და სხვათა. ჩვენში კი ამას პოლიტიკური და ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა. მახსოვს, ერთ გვალვიან ზაფხულს როგორ აგზავნიდნენ კახეთში მწერლებს, რათა გვალვისაგან დაზაფრული გლეხობა გაემხნევებინათ. მე სოფელს მგონი კარგად ვიცნობ და ვიცი, რითაც დამთავრდებოდა ეს გამხნევება. „ახლა ამათი დრო გვაქვსო?" სახეზე ეწერათ, ალბათ, მასპინძლებს. ბოლოს მაინც ქართული სტუმართმოყვარეობა თავისას გაიტანდა და მწერალი და მკითხველები ერთმანეთს შეჰფიცებდნენ სამარადისო ერთგულებას, სადმე მუხის ქვეშ, მწვადებისა და ღვინის ხელადის გარემოში.

გვალვა კი მაინც თავისას იზამდა.

რა თქმა უნდა, როცა ნაწარმოები იქმნება, იმ დროს მკითხველზე, მის მოთხოვნილებასა და გემოვნებაზე ფიქრი იქამდე მიგიყვანს, რომ ის კი არ დაწერო, რაც შენ გინდა, არამედ ის, რაც სხვას უნდა. ეს რაღა მწერლობაა? აქედან იმ ავანტურისტულ ლოზუნგამდე — „ხალხს ჰირდება სინამდვილის ამსახველი ნაწარმოებები", „ხალხს არ ჰირდება დეკადენტური, სევდით და წუწუნით აღსავსე ლექსები" — ერთი ნაბიჯილაა, მაგრამ აი, დამთავრდა წერა და ნაწარმოების პირისპირ დარჩი, ამიერიდან ის უკვე სხვისი უნდა გახდეს. ის სხვა კი მკითხველია, თუნდაც მას კრიტიკოსი ან ლიტერატურისმცოდნე ერქვას. არ დავიჯერებ, თუ ვინმე მეტყვის, მკითხველისათვის არ ვწერ და არც მაინტერესებს ჩემს წიგნზე ვინ რას იტყვისო. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ ყველანი მკითხველისათვის ვწერთ. რას ეტყვის ეს წიგნი მკითხველს? როგორ გაიგებს ამა თუ იმ დეტალს? როგორც მე ჩავიფიქრე თუ სულაც ვერ შენიშნავს? ასევე გატაცებით წაიკითხავს, როგორადაც ვწერდი თუ გულგრილად გადადებს გვერდზე? ეს კითხვები, მე მგონი, ყველა მწერალს ებადება. და უსარია, როცა სათქმელი გაუგეს, როცა ქვეტექსტი სწორად ამოიკითხეს. დიახ, ნამდვილად მაინტერესებს რას ფიქრობს ჩემი ნაწარმოების წაკითხვისას მკითხველი ან პროფესიონალი კრიტიკოსი, მაგრამ ისიც ჩემი ნებაა, წავიკითხავ თუ არა ჩემზე დაწერილ ყველა წერილს, ან მოვუსმენ თუ არა ყველას, ვინც კი მოიწადინებს თავისი აზრი პირში მომახალოს.

გამოდის, რომ მკითხველთან მწერლის ურთიერთობა არც ისე იოლი რამაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მწერალიც ადამიანია და რაკი ყოველი ადამიანი პიროვნება უნდა იყოს, ყველას ერთნაირად ნუ მოვთხოვთ. არიან მწერლები, რომელნიც თავს მხოლოდ მაშინ გრძნობენ კარგად, როცა ირგვლივ ხალხი (უმეტესად თაყვანისმცემლები და მაამებლები) ახვევიათ, არიან მწერლები, რომელთაც ერთი სული აქვთ, როდის გაიქცევიან თავიანთ სამუშაო ოთახში და ბოლოს და ბოლოს გაიფიქრებენ: მადლობა ღმერთს, ძლივს მარტო დავრჩიო.

თუ მართლა შეხვედრაა, იმგვარი უნდა იყოს, რომელიც თქვენ გაიხსენეთ: ფოლკნერის შეხვედრებს ვგულისხმობ ვირჯინიის უნივერსიტეტის და იაპონიის სტუდენტებთან. მაგრამ ამოდენა სურვილი რომ გქონდეს, ჯერ ერთი ფოლკნერი უნდა იყო, მეორეც — თავისუფლად წაგეხვლებოდეს იქ, სადაც გულით გინდა წასვლა. ფოლკნერი მიდიოდა აუდიტორიაში, სადაც მის მიმართ გულგრილი არავინ იყო. თქვენ მისი დიალოგები თარგმნილი გაქვთ და ცხადია, იცით, რა ძირისძირობამდე იცნობდნენ სტუდენტები მის ყოველ ნაწარმოებს. შეიძლება ავტორს არც ახსოვდეს თავისი რომანების ესა თუ ის დეტალი, სტუდენტებს კი ახსოვთ. ისინი ეკითხებიან მწერალს, ედავებიან, ეთანხმებიან, ან არ ეთანხმებიან. ცდილობენ გაიგონ რა საიდან მოდის, წაკითხული აქვს თუ არა მწერალს, ვთქვათ, ფროიდი. ესა თუ ის რომანი ხომ არ დაწერა ცნობილი ფილოსოფიური მიმდინარეობის გავლენით? ერთი სიტყვით, აქ თითქმის თანასწორთა საუბარია. და ჩვენ ვხდებით მოწმე, როგორ იქმნება დიდმნიშვნელოვანი წიგნი — ფოლკნერის დიალოგები მკითხველებთან. ეს ბრძნული წიგნია. იგი მწერლის სულში გვახედებს, უფლებას გვაძლევს, ცოტათი მაინც და-რაც მთავარია, მოკრძალებით და ფრთხილად მივუახლოვდეთ მის საწერ მაგიდას. ჩავიჭვრიტოთ (თუ ეს უხერხულობაში არ ჩამოგვერთმევა) ხელნაწერთა ვარიანტებში, გავიგოთ რა ჩაასწორა მწერალმა, რა შეარბილა და რა გაამძაფრა. რომ არა ეს შეხვედრები, ამგვარ ბედნიერებას მოკლებულნი ვიქნებოდით. დარწმუნებული ვარ, ამ შეხვედრებზე მარტო სტუდენტები კი არ გამდიდრდნენ, თვით ფოლკნერიც გამდიდრდა, ზოგ რამეს ახლებურად შეხედა.

ამგვარ შეხვედრებზე ვინ არ წავა?

ახალგაზრდობასთან შემოქმედებით კავშირს არ უნდა გაექცე.

არც მკითხველისა უნდა გეშინოდეს და არც მსმენელისა.

**რ. ჩ:** არამცთუ ჩვენი საუკუნის მწერლობა, მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაც ხელახლაა შესასწავლი და აღმოსაჩენი. ვულგარულმა სოციოლოგიამ და სოციალისტურმა ცრუაზროვნებამ ისეთი საბურველი შემოხლართა მის ირგვლივაც, ისეთი უკუღმართი წარმოდგენები დაამკვიდრეს, თუ ეს სიცრუე არ დაიმსხვრა, ნურც გაგვიკვირდება, რომ მწერლობისადმი ინტერესი შედარებით განელდება... მკაფიოდ თუ არ გამოჩნდა, სინამდვილეში რას წერდა, ვთქვათ, ბარათაშვილი ანდა ყაზბეგი, და მათი — და ყველასიც — მძაფრი ეროვნული სულისკვეთება კვლავაც მიჩქმალული თუ დარჩა, მათ ზეგავლენას ჩვენს ეროვნულ ცნობიერებასა და ზნეობაზე უთუოდ აკლდება რაღაც... ყოველივე ღრმად და დამაჯერებლად თუ არ აიხსნა, ნურც იმისი იმედი გვექნება, რომ ევროპული ესთეტიკური აზროვნება გულწრფელად დაინტერესდება ჩვენი კლასიკური ლიტერატურით და მის მხატვრულ ფენომენში თავისი მკითხველებისათვის მნიშვნელოვან სულიერ საზრდოს ჰპოვებს.

**თ. ბ.:** ევროპული ესთეტიკური აზროვნების დაინტერესება ქართული კლასიკური ლიტერატურით და მის მხატვრულ ფენომენში თავისთვის მნიშვნელოვანი სამყაროს პოვნა... წარმოუდგენლად დიდი პრობლემაა. ეს იქნებოდა ჩვენი ინტელექტუალური დონის ჭეშმარიტი გამოცდა. სამწუხაროდ, საამისოდ ჩვენმა კულტურამ ჯერჯერობით ვერ მოიცალა. ამის გამოა, რომ გვაქვს ცალკეული გამოკვლევები, წიგნები (ძველიც და ახალიც), მაგრამ არა გვაქვს ღრმა ანალიზის შემცველი, ფართო განზოგადების ერთიანი სისტემა, რომელსაც შეეძლება მსოფლიო ცივილიზაციის ფონზე განიხილოს ე. წ. ქართული ფენომენი და მასში ის სიღრმეები წარმოაჩინოს, რაც ყოველ ჩვენთაგანს ეგულება და რითიც გულწრფელად დაინტერესდება ევროპული (და არა მხოლოდ ევროპული) ესთეტიკური აზროვნება. ამის მიზეზთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და ჯერაც უთქმელსაც ვერაფერს ვიტყვით. და მაინც, ზოგადად წარმოვიდგინოთ სურათი: მთელი საუკუნის მანძილზე (და დღესაც) ნამდვილი სწავლულები ყველაზე უფრო დამამცირებელ ყოფაში იყვნენ ჩაყენებულნი. მათი საუკეთესო ნაწილი ფიზიკურად ამოწყდა. ინტელექტუალური მეცნიერება სახელმწიფო პოლიტიკის ნომენკლატურული დანამატი გახდა. მეცნიერებაში და, საერთოდ, კულტურაში, ადგილებს იკავებდნენ ისინი, რომელთაც ჯანსაღ საზოგადოებაში სულ სხვა რამ უნდა ეკეთებინათ და, კაცმა არ იცის, იქ თუ მაინც გამოდგებოდნენ. მეცნიერული დისერტაციების დაცვა ისე გაადვილდა, როგორც საშუალო სკოლის ატესტატის მიღება. საამისოდ მხოლოდ გავლენიანი ნაცნობ-მეგობრობა და შემტევი სურვილი კმაროდა. არავინ ებრძოდა სუსტსა და საშუალოს, ებრძოდნენ ძლიერს, ნიჭიერსა და საიმედოს. ეს ბრძოლა მუდამ უთანასწორო იყო და ნიჭიერი კაცის გარდუვალი მარცხით მთავრდებოდა. მოარული ფრაზა — ნიჭს წინ ვერაფერი დაუდგება, ბოლოს და ბოლოს მაინც გზას გაიკაფავსო, იქ გამოდგება, სადაც ნიჭს ნიჭი ებრძვის, სადაც ნიჭი ფიზიკური განადგურებისაგანაა დაზღვეული. ჩვენთან კი ნიჭს თავხედი უნიჭობა ებრძოდა და თანაც ხიშტით შეიარაღებული.

**რ. ჩ.:** ჩვენში არ არსებობდა და არც შეიძლება ეარსება ლიტერატუ-

რულ ცხოვრებას, იმას, რასაც კრიტიკული აზრი უნდა ჰქმნიდეს და წარმართავდეს. კრიტიკოსების საქმიანობას მწერალთა კავშირის კურსი განსაზღვრავდა, მწერალთა კავშირის კურსს — კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება-მოწოდებანი: ამის მიხედვით ახარისხებდნენ მწერლებს — ვინ უნდა ექოთ და ვინ უნდა ელანძღათ... ამ ატმოსფერომ კრიტიკას დაუკარგა პირუთვნელი განსჯისა და აზროვნების უნარი. არადა, სწორედ დღეს არის საუკეთესო პირობები კრიტიკული მოღვაწეობისათვის: შეგიძლია წერო დაუფარავად, ყოველგვარი ქვეტექსტებისა და მინიშნებების გარეშე და, რაც მთავარია, წერო იმ მსოფლმხედველობით, რომლისკენაც გული მიგიწევს... აქამდე ხომ ლიტერატურაზე მსჯელობისას საჭირო ხდებოდა მინიშნებანი თუ მხატვრული ხლართები, თითქოს კრიტიკული წერილი ლექსი ან მოთხრობა იყოს... აბა, გავიხსენოთ პავლე ინგოროყვას წინააღმდეგ მოწყობილი თავაგდებული აქცია... თუმცა, რა არის საკვირველი: აკი კურსს მოძალადენი განსაზღვრავდნენ... დღესდღეობით იოლია იმის დანახვა, თუ რა უსამართლოდ ეპყრობოდნენ პავლე ინგოროყვას, როგორ მიეტოვებინა საზოგადოებას და ვერაფერს ღონობდა მისთვის მხარდასაჭერად. დღეს იოლია სინანულით ლაპარაკი. პავლე ინგოროყვა არც აკადემიკოსი ყოფილა და არც მეცნიერებათა დოქტორი. მაშინ ხომ შედარებით უფრო გაუადვილდებოდა მოღვაწეობა. არადა, არსებობს „გონორის კაუზა“ — დისერტაციის დაუცველად დოქტორის ხარისხის მინიჭება მეცნიერისათვის. დღეს იოლია... მაგრამ თუ ეს ყალბი სინანული არ არის პავლე ინგოროყვას ხსოვნის წინაშე, ამის გამოსწორებაც შეიძლება. არა, სხვაგვარად ნუ გამიგებთ: პავლე ინგოროყვას სახელს ახლა უკვე არავითარი წოდება-ტიტულები არ ესაჭიროება, ისევე, როგორც მთაწმინდელებს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწს... ამიტომ, გამოსწორება ის იქნება, თუ დღეს მოღვაწე მკვლევართა მიმართ აღარ გამოვიჩენთ ისეთ გულგრილობასა და უსამართლობას. და რადგან არსებობს „გონორის კაუზა“, რატომ არ უნდა მიენიჭოს დოქტორის ხარისხი, ვთქვათ, თამაზ ნატროშვილს, ბრწყინვალე მკვლევარს, ვისი მხატვრულ-ისტორიული ძიებანიც უაღრესად ფასეულია საქართველოს ნამდვილი ისტორიის შესაცნობად. რატომ არ უნდა იყოს ეს საზოგადოების სურვილი და მოთხოვნა და რატომ არ უნდა განახორციელონ სამეცნიერო წრეებმა... განა ბევრი გვყავს ასეთი რანგის მკვლევარნი?

თ. ბ.: მე არ ვიცი, რაში გამოადგება ოფიციალური ტიტული სწორედ ისეთ მეცნიერსა და მწერალს, როგორიც თამაზ ნატროშვილია. ხომ აშკარაა, რომ ეს ტიტულომანია უიმედოდ მოძველდა. ტიტულები მაშინ გვჭირდება, თუ კვლავაც შევინარჩუნებთ მეცნიერულ-ნომენკლატურულ სისტემას. მაგრამ თუ ფართო გასაქანი ნამდვილ მეცნიერულ მიზნებს მიეცემა, ტიტულების და ხარისხების საჭიროება თავისთავად გაქრება. ხომ ცნობილია, რომ დღეს მსოფლიოში მეცნიერულ აღმოჩენებს ხშირად სრულიად უცნობი, უტიტულო, ახალგაზრდა სწავლულები ახდენენ და, კაცმა რომ თქვას, რად შემიტყუეთ იმ სფეროში, სადაც არაფერი მესაქმება?

რ. ჩ.: ტიტულებს და წოდებებს რომ მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, სავსებით გეთანხმებით, მაგრამ რახან არსებობს იურიდიული წესი, ხომ უნდა მოქმედებდეს, და, თანაც, ღირსეულ პიროვნებებს ენიჭებოდეთ...

თ. ბ.: ალბათ, საუკეთესო შემთხვევაში, ათეული წლები მაინც დაგვჭირდება, რომ კულტურაში რაიმე შეიცვალოს. მარტო სახელმწიფო სისტემის ან სოციალური ინსტიტუტების გარდაქმნა ვერაფერს გვიშველის. საქმე უკვე შერყვნილ სულთან გვაქვს.

იმ დიდ საქმეში, თქვენ რომ თქვით, ყველაფერი თავიდანაა დასაწყები. ამას უკვე ვერც ძველი თაობა გააკეთებს მარტოდმარტო, ვერც ჩვენი და ვერც თუნდაც თქვენი. უნდა მოვიდნენ მართლაც დიდი ევროპული განათლების მეცნიერები — ფილოლოგები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, სოციოლოგები და სხვანი, რათა ყველაფერი ფართო თვალსაწიერში განიხილონ და შეაფასონ.

ახალმა თაობამ განათლება ევროპისა და ამერიკის პირველხარისხოვან უნივერსიტეტებში უნდა მიიღოს, როგორც ეს ერთ დროს ხდებოდა. ჩვენი უნივერსიტეტიც მართლა უნივერსიტეტი უნდა გახდეს. არ შეიძლება ფრანგულ ან ესპანურ ლიტერატურას სწავლობდე და ამ ქვეყნებში მხოლოდ ტურისტად, ან სულაც არ იყო ნამყოფი. გიორგი ათონელზე რომანი დაწერო და ათონის მთაზე ან კონსტანტინოპოლში ერთი ღამეც არ გქონდეს გათეული. სამხრეთ საქართველოს არქიტექტურას იკვლევდე და მხოლოდ ძველი მეცნიერების და მოგზაურების შთაბეჭდილებებს ეყრდნობოდე. გოეთეს თარგმნიდე და ვაიმარში მცირე ხნით მაინც არ იცხოვრო.

მაშინ გაქრება ის დამამცირებელი ნიჰილიზმი, რომელსაც ქართული კულტურის მოღვაწენი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობენ და თანაც საკუთარ სახლში, საქართველოში.

ჭეშმარიტი ფასეულობანი, კიდევ ერთხელ ხაზგასმით მოგახსენებთ, ყოველ დროში და ყოველგვარი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, ცხადად თუ მალულად, მაინც იქმნება. ტოტალიტარული რეჟიმის დროს დაიწერა ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ (ბოლო ორი ტომი), გალაკტიონის ლირიკა, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“, ნიკო ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონი“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“, ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“, გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“... განა ამ დროს არ თარგმნა ერეკლე ტატიშვილმა ნიცშეს „ზარატუსტრა“? ახლა გავიხსენოთ ფალიაშვილის ოპერები, ახმეტელისა და მარჯანიშვილის სპექტაკლები, ნიკოლოზ შენგელაიას „ელისო“, ევგენი მიქელაძის სადირიჟორო სკოლა, ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფია, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის ტილოები... უფრო აქეთ ნუ წამოვალთ. დავსძინოთ მხოლოდ ის, რომ ამ ხალხს დალხინებული ცხოვრება სულაც არ ჰქონდა და ხელისუფლებაც იმის ნატვრაში არ გახლდათ, ნეტავი რამე ამგვარი შექმნანო.

ასე რომ, ყველაფრის წაშლა არ შეიძლება. სწორედ ყველაფრის წაშლას ცდილობდნენ ოციან წლებში, როცა ხელაღებით ამხობდნენ ძირს ჩვენს ტაძრებს, თვალებს თხრიდნენ ფრესკებს და ამტკიცებდნენ — ათასწლეულები არაფერს ნიშნავს, ყველაფერს ჩვენ ვიწყებთო. ყველაფრის თავიდან დაწყება შეუძლებელია. მეცხრამეტე საუკუნიდან პირდაპირ ოცდამეერთე საუკუნეში გადახტომას თუ შევეცდებით, თავს კვლავ ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავიგდებთ. მეოცე საუკუნის საქართველო არსებობდა, ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით, სისხლის წვიმებით, დარდით თუ სიხარულით. ამისი წაშლა კი არავითარ ძალას არ ძალუძს. კვალი მაინც ნამდვილად არსებულთან მიგვიყვანს.

ცხადია, ვითარება მართლაც უმძიმესი იყო: ერის სულიერი, ინტელექტუალური შესაძლებლობა სრულყოფილად ვერ გამოვლინდა. საშინლად გავღარიბდით და დღემდე ღარიბად მოვიტანეთ თავი.

ქართული ლიტერატურა, „შემფასებელთა“ ვიწრო თვალთახედვის და განზოგადების უუნარობის გამო, ჩვენვე დავაკნინეთ. კრიტერიუმები, რომლებიც ჩვენს ნაშრომებშია წარმოდგენილი. უმეტესად პრიმიტიულობითაა დაღდასმული. ნამდვილი მეცნიერები — ხანდაზმულნი თუ ახალგაზრდები, როგორც გითხარით, ჩამოშორებული იყვნენ თავის დიდ საქმეს, მეცნიერება ვიწრო წრის მონოპოლია იყო და შედეგიც ლოგიკური მივიღეთ: ჩვენი საზოგადოების უაღრესად დაბალი ფილოლოგიური, ჰუმანიტარული კულტურა. სკოლებში ვასწავლიდით, რომ შუშანიკის წამება იყო მაზდეანობისა და ქრისტიანობის შეურიგებელი ბრძოლის ასახვა და არა რწმენის სიდიადის გამოხატულება. „ვეფხისტყაოსანი“ იმიტომ ყოფილა გენიალური პოემა, რომ სადღეისო პრობლემებსაც ეხმაურება — ხოტბას ასხამს ხალხთა მეგობრობას. გურამიშვილი ქართველი და უკრაინელი ხალხების სამარადისო მეგობრობის სიმბოლო იყო. აკაკი — მგოსანი-ბულბული, გალაკტიონი — ხან რევოლუციონერი, ხან პესიმისტი. ილიამ „ოთარაანთ ქვრივში“ დაგვიხატა გლეხობასა და თავადობას შორის ჩატეხილი ხიდი, „გლახის ნაამბობში“ ასახულია ბატონყმობის საშინელება, ვაჟა ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“ თემისა და პიროვნების დაპირისპირებაა...

ბოლოს კი საქმე იქამდეც მივიდა, რომ ამგვარ „შეფასებებს“ მარტო ახალგაზრდებს კი არ ვთავაზობდით, ფართო ასპარეზზე გასვლასაც ამის ანაბარა ვცდილობდით.

ამ ვიწრო „სოციალურ“ თუ „პოლიტიკურ“ თვალთახედვაში სულ ჩაიკარგა ქართული ცივილიზაციის მთავარი იდეა — ადამიანის ძლევამოსილებისა და სიდიადისა, ტრაგედია ამაღლებულისა, ტრაგედია პიროვნებისა, რომელიც თავის ეპოქაზე მაღლა დგას, თანამედროვეთა შორის თავს ეულად გრძნობს, რადგან მისი იდეალების ასპარეზი უსაზღვროა, რადგან მას უპირველესად აწუხებს ძველთაძველი საკითხავი — „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოვედ წვიმადა“. განა ნიშანდობლივი არ არის, რომ პატარა მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ ილიამ დღევანდელი სათქმელი თქვა: „ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვართ!“

ახლა „ოთარაანთ ქვრივი“? აქ „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა მხოლოდ ფონია მოქმედებისა. მოთხრობის ყველა პერსონაჟი რაღაც ამაღლებულისაკენ მიისწრაფვის, ყოველი მათგანი ადამიანის სულის სიდიადეს გამოხატავს. თვით ქვრივმა თავისი დიადი ქალობა ქმრის ხსოვნას და ერთადერთი ვაჟის სიყვარულს შესწირა. ბედნიერებას ქვრივი უპირველესად ამაში ხედავს. გიორგის უყვარს და მისთვის სულერთია, რომელ საფეხურზე დგას მისი სიყვარულის საგანი. ის ამ სიყვარულით ცოცხლობს და ამ სიყვარულით კვდება. არჩილი და კესო ტრაგიკულად განიცდიან, რომ მათ წინაშე დიდი სილამაზის ამაღლებული სული ყოფილა, თავად კი ვერ შენიშნეს. თვით სოსია მეწისქვილეც კი თურმე მთელი ცხოვრება ოთარაანთ ქვრივის სიყვარულს ატარებდა და მაშინღა გამოტუდა, როცა მის საფლავთან ქვითინით მოიყარა მუხლი.

აქ, ამ საოცარ მოთხრობაში, ყველანი ცოდონი არიან, და ეს მთელი ნაწარმოებგს „წყევა-კრულვიანი საკითხავია“.

„მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო? ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევა-კრულვიანი საკითხავი, ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“.

„ჩვენ, ყველანი, დამნაშავენი ვართ“...

აი, ჩვენი დროის ორი უმწვავესი, მართლაც „წყევა-კრულვიანი საკითხავი“, რომლის ირგვლივაც ტრიალებს მეოცე საუკუნის დასავლეთის მთელი ლიტერატურა. ეს პრობლემები ქართველმა მწერალმა მეცხრამეტე საუკუნეშიც დაინახა, ოღონდ ჩვენ ვერ შევნიშნეთ და ვერც სხვებს მივეცით საშუალება, რომ შეენიშნათ.

მე მგონი, დღეს ესაა მთავარი, მაღალი იდეალების წარმოჩენა და დასაბუთებაა საჭირო, რათა გაირკვეს ჩვენი მოკრძალებული ადგილი მსოფლიო კულტურაში, რათა მყარად ვიდგეთ იქ, სადაც საკაცობრიო ღირებულებანი იქმნება. საამისოდ, როგორც უკვე გითხარით, ტყუილის თქმა ან სხვისი ნახელავის მითვისება როდი დაგვჭირდება... გამოვაჩინოთ ის, რაც ნამდვილად გვაქვს.

რ. ჩ.: ამას რომ ამბობთ, და მეც გეთანხმებით, სულიერი ყოფის კანონზომიერებებს ვგულისხმობთ, რაც აუცილებელია ცივილიზებული საზოგადოებისათვის. ერთი რამ ცხადად იკვეთება: ხალხს მოსწყურდა ლიტერატურა და ლიტერატურაზე საუბარი.

თ. ბ.: თუმცა, ამას საჯაროდ ჯერ ვერ ამხელს, ეშინია, ვინმემ არ წამოსძახოს, გარშემო ასე მწვავე მოვლენები ხდება, თქვენ კი ლიტერატურის ბედი გაწუხებთო, რა გეჩქარებათ... ჯერ... მერე კი ყველაფერი გვექნება და, მათ შორის, ლიტერატურაცო. გვექნებაო? მერე და ვინ გვიბოძებს? რაც მერე უნდა გვქონდეს, იმას ხომ დღესვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი? ლიტერატურა ქართული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ქართული ლიტერატურა ქართული ენაა. როგორც კი ეს დაგვავიწყდება, დავიწყებას მიეცემა სამშობლოც.

მგონი უკვე ვთქვი, რომ ჩვენს ირგვლივ ქაოსია. მაგრამ, ასე მგონია, ქაოსის დროს უფრო მეტადაა საჭირო ლიტერატურა და ხელოვნება. როცა შვეციის პრეზიდენტი ულოფ პალმე მოკლეს, გამოჩენილი რეჟისორი ინგმარ ბერგმანი სტრინდბერგის პიესის რეპეტიციებს გადიოდა. საზარელმა მკვლელობამ შეაძრწუნა მთელი ქვეყანა და, მათ შორის, ბერგმანის დასიც. რეპეტიციების გაგრძელება შეუძლებელი გახდა. და აი, საყოველთაო სასოწარკვეთის ვითარებაში, რეჟისორი გამოაფხიზლა ერთი ახალგაზრდა მსახიობის ხმამ: „შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ, მე მგონია, უნდა გავაგრძელოთ რეპეტიცია, უნდა ვითამაშოთ. პალმას მკვლელს ქაოსის შექმნა სურდა. თუ რეპეტიციებს გადავდებთ და სპექტაკლს არ გავმართავთ, ამით ჩვენც ქაოსს შევუწყობთ ხელს, მხოლოდ ემოციებს დავნებდებით. ახლა კი მთავარია არა ვისიმე დროებითი ემოციები, არამედ რაღაც უფრო სხვა. ქაოსის შექმნა არ შეიძლება“.

მე მგონი, სხვისი სიტყვებით მაინც გითხარით რაღაც...

სხვისი არ ვიცი და მე ძალზე მაშფოთებს ჩვენს ქუჩებში გამოფენილი ზღვა ხალხი, ჯგუფ-ჯგუფად მოდებული მოსწავლეები, უნაღვლელი, გულგრილი, განუსჯელი სახეები. გაბოროტებული თავდასხმები ერთმანეთში. შური და მტრობა. გააფთრებული ღაღადი, — ღმერთი არ გაგიწყრეთ, ჩემი გმირობაც არ დაგვავიწყდეთო. გმირები კი ცოტანი, ძალზე ცოტანი არიან. გმირები არ ყვირიან — შემომხედეთ, ვინა ვარო... თითქოს ყველა ჩქარობს, ყველა საითკენღაც მიისწრაფვის, მაგრამ, თუ კარგად დააკვირდებით, ძრსად არავის ეჩქარება. შთაბეჭდილება იმგვარია, საქმეს აღარავინ აკეთებს და არც სამომავლოდ აპირებს რაიმეს გაკეთებასო. ყოველ ჩვენს უბედურებას სხვებს ვაბრალებთ, მაგრამ არავინ, ანუ თითქმის არავინ აღარ გრძნობს პირად პასუხისმგებლობას. მე კი მსურს, ათასში ერთხელ მაინც ჩავიხედოთ გულში და საკუთარ თავს მცირე რამ მაინც დავაბრალოთ. დიახ, მსგავსად ყველა ხალხისა, მტერიც გვყავს და მოყვარეც. მაგრამ ყველას პასუხი ისე უნდა გაეცეს, როგორც ჩვენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ღირსებას შეეფერება. ჩემი სიტყვა რომ რაიმეს ნიშნავდეს, ხალხს ვეტყოდი: გავიხედოთ ჩვენი ოჯახების ზღურბლს იქით, დავფიქრდეთ სხვის ბედზე: მეზობლებზე, ახლობლებზე, მეგობრებზე, ნათესავებზე, და, რაც მთავარია — საერთოდ, ადამიანზე. უამისოდ არაფერი გამოგვივა. მარტო საკუთარ ჯამში მაცქერალი კაცი ქვეყნის სახიკეთოდ ერთ აგურსაც ვერ მიიტანს. მერწმუნეთ, ჩვენ ძალზე მდიდარნი ვართ უმწიკვლო, საქმის ღრმა მცოდნე, უანგარო ადამიანებით. ისინი, როგორც წესი, და ასე იყო მუდამ, ჩუმად არიან, არ ჩანან. პატიოსნება ჩუმია, მოკრძალებული, უსინდისობა კი — მყვირალა, თავმომწონე. ჩვენ ეს პატიოსნება უნდა ვეძებოთ და აუცილებლად აღმოვაჩინოთ. ის არსებობს. ის არ მომკვდარა. ის ჯერ კიდევ ცოცხალია...

ამ აღმოჩენაში ვთხოვოთ დახმარება მწერლობას.

და, კაცმა რომ თქვას, ეს თხოვნაც არ იქნება. მწერლობა უპირველესად ამისათვის არსებობს.

დღეს ქართული ლიტერატურა ხალხს სულიერი განწმენდის სურვილს უნდა ულვიძებდეს. ამაზე დიდი საქმე მას არა აქვს. სულიერებისაკენ კი ადამიანს მხოლოდ მაღალი იდეალების, დიდი ესთეტიკური ღირებულების ნაწარმოები წარუძღვება. როცა ამას მოგახსენებთ, ისევ მწერლობის ლანძღვას მინდა დავუბრუნდე, რაც თითქმის მოდად იქცა, და კიდევ ერთხელ გაგახსენოთ, რომ არის ქვეყნები (თუ არ ვცდები, ჩინეთი, იაპონია და სხვა), სადაც მხატვრული შემოქმედება ეროვნულ განძადაა მიჩნეული. მასზე ქვეყანა (და არა ხელისუფლება) ზრუნავს. მას იცავენ და უფრთხილდებიან. ამიტომ მიიღო მთელი მსოფლიოს ინტელიგენციამ მწერლობის შეურაცხყოფად სახიკვდილო განაჩენი, რომელიც აიათოლა ხომეინიმ ერთ მწერალს გამოუტანა. ამიტომ განაცხადა აღშფოთებულმა მარკესმა — ნობელის პრემიის ლაურეატმა ამას წინათ: ჩემი ბოლო რომანის გამო ლამის ხომეინისაგან მსჯავრდადებულ სალმან რუშდის ყოფაში ჩამაგდონო. თუკი ლათინური ამერიკის სათაყვანო მწერალს, მთელ მსოფლიოში ცნობილ მარკესს ამას უბედავენ, რაღა იქნება ჩვენთან, სადაც კრიტიკული წერილები კი არა, ე. წ. „რეპლიკებიც“ კი სასტიკ[illegible] განაჩენივით ის[illegible]რება.

დღეს ქართველ ხალხს თავისი მაღალი სულიერი კულტურის წარმოსაჩენად იმდენი რამ აქვს გასაკეთებელი, დღე და ღამ რომ იშრომოს, დრო მაინც არ ეყოფა. პირველკლასელიდან დაწყებულთ და ღრმა მოხუცებულებით დამთავრებულთ, დროის გაფლანგვის უფლება არა გვაქვს. ჩვენ კი, ფუჭად ვფლანგავთ თუ არა, ეს მამაღმერთმა იცოდეს, რადგან ყველაზე კარგად ის გვხედავს.

განვლილ ათწლეულებს „დაკარგულ საუკუნედაც“ იხსენიებენ. მე „მნათობის“ ანკეტაში, ჩემს თაობას „დაკარგული თაობა“ ვუწოდე. როცა წარსულს განსაკუთრებული ტკივილით გადავხედავ, იმასაც ვფიქრობ ხოლმე, რომ ჩვენ ამაოდ ვიცხოვრეთ, ვითომ ვყოფილვართ და არცა ვყოფილვართ. ზოგჯერ კი ეს შავბნელი ფიქრი გადმივლის და თავს ვიმხნევებ: ამაოდ არც ერთი თაობა არ ცხოვრობს. ყოველი თაობა იმ მიწას ხნავს, რაც დრომ, ეპოქამ და განგებამ მოუზომა. არარაისგან არაფერი იქმნება. ღრმად მოვხანით თუ ზერელედ, დღევანდელი ჯეჯილი მაინც ამ ნახნავში აღმოცენდა. ჩათვალეთ, რომ თქვენც ჯერ ისევ ჯეჯილი ბრძანდებით და იმ ნიადაგზე აღმოცენდით, თქვენმა წინამორბედებმა რომ მოხნეს.

რ. ჩ.: მგონი ბევრი ისეთი ვთქვით, რაც მკითხველს სევდას მოჰგვრის. მაგრამ მაინც იმედით ხომ არ დავამთავროთ ჩვენი საუბარი?

თ. ბ.: ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს, მაგრამ მოდით, ისევ ილია ჭავჭავაძეს მივენდოთ და ერთხელაც გავიხსენოთ ის ადგილი, საიდანაც ჩვენი დიალოგის სათაური მოვიტანეთ.

„ოთარაანთ ქვრივის“ საფინალო თავებში შემოდის კიდევ ერთი მთავარი გმირი — ზამთარი. („შუახანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ჰქმნა და ნახევრად შექცეული ზურგი მთლად შეაქცია ზაფხულსა“). ეს შავ-თეთრი გრაფიკული ტილო („ეძახის“ და „წყევა-კრულვიანი საკითხავი“) ერთდროულად გადმოსცემს სულის შემძვრელ სიცივეს და თოვლქვეშ ჩათვლემილი მშობელი მიწის სითბოს. გაივლის ხანი და ზამთრის ამ დაჭუჭრულ სევდას გასხივოსნებული ფერწერით გადმოსცემს მხატვარი ელენე ახვლედიანი. „ოთარაანთ ქვრივის“ ზამთრის ღამე სადღაც სიღრმიდან მოდის. ჩაძინებული სოფლის დვრიტა მთელი არსებით უნდა შეიგრძნო. სოფელს სძინავს „იმ გულიანის ძილითა, რომელიც მართლა სასვენია და არა სანებივრებელი“. ამ ღამეში ოთარაანთ ქვრივი მარადიულობას უნდა შეერწყას, რათა შემოქმედს ბოლოს აღმოხდეს ის სიტყვები დასასრულისა, რის სათქმელადაც, მოთხრობა, მსგავსად ქართული „მრავალჟამიერისა“ და „ზამთრისა“, დინჯად და მაინც მღელვარედ მიედინებოდა.

„სოსია მეწისქვილეს ეხლა ორივე მუხლი მოეყარა უსულო ოთარაანთ ქვრივის წინ, იმის მკვდარი ხელი ხელით ეჭირა და ქვითინებდა ჩუმად.

— ადე, რას ჰლმუი უპატრონო ძაღლსავით! — დასცინა მოხუცს ახალგაზრდა გლეხმა ბიჭმა ამხანაგების სამასხაროდ — შენც მითამ მარაქაში ერევი... შენი რაო?“

„დაბრიყვებული ბერიკაცი გადაიქცა თოვლზედ. როგორც იყო, წამოდგა და როცა ტყავის კალთებს თოვლისაგან იბერტყავდა, უთხრა ხელის მკვრელს.

— ცოცხალზე არ გამახარა წუთის-სოფელმა და მკვდარზედაც აღარ მატირებთო!... ცოდო ვარ, შვილო, ცოდო!

მართლა, რომ ცოდოა!

მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო!

ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთის-სოფელში“.

ეს ბრძნული დასასრულია. ერთბაშად შეგაკრთობს.

რ. ჩ.: ეს სიტყვები 1887 წლის 6 ქრისტიშობისთვეს დაიწერა.

თ. ბ.: სწორედ ხვალ დგება ქრისტიშობისთვე...

# კავშირი თუ ფედერაცია?

საგანგებო ვითარება შეიქმნა საქართველოში. ათეული წლების განმავლობაში დაფარულ-დაგუბებული ურთიერთპრეტენზიების წუმპე წალეკვით გვემუქრება.

მიზანი თითქოს | ერთი გვაქვს ყველას, მაგრამ ვერაგ და უთვალავ მტერთან ბრძოლის მაგივრად, ერთმანეთს ვებრძვით.

ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის ასპარეზად საქართველოს მწერალთა კავშირიც იქცა. მრავალმხრივ ნიშანდობლივია პერიპეტიები ამ ბრძოლისა, რომელიც ხაღლეისოდ ჩვენში გამეფებულ პოლიტიკურ და ზნეობრივ ატმოსფეროს წარმოაჩენს.

საქართველოს მწერალთა კავშირის ნაცვლად ქართველ მწერალთა ფედერაციის შექმნის კატეგორიულმა მოთხოვნამ გამოიწვია გაცხარებულ-გაჰიანურებული დავა, რომელიც შეურიგებელ განხეთქილებაში გადაიზარდა.

პოეტმა დავით მჭედლურმა დატოვა მწერალთა კავშირის რიგები და თავისი გადაწყვეტილება გაზეთ „ჩვენი მესიტყვეს“ (№ 2) ფურცლებზე გამოქვეყნებული ვრცელი წერილით „საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ მუხრან მაჭავარიანს“ „განუმარტა“ არა კონკრეტულ ადრესატს, არამედ სრულიად საქართველოს.

ნუ დავძრახავთ გაგულისებულ პოეტს მხოლოდ იმისთვის, რომ გასვლისას „კარი გაიჯახუნა“ და ამით ფართო მკითხველის ყურადღების მიპყრობა მოინდომა. პოეტებს ემოციურობა ეპატიებათ, მაგრამ ელემენტარული ეთიკური ნორმებისა და ლოგიკის დაცვა ყველასათვის სავალდებულოა.

საქართველოში ყველამ იცის, რომ პოეტ მუხრან მაჭავარიანს ყალბი ლექსი არ დაუწერია, გუნდრუკი არავისთვის უკმევია და თავისი წილი გასაჭირიც უნახავს.

პარტიული ბილეთიც იმისთვის სჭირდებოდა, რომ ეროვნული საქმე ეკეთებინა, პარტიული ფუნქციონერები მის მიმართ კეთილგანწყობილნი არასოდეს ყოფილან, „შერისხული“ კი მრავალგზის შეიქმნა და ეს „ისტორიულ“ დადგენილებებშიც აისახა.

პოეტი მუხრან მაჭავარიანი „ცეკას“ დანიშნული თავმჯდომარე არ გახლავთ. იგი თავად მწერლებმა აირჩიეს თავიანთ თავკაცად.

აირჩიეს და მწერალთა კავშირში ათეული წლების განმავლობაში გამეფებული გაუტანლობის, შუღლის, „კასტობრივი ომის“ მსხვერპლად აქციეს.

საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორიული ცოდვებიც კი ლამის დღევანდელ თავმჯდომარეს მოჰკითხონ!

არ ვიცი ვისთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის გაუგებარი რჩება, როგორ შეიძლება პოეტმა დავით მჭედლურმა პოეტ მუხრან მაჭავარიანს ქართველობა, სამშობლოს სიყვარული „ასწავლოს?“

ნუთუ ამის საბაბს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის (როგორც „ირკვევა“ დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის) მიერ „გარდაქმნის“ უსუსური პროექტის იგნორირება იძლევა?

საქართველოს მწერალთა კავშირის ქართველ მწერალთა ფედერაციად გარდაქმნის იდეა ყოვლმხრივ მცდარი და მიუღებელია!

საამისოდ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, თუ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას გავითვალისწინებთ.

პროექტის ავტორებს თუ დავუჯერებთ, მაშინ აუცილებელი გახდება აფხაზ, ოს, სომეხ, ებრაელ, ქურთ, რუს, აზერბაიჯანელ და ა. შ. მწერალთა ფედერაციების ჩამოყალიბება.

კარგი პერსპექტივაა იმპერიული ძალების მიერ ხელოვნურად გაღვივებული ეროვნული შუღლის, ეთნოკრიზისის კერებით დანაღმულ საქართველოში!..

ნუთუ ამ პროექტის ავტორებს ერთხელაც არ დაებადათ კითხვა: რა ბედი ელით სხვა ეროვნების წარმომადგენელ მწერლებს, რომლებიც ქართულად წერენ?

\ისინი ეროვნული მიზეზით ქართველ მწერალთა ფედერაციის წევრები ვერ გახდებიან, ვერც ეროვნულ ფედერაციებში გაწევრიანდებიან, რადგან ქართულად წერენ.

ეროვნების მიხედვით მწერალთა ფედერაციის დაარსება, ისეთ მრავალეროვან რესპუბლიკაში, როგორიც საქართველოა, ნაადრევი და პოლიტიკურად მცდარი გადაწყვეტილება იქნება.

ისტორიულ პარალელებს სწორი ანალიზი სჭირდება. ქართველ მწერალთა კავშირი შეიქმნა 1919 წელს. საქართველო მაშინ დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო!

დღეს სულ სხვა ვითარებაა და ჩასაფრებული მტრის წისქვილზე წყლის დასხმას უნდა ვერიდოთ.

სავსებით გასაგებია თავმჯდომარის პოზიცია, რომელიც ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით აღუდგა წინ მწერალთა განცალკევებას და დაქსაქსულობას.

პროექტის განხილვის გადადებით იგი დროს კი არ იგებდა, არამედ იმედი ჰქონდა, რომ გონს მოეგებოდნენ „ნოვატორები“. ამაო აღმოჩნდა იმედი. სიტუაცია თანდარგუნვისათვის, კაცობრიობის საუკეთესო იდეალების განადგურებისათვის, ლენინის, სამწუხაროდ, ახე ცნობილი და დოგმადქცეული სტატიებით ჩაეყარა საფუძველი ანტიჰუმანიზმის, ანტიკულტურისა და ანტილიტერატურის ერას“. (მ. წიკლაური „განცხადება „განცხადების“ გამო“).

„საქართველოს მწერალთა კავშირის დღევანდელი სტრუქტურა ჩამოყალიბდა 30-იან წლებში და უკანასკნელ პერიოდამდე იგი განიხილებოდა, როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი იდეოლოგიური დაწესებულება. იგი ცენტრალური კომიტეტის მიერ დანიშნული თავმჯდომარეების, მდივნების, რედაქტორების საშუალებით ახორციელებდა მწერლობაზე ზედამხედველობას, ატარებდა ხელოვნურ სწორხაზოვან ღონისძიებებს „ლიტერატურის პარტიულობის“, „სოციალისტური რეალიზმის“ და თებლად არის მოწოდებული. უნდა ებრძოლოს ნამდვილ ლიტერატურას, უნდა განადიდოს ანტილიტერატურა, დახვრეტის ლიტერატურული განაჩენი შეუდგინოს მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს...“ (მ. წიკლაური, „განცხადება „განცხადების“ გამო“).

აქვს კი მწერალთა კავშირის წევრს, მწერალს, რომელიც მწერალთა კავშირის გამომცემლობა „მერანის“ მთავარი რედაქტორი გახლდათ და ამჟამად მწერალთა კავშირის ორგანოს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ განყოფილების გამგეა, ასეთი განცხადების მორალური უფლება?

აქვს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაგვისაბუთებს, რომ „დანაშაულებრივ“ კავშირში ყოფნისას, თავად უდანაშაულო იყო; ანდა, საკუთარ ცოდვებს აღიარებს და საჯაროდ მოინანიებს.

„უთარი „განსაცდელის“ შემდეგ შეცოდებია, ვერაფერი „პარალელია“, რადგან ავტორის ჰუმანიზმსა და ნიჭიერებაზე ნამდვილად არ მეტყველებს.

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვ. მაიაკოვსკის \ პრემიის ლაურეატს არ მართებდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ღირსეულ ლაურეატთან „უკომპრომისო“ დაპირისპირება!

არ უნდა დავიწყებოდა, რომ დებულებით ვ. მაიაკოვსკის პრემიას კომუნისტური იდეალების პროპაგანდისთვის ანიჭებდნენ 35 წლამდე პოეტებს. რუსთაველის პრემია რისთვის და როგორ დაიმსახურა ბატონმა მუხრანმა, ეს ყველამ კარგად იცის. \

გაცილებით ხომ არ აჯობებდა, ჯერ ვ. მაიაკოვსკის პრემიაზე ეთქვა საჯაროდ უარი პოეტ დავით მჭედლურს და მერე გამოედო თათან დაიძაბა და კულმინაციურ წერტილს მიაღწია.

„ჩვენი მესიტყვის“ იმავე ნომერში პოეტი მამუკა წიკლაური აქვეყნებს პუბლიკაციას, რომელსაც გაზეთის თითქმის ერთი მეოთხედი უკავია, ლაკონიური სათაურით: „განცხადება „განცხადების“ გამო“.

საქართველოს მწერალთა კავშირის განცხადების საპასუხოდ დაწერილ „განცხადებაში“ ავტორი მეტაფორული აზროვნების უნარს „მაღალმხატვრული პასაჟებით“ ავლენს.

„ათასგვარი სულმდაბლობისა და უზნეობის ფასად დაჯდა ხის კენწეროზე ასვლა... და როცა იქ მჯდომს უკვე არაორაზროვნად ეუბნებიან, რომ ჩამოდი უკანვე, ერთი-ორი სიტყვა თქვი მონანიების და ერთად ვიბრძოლოთ ეროვნული თავისუფლებისათვის —ამ სიტყვების გაგონება არ სურს ხეზე მჯდომს. იქ ბევრი რამაა ისეთი, რის დატოვებაც არ ემეტება ჩვენს გმირს. ქვემოთ ის ხალხია, რომელიც მხოლოდ ნიჭიერად დაწერილი წიგნის პრივილეგიას აღიარებს, რომელიც- მხოლოდ მწერლის ეროვნულ პოზიციას აღიარებს...“

მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი მამუკა წიკლაური თავს უფლებას აძლევს ასეთი „განცხადებით“ მიმართოს საქართველოს მწერალთა კავშირს, რომლის თავმჯდომარე პოეტი მუხრან მაჭავარიანია!..

კომენტარისგან თავი შევიკავოთ, თუმცა პოეტს არ უნდა დავიწყებოდა, რომ „ქვემოთ“ ხალხში კი არ დგას, არამედ თავად იჯდა და ზის „ჩამოსვრილ ხეზე“. მართალია, „კენწეროზე“ არ ასულა, მაგრამ ამის გამო გაბოროტება განუკითხავი ლანძღვის საბაბს არ იძლევა.

პოეტების დავით მჭედლურისა და მამუკა წიკლაურის დამოკიდებულებაში ზოგადად მწერალთა კავშირის, როგორც საბჭოური იდეოლოგიის ერთ-ერთი ქვეგანაყოფილების მიმართ, სადავო თითქოს არაფერია.

გულწრფელობაშიც შეუძლებელია ეჭვის შეტანა, რადგან ისინი ათეული წლების განმავლობაში დაფარულ გულისნადებს, საერთო სატკივარს უკომპრომისოდ და დაუნდობლად გვიზიარებენ.

„საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა კავშირები კომუნისტურმა ხელისუფლებამ, იმპერიის მესაძირკვლეებმა შექმნეს. მაშინ შეიქმნა ცენტრალური მწერალთა კავშირიც — სსრკ მწერალთა კავშირი. ათ, ამ სახით გამოიხატა იმპერიის სტრუქტურა მხატვრულ ლიტერატურაში.

ლენინმა და ლენინელებმა გამოიგონეს ეს სტრუქტურა ყოველივე ადამიანურის, ქრისტიანულის, ლამაზისა და კეთილის დათსხვა ანტილიტერატურული პრინციპების დასანერგავად.

შესაბამისად, წლების განმავლობაში ყალიბდებოდა მწერალფუნქციონერთა კასტა, რომელთაც არა მარტო თანამდებობებზე ნიშნავდა, არამედ, შემოქმედებითი დამსახურების მიუხედავად, ათასგვარი პრივილეგიებით — ბინით, მანქანით, დეპუტატობით, ცეკას წევრობით, ტომეულებით, ორდენებით, პრემიებით ზნეობრივად რყვნიდა, მოისყიდიდა და თავის უსიტყვო მსახურად აქცევდა ოფიციოზი, უპირისპირებდა ნამდვილ მწერლობას“ (დ. მჭედლური „საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ მუხრან მაჭავარიანს“).

მ. წიკლაურს და დ. მჭედლურს „ამერიკა არ აღმოუჩენიათ“. დაგვიანებით გაამხილეს ის, რაც ყველას კარგად მოეხსენება. საამისოდ დიდი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი გამბედაობა არ დასჭირვებიათ.

რამდენიმე წლის წინ რომ გამოეჩინათ პრინციპულობა, მაშინ უთუოდ გვმართებდა მათი ვაჟკაცობის დაფასება. სადღეისოდ ასეთი თავგამოდება უფრო „ღია კარის მტვრევას“ წააგავს.

საქართველოს მწერალთა კავშირი ის ორგანიზაცია აღარაა, რაც ორიოდე წლის წინ იყო. იგი გამოეყო საკავშირო მწერალთა კავშირს და სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა, დემოკრატიული არჩევნების შემდეგ კავშირს ისეთი თავმჯდომარე ჩაუდგა სათავეში, რომლის ეროვნულმა მრწამსმა დროის ულმობელ გამოცდას გაუძლო.

ბატონი მუხრან მაჭავარიანი ერისკაცია, მაგრამ მამაზეციერი არ გახლავთ, რომ ათეული წლების განმავლობაში გამეფებული უსამართლობის, პროტექციონიზმის, ურთიერთგაუტანლობის ატმოსფერო უცებ შეეცვალა. ამას დრო სჭირდება, მაგრამ ვინ აცლის...

„ღია კარის მტვრევას“ ისინი, ვისაც „გასაღები“ ედო და უდევს ჯიბეში, ახალ დროსა და გარემოში თვითდამკვიდრების საშუალებად მიიჩნევენ.

დროთა განმავლობაში იცვლება ცხოვრებისეული პოზიციები და ამაში არაფერია მოულოდნელი. თუმცა დაეჭვების საბაბს ყოველთვის ბადებს ის გარემოება, როცა დროის კარნახით ხდება ამ პოზიციათა გამომზეურება. \

საოცარია, თქვე დალოცვილებო, მაინცდამაინც დღეს, როცა ამის შესაძლებლობა და აუცილებლობაც კი გაჩნდა, აგეხილათ თვალი, ახლაღა მიხვდით, რომ „დანაშაულებრივი“ კავშირის წევრები იყავით?

წევრები იმ კავშირის, რომელიც „ეშმაკისეული საქმეების საკეიმას ვერავინ დაიჯერებს, რომ კავშირში ძალად შეიყვანეს, თანამდებობაზე საკუთარი სურვილის გარეშე ნიშნავდნენ, მორჩილებასა და დუმილს აიძულებდნენ.

— ცხოვრება მაიძულებდაო — გეტყვის და დაეჯერება.

— კი მაგრამ, ხომ იყვნენ სხვები და სხვები... — შეედავები იქეთ.

ნიშანდობლივია, რომ ის, ვისაც მხილების საბაბი გააჩნდა, დღევანდელ მწერალთა კავშირს ბრალდებებს არ უყენებს. კავშირის რიგებიდან გარიცხული და დაგმობილი მწერალი ზვიად გამსახურდიაც კი თავს იკავებს განაჩენის გამოტანისაგან.

დაზარალებულნი დუმან, რადგან შავის და თეთრის გარჩევის უნარი არ დაუკარგავთ.

იმასაც კარგად გრძნობენ, რომ მწერალთა კავშირის დღევანდელ ხელმძღვანელობას ისტორიულ ცოდვებზე პასუხი არ მოეთხოვება; არც ქართული მწერლობის (კავშირის წევრების) ღვაწლი და ამაგი რჩებათ შეუმჩნეველი.

ისევ მედროვენი აქტიურობენ. სწორედ ამიტომ ემსგავსება კონფლიქტი მწერალთა „კასტობრივ ომს“, რომლის მიზეზი და მიზანი შორსაა ქართველ მწერლობაზე, ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვისაგან.

არც ასეთ „ომში“ შეიძლება გამოიყენოს მწერალმა ყოველნაირი ხერხი. მწერლური ფანტაზია ამის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ საკუთარი პიროვნების მსხვერპლად წარმოჩენის დაუძლეველმა სურვილმა კაცურ თვისებებს არ უნდა სძლიოს.

პოეტ დავით მჭედლურის ღირსებას ვერაფერს მატებს იმის საჯაროდ გამხელა, რომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე „ფიზიკური ანგარიშსწორებით“ დაემუქრა. მამაკაცური კოდექსით ასეთი „საჩოთირო საკითხი“ ერთმანეთში უნდა გაირკვეს და არა გაზეთის ფურცლებზე, მით უმეტეს, რომ ეს განცხადება გამოგონილს ჰგავს.

ბატონი დავითი „საჯაროობას“ ამჯობინებს და შემდეგნაირად გვიზიარებს „საბედისწერო“ მუქარით გამოწვეულ განცდას: „ამის შემდეგ ძალიან მეცოდება ინგლისელი მწერალი სალმან რაშდი, რომელსაც განსვენებულმა აიათოლა ხომეინმა ტერორი დაუნიშნა და კურდღელივით თვალებგაზელილს მძინავს — ემანდ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თავს არ დამესხას მეთქი“.

„მსხვერპლი“ ამჯერად იუმორისტის როლში გვევლინება, რადგან დარწმუნებულია საკუთარ უსაფრთხოებაში. რაც შეეხება სალმან რაშდის, რომელიც მხოლოდ სავი საქვეყნო საქმის „გამოსაჭედად“?

ზომიერების გრძნობა ყველას მართებს, აზროვნების უნარი და ელემენტარული ლოგიკა უპირველესად მხატვრული სიტყვის ოსტატებს მოეკითხებათ.

ქართველ მწერალთა ფედერაციის წესდების პროექტის ერთ-ერთი ავტორი პოეტი ვახტანგ ხარჩილავა „ჩვენი მესიტყვეს“ იმავე ნომერში(!) აღშფოთებას ვერ მალავს.

„რომელ მწერალთა კავშირში გაერთიანდეთ, იმ მწერალთა კავშირში, რომელიც წლების განმავლობაში კომპარტიის იდეოლოგიურ სამსახურში იყო ჩამდგარი და მისი ერთ-ერთი იდეოლოგიური (ყველაზე საიმედო!) ქვეგანყოფილება გახლდათ?!

იმ მწერალთა კავშირში, რომელმაც ამდენი უბედურება დაატეხა თავს ქართულ მწერლობას, ქართულ კულტურას? იმ მწერალთა კავშირში, რომელიც ლიტერატურული ცხოვრების მუხრუჭად, მწერალთა ბორკილად გვევლინება თავისი არსებობის მანძილზე? იმ \ მწერალთა კავშირში, რომელიც ადმინისტრაციულ-ბრძანებლური მეთოდებით სულს უმწარებდა ქართულ მწერლობას?“

ძნელი დასადგენია, ვის მიმართავს ამ უკომპრომისო კითხვებით პოეტი ვახტანგ ხარჩილავა. ეტყობა მკითხველებს, რომელთა უმრავლესობას კავშირის წევრობაზე არც უფიქრიათ.

თავად ბატონი ვახტანგი კარგა ხანია გაერთიანებულია ამ კავშირში და პოეტ მჭედლურისგან განსხვავებით კავშირიდან გასვლის სურვილიც არ გამოუთქვამს. |

უნდა ვივარაუდოთ, რომ პოეტი ვახტანგ ხარჩილავა ასოციაცია „ლომისის“ გამგეობის წევრის პოზიციებიდან „მძვინვარებს“. ასოციაციის მწერალთა კავშირის რიგებში გაერთიანება მიაჩნია საგანგაშოდ, თორემ პირადად ეს საკითხი გადაჭრილი აქვს.

ქართველ მწერალთა ფედერაციის დაარსება მიზნად სწორედ დამოუკიდებელ მწერალთა ასოციაციების გაერთიანებას ისახავს. სიტყვა ფედერაცია მხოლოდ ამ დატვირთვით ფიგურირებს, მაგრამ სინამდვილეში განცალკევებისა და დაქსაქსულობის მაუწყებელია.

მრავალტანჯული საქართველო საბჭოთა ფედერაციიდან თავის დაღწევას ლამობს. ამიტომ ტერმინი — ფედერაცია (განსაკუთრებით მწერლობასთან დაკავშირებით) გამაღიზიანებლად და პროვოკაციულადაც კი ჟღერს. ეს საბჭოთა იმპერიის მესვეურებმაც გაითვალისწინეს და კონფედერაციის ანკესი გადმოგვიგდეს.

ასეთ დროს, არამარტო ქართველი, არამედ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების მწერლების გაერთიანება და კონსოლიდაცია გვმართებს. ქართველ მწერალთა ფედერაციის შექმნით აფხაზი და ოსი მწერლების ანტიქართულ კურსს ოფიციალურ ასპარეზზე დავუმკვიდრებთ.

ამ მთავარი საშიშროების პარალელურად არსებობს მეორე საფრთხეც, რომელიც უკვე გამოიკვეთა მწერალთა გაერთიანებების ჩამოყალიბებით. დროის მცირე მონაკვეთში შეიქმნა: „თავისუფალ შემოქმედთა სახლი „იახსარი“, „ასოციაცია „ლომისი“, „მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გუდანი“, „საქართველოს მთარგმნელთა ასოციაცია“, „ასოციაცია „ამაღლება“ და ა. შ.

მწერალთა ასოციაციები სოკოებივით მრავლდებიან. თუ პროცესი ასე „ნაყოფიერად“ გაგრძელდა, მაშინ სულ მალე საქართველოში მწერალთა ასოციაციების რაოდენობა ნიჭიერი და ნამდვილი მწერლების რიცხვს საგრძნობლად გადააჭარბებს.

ცხადია, შემოქმედებით თანამოაზრეებს ერთი მიზნის გარშემო გაერთიანებას, ერთად ყოფნის უფლებას ვერავინ აუკრძალავს. საერთო ინტერესების, მსოფლმხედველობის, ზნეობრივი და ესთეტიკური მრწამსის, ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებით გაერთიანება ყოველმხრივ მისასალმებელია.

იმას, რასაც გუშინ ლიტერატურულ წრეს ვუწოდებდით, დღეს შეიძლება ასოციაცია კი დავარქვათ, ამაში საგანგაშო არაფერია, მაგრამ ჯგუფური ინტერესები საერთო საქმეს და მიზანს არ უნდა დაუპირისპირდეს.

პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებების სიმრავლემ საქართველოში სახიკეთო არაფერი მოგვიტანა. პიროვნული, ჯგუფური, პარტიული უთანხმოებანი თიშავს ეროვნულ მოძრაობას. მნიშვნელოვანად აფერხებს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

ცუდი ზნე გვჭირს ქართველებს. ერთმანეთის გაუტანლობას, შინაგან აშლილობას ვერაფრით ვძლიეთ. თანაც, ამ ბოლო ხანს ნგრევის ჟინი მოგვეძალა და ლამის შენების უნარს ვკარგავთ.

დავუშვათ, ბატონებო, მიაღწიეთ მიზანს, დაანგრიეთ ტოტალიტარული რეჟიმის პირმშო — საქართველოს მწერალთა კავშირი. სამაგიეროდ რა შეგრჩება ხელში?

დრომოჭმული კავშირის მაგივრად უსუსური ფედერაცია! ერთი ცენტრალიზებული სტრუქტურა შეიცვლება მეორეთი. ამით გვეშველება რამე? ამაღლდება მწერალთა შრომის ნაყოფიერება და ხარისხი?

ქართველ მწერალთა ფედერაციის დაარსებით მხოლოდ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას შეექმნება რეალური საფრთხე.

საქართველოს მწერალთა კავშირის რეორგანიზაცია, საქმიანობის სტილისა და მეთოდების დახვეწა აუცილებელია.

ხმას არავინ უარყოფს. დროის მოთხოვნებს ვერავინ აღუდგება წინ, მაგრამ ეს შეუქცევადი პროცესი უნდა განხორციელდეს არა დაშლისა და დაქსაქსულობის, არამედ თავისუფლებისათვის უშელავათო ბრძოლაში მწერალთა დარაზმვის მიზნით.

დღეს საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი შემოქმედი ვერაფერს გვარგებს. საქართველოს ეროვნული მოძრაობის ავანგარდში მდგომი მწერლობა სჭირდება!

ერთმანეთთან უაზრო ბრძოლას ნუ შეალევთ შემოქმედებით და ეროვნულ ენერგიას. ახლა საქართველოს ისე სჭირდებით, როგორც არასდროს!

ერის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს ერთობას. მწერალთა უმთავრესი მისია ეროვნული კონსოლიდაციის მიღწევაა.

მხოლოდ ეროვნული თანხმობა მიგვიყვანს დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველომდე!

**გივი ჩხიკვიშვილი**

# ერის ცხოვრების განმსაზღვრელი

ზნეობა ერის ნიჭიაო, არსებობს ასეთი გამონათქვამი. მართლაც ერის საერთო დონის, მისი განვითარების უპირველესი ბარომეტრი სწორედ ზნეობაა. ისიც გასაგებია — თუ თავისუფალი საქართველო არ იქნა სულიერად ამაღლებულ ქართველთა სამშობლო, მაშინ, რბილად რომ ვთქვათ, მეტად გაგვიჭირდება!

დღეს შექმნილი საერთო სიტუაცია დამშვიდების საშუალებას არ იძლევა. პირიქით, ყველა, ვინც დღევანდელი სათვალთვალოდან ხვალინდელს გადასცქერის, აღშფოთებულია!

რა იქნება ხვალ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ქართველებს ძალუძთ მხოლოდ. თორემ არც ბუში დაღვრის ცრემლებს და არც „დემოკრატია და დამოუკიდებლობის“ „მოძმე“ სომეხი ლიდერი აირიკიანი, არც გორბაჩოვი შეწუხდება დიდად — არიქა, ესოფლიოს ხალხებო, ქართველებს ზნეობა აკლიათო!

ელემენტარული ჭეშმარიტებაა — ერმა თავად უნდა მიხედოს საკუთარ თავს იმისათვის, რომ ქართველმა ქართველს შენიშვნა მისცეს, სრულიად არაა საჭირო „მსოფლიოს დემოკრატთა“ ფორუმზე რეზოლუციების მიღება და ა. შ.

არ გეგონოთ პოლიტიკას გადავწვდი, არა. ამ წერილს პოლიტიკასთან არავითარი შეხების წერტილი არა აქვს, და თუ სადმე „გავკარ ხელია“ ამ თემას, მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს მიმდინარე პროცესები უხილავი ჯაჭვით, მაგრამ მაინც ძალზე მჭიდროდ არის ერთმანეთზე გადაბმული! (ამ წერილში ერთ ასეთ უხილავ ჯაჭვს ერთად მივაგნებთ).

●

მინდა შევეხო ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ფრთას, რომელიც ტრადიციულად ყოველთვის საწყის პოზიციაზე იმყოფებოდა. ეს ფრთა ქართველ მწერალთა ფრთაა, ისტორიულად მრავლის განმსაზღვრელი ერის ცხოვრებაში, მოაზროვნეთა და თავდადებულთა სამჭედლო!

საუკუნეებმა ქართველი მწერალი ჩამოაყალიბა, როგორც ერის სარკე და პოტენცია, ამიტომ დღევანდელი მწერალთა საკრებულო, მწერალთა კავშირი ის ორგანოა, სადაც მშვენივრად — უფრო მცირე მასშტაბებში ჩანს ერის დღევანდელი მდგომარეობა. ხოლო დ. გურამიშვილის სიტყვები „შეიქმნა დიდი მტრობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა“, ორმხრივ აქტუალურია: ერთი მხრივ, როგორც ასახვა საქართველოს საერთო ყოფისა, მეორე მხრივ, როგორც შინაგანი (მწერალთა შორის) მდგომარეობა!

ცნობისთვის, პირადად მხოლოდ აქტიური დამკვირვებელი გახლავართ. როცა გაუგებრობა სუფევს, მინიმუმ ორი მხარე მაინც უნდა უპირისპირდებოდეს ურთიერთს, ასეთ შემთხვევაშიც გარეშედ ვითვლები, ხოლო საერთო ჯამში, მიუკერძოებელი ვარ!

პლურალიზმმა ერთდროს მჭიდროდ გამოკეტილი მწერალთა სახლის კარიც გამოაღო, ოღონდ ერთია კარის გაღება, მეორე — როგორ შეაღწია — დინჯი, აწონილ-დაწონილი თუ მოუფიქრებელი და თავში ღრმად დარწმუნებული ნაბიჯებით.

შევეცდები ავხსნა — დღეს ბევრს საუბრობენ მწერალთა კავშირის რეორგანიზაციაზე, განახლებაზე, დაშლაზეც კი, და ა. შ. მეც იმათი მომხრე ვარ, ვინც ამბობს, რომ საბჭოთა საქართველოს მწერალთა კავშირი სხვა არაფერი იყო, თუ არა რეჟიმის მიერ მწერლის ნიჭის უზურპაცია და მისი მიმართვა ერთი „დიადი“ საქმისკენ — ყველაფერი კომუნისტურის ქება-დიდებისკენ.

●

ძვრები აუცილებელია! ცვლილებები გარდაუვალი!

ოღონდ ესაა — როგორ შევცვლით? ან კიდევ ვინ უნდა შეცვალოს?

დღეს მეტად პოპულარული სიტყვებია „ოპოზიცია“ და „ალტერნატივა“, და აი, ერთ დღეს, პრესის ფურცლების საშუალებით გავიგეთ, რომ თურმე გაჩენილა მწერალთა კავშირის ოპოზიციური მწერალთა ფედერაცია!

აქვე გავარკვიოთ — „ოპოზიცია“ არა როგორც შემოქმედებით-ლიტერატურული (ე. ი. მისასალმებელი და მეტად აუცილებელი), არამედ წმინდა წყლის ორგანიზაციულ-სტრუქტურული!

სინამდვილეში მწერალს არავითარი სტრუქტურა არ ესაჭიროება, შესაბამისად — არც ამ სახის ოპოზიცია!

ბალზაკს უთქვამს „თავისი დროის ზნეობის გაუმჯობესება — აი, მიზანი, რომლისკენაც უნდა ისწრაფვოდეს ყოველი მწერალი, თუ არ სურს მხოლოდ ხალხის გამრთობი იყოს“.

ეს ჭეშმარიტება განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როცა ზნეობრივი დეფიციტი მგუდავი გველივით შემოგვხვევია ყელზე.

აკმაყოფილებს კი მწერალთა გარკვეული ნაწილი ამ, მართლაც რომ, სასიცოცხლო მნიშვნელობის პირობას? პასუხად ამასწინანდელ (სამწუხაროდ, თარიღი არ მახსოვს) შეკრებას მოვიყვან მწერალთა კავშირის შენობაში, აქ იყვნენ მწერალთა ფედერაციის წევრებიც, (მათივე მოთხოვნით შედგა ეს შეხვედრა კავშირის მესვეურებთან).

ამ შეხვედრაზე ერთ ცნობილ ლიტერატორს მივყევი, თანაც ყოველივე კარგად ვუწყოდი, ვიცოდი „ოპოზიციონერთა“ მოთხოვნები, ვიცოდი მწერალთა კავშირის პოზიციაც.

მართალი გითხრათ, ის მცირე იმედიც, რომ შესაძლებელია ერის სულიერი თვითშეგნების ამაღლება უმოკლეს დროში, გაქრა, რადგან ბალზაკის თქმისა არ იყოს — მწერალი, მითუმეტეს საქართველოში, ის ძალაა, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს ერის ზნეობა!

ვერავითარი ასეთი ძალა ვერ აღმოვაჩინე (ვგულისხმობ „ფედერაციას“) არადა, აქ ხომ ქართული მწერლობის მომავალია გაერთიანებული. გამომწვევი სახეები, რეპლიკები, ხშირად უშვერ სიტყვათა კასკადი! აი, რა დავინახე ჩემს ტოლ-მეგობრებში,

განსაკუთრებით „ხმაურობდნენ“ ისინი, ვინც წინათაც შემიმჩნევია ასეთი მოქცევით, ოღონდ მაშინ თავს პოლიტიკოსებად აცხადებდნენ, შესაბამისად „პრეტენზიაც“ პოლიტიკური ჰქონდათ! და აი, საკვირველება, თურმე ეს „ხელმოცარული პოლიტიკოსები“ ახლა თავისი უზნეობით ქართული მწერლობის მომავლის პრესტიჟს „იცავენ“ (?!)

არადა, მე ასეთი ქართველი მწერალი ვერ წარმომიდგენია! არ გეგონოთ, თითქოს ყველანი, ამ ფედერაციის წევრები, ასეთები იყვნენ. არა, პირიქით! მეტად გახარებული დავრჩი იმით, რომ უმრავლესობა ღირსეულად მსჯელობდა და კამათობდა (მათ შორის ჩემი ძველი ნაცნობებიც)!

ხოლო, ვინც იგრძნო ჩემი სიტყვების სუსხი საკუთარ სახეზე, იმათ მისამართით ვიტყვი — „მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე“. დავუჯეროთ ილიას ბრძნულ ნათქვამს, თორემ შეიძლება ზოგიერთებს „ხალხის გამრთობის“ იარლიყი არ აცდეს!

●

მწერალთა ფედერაციას აქვს სამართლიანი მოთხოვნები. ერთ-ერთი ასეთია — მწერალთა ბედს არ უნდა წყვეტდეს ის მწერალი, ვინც კომუნისტური რეჟიმის ფუძემდებლების შემხედვარე, აღფრთოვანებით გაიძახოდა „აი, ასეთი მწამს კომუნისტი“-ო, ანდა სიხარულის ცრემლს აყოლილი მღეროდა:

«Мой адрес не дом, не улица, мой адрес Советский Союз»– ო.

ასეთებს ნამდვილად არ ესაქმება მწერალთა სათავეში!

არც ასეთი შემოქმედია „ახლოს გასაკარებელი“, ვინც „კაპიტალის“ ავტორებს ცნობილ ფრაზას შეაცვლევინებდა და ათქმევინებდა დაახლოებით ასე — ფიცარმოკიდული შემოქმედის აჩრდილი დადის თბილისის ქუჩებშიო! რამდენადაც საშიშია იდეა „კაპიტალისა“ ხალხისთვის, იმდენად საშიშია ასეთი „შემოქმედი“ ერის ზნეობისათვის!

ვერც ის მწერლები „გასწევენ იმ მძიმე ჭაპანს“, რომელნიც მშვენივრად ერწყმიან აკაკის ნააზრევს — „თუ იდეალი მწერლისა მხოლოდ პური და გროშია, რა არის, თუ არ წუპაკი პურისთვის მყეფი გოშია?“

არც ე. წ. ქამელეონები „გამოდგებიან“, რომელთაც ფერისცვალება არ უჭირთ, ხოლო ახლა მიხვდნენ ერთი ფერი (წითელი) მოდაში რომ აღარაა და სამფეროვანი ტყავი გადაიკრეს. არც ასეთი უნდა მწერალთა სათავეს!

და საერთოდ —

იმას, ვისაც არ აჩნია ეროვნულობა, ვერ იქნება მწერალთა წინამძღოლი!

იმას, ვისაც არ გააჩნია ზნეობა, ვერც ის იქნება მწერალთა წინამძღოლი!

ვინაც კალამს პირადი გამორჩენისთვის და უზრუნველი ცხოვრებისთვის აწვალებს, ვერც ის იქნება მწერალთა წინამძღოლი!

და, რაც მთავარია, — „ლიტერატურა თავისის ფართო მნიშვნელობით, გონების ნაჭირნახულევი ხვავია, სადაც წმინდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცა“ (ილია).

ვერც ეს „ბალახ-ბულახის თესლი“ იქნება მწერალთა წინამძღოლი!

სწორედ ის „წმინდა ხორბალი“ უნდა დაიყენოს წინ მწერლობამ, ხოლო ამ მართლაც „საბჭოთა მაკულატურის“ მოზვავების ხანაში, საბედნიეროდ, გვყავდნენ და არიან კიდეც ასეთნი!

●

მე ვერ წარმომიდგენია ვერცერთი თანამედროვე ქართველ მწერალთა საკრებულო (კავშირი, ასოციაცია თუ ა. შ.) თუ მის სათავეში არ იკაშკაშა ბატონი მუხრანის ნიჭმა.

თუ არ ითქვა მურმან ლებანიძისა და ნოდარ წულეისკირის სიტყვა!

მათ გარეშე, მათი მოთავეობის გარეშე, წარმოუდგენელია ქართველ მწერალთა კავშირი.

ქართველი კაცი უდიდესი სიყვარულისა და მადლიერების გამოსახატავად გვარს არ ახსენიებს და სახელით მიმართავს უძვირფასეს პიროვნებას. სახელოვანთა შორის ერთ-ერთია დღეს ბატონი მუხრანი!

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ თავსმოხვეულმა „წითელმა“ გარემომ მეტად შეურყია ფუძე მწერალთა კავშირს, მთლიანად ქართულ მწერლობას, მასის დიდმა ნაწილმა დაჰკარგა ნდობა ქართველი მწერლებისადმი.

და თუ ვინმეს შესწევს უნარი დაუბრუნოს ძველი ღირსება ამ ორგანიზაციას, ერთ-ერთი დღეს ბატონი მუხრანია!

რადგან — უპირველესად იგი ქართველი პოეტია!

წარმოიდგინეთ, რამდენად აუტანელი სიტუაცია შეიქმნებოდა, როცა ზემოთ დასახელებულ შეკრებაზე არცერთმა მისმა მონაწილემ (მე მგონი, უფრო „ფედერაციის“ ახალგაზრდა მოკალმეებს უნდა ეაქტიურათ) არ სთხოვა ბატონ მუხრანს, მოსულიყო და კუთვნილი ადგილი დაეკავებინა პრეზიდიუმში.

როდემდე უნდა ვიყვეთ ღვარძლიანნი ნიჭისა და სულით მდიდარი ადამიანისადმი?

როდისღა უნდა ვისწავლოთ ასეთი ხალხის დაფასება მათსავე სიცოცხლეში?

მომავალი თაობები ისედაც არ გვაპატიებენ იმ უყურადღებობას, რაც გამოვიჩინეთ კონსტანტინე გამსახურდიას, პავლე ინგოროყვას და სხვათა მიმართ, ცოდვას ცოდვაზე ნუ დავამატებთ!

ნურავინ იფიქრებს, თითქოს მწერლობაში მთავარი საკუთარი ასოციაციებისა და სხვა სახის ორგანიზაციების ჩამოყალიბებაა.

მთავარი ნიჭია! ხოლო მწერლობა ის სფეროა, სადაც ნიჭი და ავტორიტეტი ყველაფრის განმსაზღვრელია! თუ მწერალთა კავშირში დღესაც არიან კორუმპირებული, მწერლობასთან არავითარ კავშირში მყოფი „მოკალმეები“, კი არ უნდა „გავიქცეთ“ ასოციაციებისა და ფედერაციების შესაქმნელად, რათა „ბირთვული ომი“ დავიწყოთ, არამედ თანამედროვე მწერლობის აღიარებულ ლიდერებს გვერდში უნდა ამოვუდგეთ და დავეხმაროთ. [illegible]

●

მწერლებს ღუპავს ამბიცია!

შეხვედრამ მწერალთა კავშირში დამანახა, ზოგიერთში მეტად მძლავრობს ეს სენი. შეიძლება სუბიექტური მოსაზრება გახლავთ, მაგრამ დარბაზში იყვნენ ისეთებიც, რომელნიც „სტრუქტურის განახლების“ ქვეშ ძველის შეცვლას კი არ გულისხმობდნენ, არამედ ამ „ძველის“ მაგივრად საკუთარი თავის წარმოჩენა სურდათ.

ესეც დამახასიათებელია დღევანდელი საქართველოსთვის, დამახასიათებელია მისი სარკისთვის — მწერლობისათვის!

დასაწყისში ვახსენე — დღეს ყოველივე იმდენადაა უხილავი ჯაჭვით გადაბმული, რომ შეიძლება პოლიტიკასაც წავაწყდე გზაში-მეთქი.

ისევ სუბიექტურ აზრს მოგახსენებთ. შეხვედრას მაინც „სხვა სუნი“ სდიოდა! განა დამაფიქრებელი არაა, რომ სატელევიზიო გადაცემა „კვირიაკეში“ ბატონი მუხრანის მიერ გამოთქმულ, მკვეთრად ჩამოყალიბებულ პოზიციას მოჰყვა მასზე შეტევები, ოღონდ „სხვა კუთხიდან?“

ყველას ხომ მოეხსენება — ბატონი მუხრანის სიტყვა რამდენად მნიშვნელოვანია ერისათვის, ერს სჯერა მისი! ჰოდა, „ვიღაცეებს“ არ აწყობთ მის მიერ საქვეყნოდ გაკეთებული განცხადება...

ყველა ყველაა, მაგრამ ბატონ მუხრანს საქართველოში არავისგან ესაჭიროება დაცვა-გამოსარჩლება. და თუ ამ წერილში ჩამოვაყალიბე ჩემი პოზიცია ამ დიდებული ადამიანის მიმართ, ესეც იმ მიზეზის ბრალია, რამაც საერთოდ ეს წერილი დამაწერინა!

აუგად მოხსენიება ერისშვილისა, თუგინდ არაოფიციალურ საუბრებში, მეტად გულსატკენია და, ამასთან, ერის დამამცირებელი!

აი, ამან გამაბედინა დამეწერა ბატონ მუხრანზე ის, რასაც ფიქრობს, ჩემი აზრით, მთელი საქართველო!

მინდა მოკლედ აღვწერო, როგორ წარმომიდგენია მწერალთა კავშირის ხვალინდელი დღე.

უპირველეს ყოვლისა, მწერალი შორს უნდა იდგეს მოხელეობისაგან, მას არ უნდა აინტერესებდეს „რბილი სავარძელი“, არც სამდივნო, არც გამგეობა და არც პრეზიდიუმი. მთლიანად უნდა აღმოიფხვრას მწერლობისათვის მიუღებელი ყოველგვარი ბიუროკრატიული ჯებირები!

მწერალს ესაჭიროება მხოლოდ კალამი და ქაღალდი!

ხოლო მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე უნდა იზრუნოს მწერალთა კავშირის პროფკავშირებმა, სადაც იმოღვაწებენ სპეციალისტები (და არა მწერლები) და რომელნიც ყოველნაირად შეუწყობენ ხელს მწერლის ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი პირობების შექმნას, მათი ინტერესების დაცვას!

რაც შეეხება ლიდერობას შემოქმედებაში, ამას ნიჭი და ერი განსაზღვრავს!

ჩემი აზრით, ეს მისალები უნდა იყოს მწერალთა კავშირისთვისაც და მწერალთა ფედერაციისთვისაც!

●

ახლა, როცა მიმდინარეობს წარსულის გადაფასება, ბევრი აკრიტიკებს მწერალთა კავშირს, რადგან იგი წლების განმავლობაში პარტიასთან არსებობდა და არსებითად მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. მადლობა ღმერთს, შემოქმედებითი პროცესების ასეთ დამახინჯებას ბოლო მოეღო... ოღონდ არა მთლიანად!

ასე გვჩვევია, ხშირად ვიმეორებთ იმას, რასაც ულმობლად ვაკრიტიკებთ!

წერილს დავამთავრებ-ვაჟას აზრით — „მწერლობა ძალაა, ერთი უმთავრესი იარაღთაგანია ერის წინსვლისა, მისი გონებისა და ცხოვრების გაუკეთესებისა“, და რომ ეს მართლაც ასეა, ამჯერად უნდა დაამტკიცოს ქართული მწერლობის დღევანდელმა თაობამ, ერთიანობისა და ურთიერთპატივისცემის მოხმობით!

**ბელა კობეშავიძე**



# ათი დღე გალაკტიონთან

**მურმან ლებანიძე**

— 1 —

„ათი დღე გალაკტიონთან“ — სათაური წინასწარ შერჩეული მქონდა მოგონებებისათვის, რომელთაც დღემდე განხორციელება არ ეწერათ. ლაპარაკია ქართული კულტურის დეკადაზე მოსკოვში, 1958 წლის ოცდაერთი მარტიდან თვის ბოლომდე. ეს ათი დღე გალაკტიონმა სასტუმრო „მოსკვას“ მეათე სართულზე გაატარა და მაღალმა ღმერთმა იმ ათი დღით მეც იმავე მეათე სართულზე, გალაკტიონის სიახლოვეს დამასახლა.

გალაკტიონის დაღუპვიდან ოცდათორმეტი წლის შემდეგ დაწერილი ეს მოგონებები პოეტის ცხოვრების მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდის რესტავრაციას წარმოადგენს და, ვბედავ დავიქადო, საინტერესო შტრიხებს ჰმატებს დიდი პოეტის ადამიანურ პორტრეტს...

დეკადა. დღე პირველი: გალაკტიონი სასტუმროდან ქალაქში მიიჩქარის, მე — ქალაქიდან სასტუმროში ვბრუნდები. დიალოგს უტყუვრად, სიტყვასიტყვით ავვადგენ, ჩაწერილი მქონდა და დავკარგე:

— ბატონო გალაკტიონ, ბატონო გალაკტიონ, გამარჯობათ!

— ოჰ! გამარჯობა, ძამიკო, გამარჯობა!

ჩვენ სასტუმრო „მოსკვას“ გააფთრებულ, ზამბარებიან ბზრიალა კარებში გავიჰედეთ და, გულმოსული საბჭოთა ხალხით გარშემორტყმულნი, სხაპასხუპით ვსაუბრობთ:

— რომელ სართულზე, ბატონო გალაკტიონ, რომელ სართულზე დაბინავდით?

— მეათეზე, ძამიკო, მეათეზე!

— მეც მეათეზე, ბატონო გალაკტიონ, რა კარგია, მეც მეათეზე!

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი! მნახე, ძამიკო, საჩუქარი მაქვს შენთვის...

— Проходите, товарищи, проходите! — გვილრენს ხალხი...

მე სასტუმროს ვესტიბიულში ვრჩები, ის სასტუმროდან ქალაქში გადის. ვიტრაჟიდან თვალყურს ვადევნებ: იქვე, ტაქსის სადგომზე, მკვირცხლი ნაბიჯით ხალხს უახლოვდება, მოხდენილი, მოწიწებული მიხრამოხრით მანდილოსანს გამოელაპარაკა, ტაქსის რიგში ჩადგა და, რალაცით კმაყოფილი, წვერს იფურჩქნის...

ღმერთო დიდებულო, რა საჩუქარი შეიძლება ჰქონდეს ამ კაცს ჩემთვის?!

დგას განუყრელი პორტფელით ხელში, აქეთ-იქით იყურება, ზღვა სიმხნითა და ენერგიით სავსე.., მოსკოვის დაპყრობას და პოეტების დაშამათებას პოეზიით აპირებს... სულ რალაც ერთი წლის შემდეგ კი მეოთხე სართულიდან ქვაფენილს ყიყინით დაენარცხება... არა, მე ხომ ვიცი, მაგ პორტფელის შიგთავსი! ეგრეთ წოდებულ „სტოლიჩნი“ რესტორანში მიაქვს ხადეკადო ლექსები. ეშმაკივით ვიცი, კაი კაცის, მაგრამ საწყალი ბორის სერებრიაკოვის თარგმანები უწყვია შიგ და ახალი „პოდსტროჩნიკები“ კიდევ... მერედა, არის კი რუსეთში დღეს კაცი მაგისი ტოლი?! ძალუძს კი დღეს რუსეთში ვინმეს მაგისი თარგმნა?! გაუფუჭებენ წიგნს და „მაი აფერია“! — ჩაწერს დღიურში. რა აზრი აქვს, თუ ძმა ხარ, ათასი ესკიმოსის დონეზე გალაკტიონის თარგმნას?! ბლოკი რომ ცოცხალი იყოს, კიდევ ჰო! პასტერნაკი რომ ცისფერყანწელებს არ დაემარტოხელებიათ...

ვესტიბიულის საგალანტერეო კიოსკებში სიგარეტიც იყიდება და, რიგში რომ ჩავდექი, წინ, რამდენსამე მეტრზე, გამყიდველამდე მილწეული ანა კალანდაძე დავინახე, სუნამოს ყიდულობს, და, რაკი ვერ მხედავს, მეც, მანძილის მომიზეზებით, თვალს ვარიდებ — ჯენტლმენობის თავი არა მაქვს, ჯერჯერობით ქესატად ვარ... აგერ მუხრანი და ოთარ ჭელიძეც... სულ მალე ჩვენ გავმდიდრდებით და ძვირფას დაიას რესტორანშიც გავნათლავთ...

მეორე სართულზე დეკადის შტაბი დაკეტილი დამხვდა. ლილაკს თითი დავაჭირე და ლიფტი დავიჭირე. შევდივარ ლიფტში და... კედელს ჩვენი ბებერი ლომი, შალვა დადიანი მიჰყუდებია, ბებერ ლომს — მკერდზე ოცი წლის ქერა ანგელოზი მიჰყრდნობია და, ქვემოდან ზემოთ, ჩაშაქრებულ ულვაშებში შეჰხარის...

ჩამიცინა ბატონმა შალვამ, ჩამიხველა და ლიფტიდან ორივენი მეშვიდე სართულზე გავიდნენ.

— 2 —

ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში. თეატრი, კინო, მუსიკა, მწერლობა და, რა თქმა უნდა, ქართული ხალხური ქორეოგრაფია— აქ გახლავთ ოთხასი „ცხენოსნით“. ჩვენ უნდა ვაამოთ მოსკოვს, თავი მოვიკატუნოთ და ვუმტკიცოთ ხრუშჩოვს, რომ ალარც კი გვახსოვს გუშინდელი სილაქი — სისხლიანი ცხრაას ორმოცდათექვსმეტი... დიდი აჟიოტაჟია მოსკოვში, უმთავრესად ჩვენი, თორემ სატახტო თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ათასი დიდი თუ პატარა შეშინებული ქვეყანა თავს მაგას აწონებს, ლასკალას ვარსკვლავები შინ მოსდის და „დედა რა ვნახეო“ ამას შენზე ვერ ათქმევინებ...

სვეტებიან დარბაზში ქართული მწერლობის საღამოზე ვიკრიბებით. ამ ღონისძიებით იხსნება დეკადა. ირაკლი აბაშიძე ბრძანდება ჩვენი შეფი. ლალად, თავისუფლად უჭირავს თავი, შინაური კაცია სატახტოში. საღამი დაარიგა, სობოლევს მიესიყვარულა — დასხდნენ, საღამოს პროგრამას ჩასცქერიან. ვსხედვართ და ფარდის გახსნას ველოდებით...

არაფერი განსაკუთრებული არ მახსოვს. ეს იყო საღამო — შაბლონი: სობოლევის ზერელე, ზოგადი სიტყვა-სიტყვა, რამდენიმე ჩვენი პოეტის გამოსვლა ქართული ლექსის, ასე ვთქვათ, ენობრივ-მუსიკალური ჰაშნიკით და რუსი პოეტების საპასუხო გამოსვლები იმავე ლექსების რუსული თარგმანებით... ერთადერთი, რაც იმ საღამოდან წამომყვა, ეს იყო პავლე ანტოკოლსკის გულწრფელად მოწამებრივი გამომეტყველება გალაკტიონის ლექსის თარგმანის კითხვისას და თვითონ გალაკტიონის მძვინვარე, ფრთაგაშლილი გამოსვლა თავისი „დეკადის დროშებით“.

დაგვყვეს მწერლები ჯგუფებად და მესამე დღეა ფაბრიკა-ქარხნებში, სახელდახელო კონიუნქტურულ შეხვედრებზე დაგვარბენინებენ, რათა მშენებლობის პათოსით და საბჭოთა ტექნიკური პროგრესის რწმენით განვიმსჭვალოთ. არ მახს-

გამო, რომელიც ტრადიციად იქცა და რომელიც მცირერიცხოვანი-ერის მწერალს ავალებს, ჯობე ამოეფხიკოს და რუსი მწერლის ფეხიზე-ლი მასპინძელი იყოს არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ რუსეთშიც...

ეგ ჭუჭყი ნეტამც კი მარტო მწერლების „ცეხს“ ეხებოდეს... ყმაწვილკაცობაში, იყო დრო, როცა მჯეროდა, უფრო ზუსტად. ვცდილობდი დამეჯერებინა ხალხების თუ არა, სხვადასხვა ერის ხელოვანთა და მით უფრო მწერალთა ჭეშმარიტი მეგობრობის შესაძლებლობა. ამიტომ, სასიამოვნოდ დამრჩა, როდესაც ლიტერატორთა მოსკოვური სახლის რესტორანში ჩემი დანახვით იგორ შკლიარევსკიმ და სტანისლავ კუნიაევმა გულწრფელად გაიხარეს და სახელდახელოდ პატივი მცეს. ხოლო შკლიარევსკიმ, როგორც ღვინიანი ტაბლის პატივისმცემლობით, [illegible] ამ დღეებში სულ ცოტა ასმა [illegible] მაინც შესთავაზა პორ-მარიოლი, — ვის „წარაფეზი“, ვის მანავის მწვანე და სხვა ათასი ჩვენი დელიკატესი ჰქონდა მოსკოვს ჩატანილი, — მაგრამ დეკადა მიიწურა და გრძელმა ათმა დღემ ისე ჩაიარა, ცხონებულს ღვინო არ დაულევია.

—ბატონო გალაკტიონ, ხომ არ დავმსხდარიყავით?! ძალიან გთხოვთ!

— აჰ! არ შემიძლია, ძამიკო! გმადლობთ!

— ბატონო გალაკტიონ, თითო ბოთლს ვაპირებთ... მხატვრებს თუ გვიკადრებთ...

— აჰ! საქმეზე მაგვიანდება, ძამიკო! არ გეწყინოთ!

ხოლო უფრო სანდო ხალხს — ხმადაბლა, გამხელით:

— გაგვიგებენ, ძამიკო, და ნუ ვიზამთ მაგას!

— ვინ, ვინ გაგვიგებს, ბატონო გალაკტიონ?

— ვითომ არ იცი ახლა შენ!

მჟავანაძე მოსკოვს ჩამობრძანებულა უკვე, ჩვენი ირაკლი და სხვა შეფები გვერდში მოუსხამს, დეკადის წარმატებებს აჯამებენ და ორდენებს ანაწილებენ თურმე. გალაკტიონის დაჯილდოვება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ხარისხის ორდენით, რომელიც, როგორც სულ მალე გაირკვევა, მწერლობისათვის ერთადერთი ეგზემპლარია გამოყოფილი, ამიტომ სხვას შეხვდება და არა გალაკტიონს. თავის მხრივ, გალაკტიონი სავსებით ლოგიკურია: „პირველი პოეტი მე ვარ, ის ერთადერთი — მე მეკუთვნის, ოღონდ: არ უნდა დავთვრე, უსიამოვნება არავისთან მომივიდეს, საბაბი არ მივცე უგულვებელყოფის... რაო, ლენინის მეორე ორდენი რა ოხრად მინდა?!!! ხალხისთვის მინდა ბიძიკო, ხალხისთვის! ხალხის დასანახად! ვიცნობ მე ხალხს!...“

ოცდათერთმეტ მარტს დეკადა „დაჯამებულია“ და გვიან ღამით სასტუმროს მეათე სართულზე ლიფტიდან გამოსულ გალაკტიონს, როგორც იტყვიან, ცეცხლი არ უკიდია, მაგრამ ბოლი ასდის...

— ბატონო გალაკტიონ, — ვეუბნები გულდაწყვეტით, — მთელი კვირა გეძებთ... ახლა სად იყავით, ვისთან იყავით?!

— რა მნიშვნელობა აქვს, ძამიკო! წავაგეთ დეკადა, წავაგეთ და დავლიე, აპა, რას ვიზამდი?!

პორტფელი გამოვართვი. ნაწყენი ვარ, მაგრამ მაინც უნდა გავამხნევო: რატომ, ბატონო გალაკტიონ, რატომ წავაგეთ, ტრიუმფალური იყო თქვენი გამოსვლა სვეტებიან დარბაზში, თითქმის ყველა გაზეთში თქვენი ლექსებია და თქვენი ქება-დიდება-მეთქი, — ვამშვიდებ.

— აჰ! არ მითხრა, ძამიკო! წავაგებდით, აპა, რა იქნებოდა! გააბეს გრძელ-გრძელი ლექსები და ახლა კიდევ... ტაშ-ფანდური! — ერთს, ორს, სამს, ზობოლა პოეტებს ასახელებს და სიცილით კვდება. დაასახელებს თავისი შერქმეული სახელით და — ხი-ხი-ხი, — დააყოლებს... — ახლა კიდევ, ამ ჩვენს სიმონიკას ანთოლოგია გამოუცია, თავისი ორმოცი ლექსი შეუტანია და საწყალი გალაკტიონის თორმეტი, ძამიკო, თორმეტი ლექსი...

ნომერში მივაცილე. პატარაა ოთახი, მობრუნება ჭირს. პალტო კი გავხადე, მაგრამ პიჯაკის გახდაში შველა იუკადრისა, მაინც ყოჩაღად იყო, ძილინებისა-მეთქი, გამოვემშვიდობე.

— 5 —

პირველი აპრილი გათენდა, ტყუილისა და მოტყუების დღე. მოგვატყუეს დეკადით და

ოვს რომელ ჯგუფში მოახვედრეს, მანქანით საიდან და ვისთან ერთად ბრუნდებოდა გალაკტიონი, ტაქსის მძღოლთან ჩატარებული ცნობილი დიალოგი კი ელვის სისწრაფით იმ დღესვე გავრცელდა დეკადის მონაწილეთა შორის.

მოსაწყენი, დამღლელი შეხვედრის შემდეგ, მშივრები და ტაქსში ჩაჭუჭკულნი, კრემლს რომ გასწორებიან, ფიქრებში წასული გალაკტიონი უცბად მძღოლს მიბრუნებია და უკითხავს:

— Браток, а Вы не пишите стихи?

— Чаво, чаво?! Какие еще там стихи?! — გაჰკვირვებია მძღოლს.

— Почему! Пишите, браток, доходное дело, у нас все пишут...—

და ოთხი-ხუთი ისეთი ზობოლა ფუნქციონერის გვარი ჩამოუთვლია, მანქანაში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდნილა.

ეჭვგარეშეა, იცოდა გალაკტიონმა, რომ მანქანაში ენისმიმტანი „დენშიკებიც“ ისხდნენ, და ეს დიალოგი მათ გასაგონად იქნა ინსპირირებული. მაგრამ შეგეშალა, ჩემო გალაკტიონ! ეგ „დენშიკები“ ის ხალხი როდია, თავიანთ შეფებს დედის გინება სიტყვასიტყვით მიუტანონ! გალაკტიონი გაგინებდაო, — დიდი-დიდი, ეხლა გაუბედონ. რაიცა შეფებს შეეხებათ, ცოლგაბოზებული ქმრებისა არ იყოს, თავიანთ თავლაფდასხმას ან ყველაზე გვიან, ან საერთოდ ვერ იგებენ. ოთხასი კაცი სითხითებდა, ის ოთხი-ხუთი კი ფართიფურთით, გრძელი ხელების ქნევით, თავალერილი მიმოდიოდა.

«Пишите, браток, пишите, у нас все пишут...».

ეს იყო ზენიტი გონებამახვილობის, სარკაზმით გაჯერებული. საიდან მოდიოდა ეს დაუნდობელი სარკაზმი?! თავდაცვის ინსტინქტიდან, უთუოდ!... ათეული წლების განმავლობაში სისხლს უშრობდა გიგანტს მთავრობასთან „შეკრული“ პოეტი-ფუნქციონერი. თითოოროლა კაცმა თუ გაუძლო ცდუნებას, — არ დაპირისპირებოდა გალაკტიონს. რაზეა ლაპარაკი, ერთ მშვენიერ დღეს უარი უთხრეს მწერალთა ყრილობის დელეგატად არჩევაზეც კი! შეურაცხყოფა არაერთხელ მიაყენეს. „მხეცო! მხეცო! ვის უბედავ მაგას!“ — ახსოვს და არ დავიწყებია პატიოსან ქართულ მწერლობას გენიის სასოწარკვეთილი შეყვირება და მძიმე კარის გამოჯახუნება...

— 3 —

ოცდაათი, წელიწადია, ჩემს ოჯახში რუსს ფეხი არ შემოუდგამს (?!) ოცდაათი წელიწადია, რუსეთში ჩემი წიგნი არ გამოცემულა (?!) სტუმარ-მასპინძლობის იმ ახალი, ჩემთვის მიუღებელი, დამამცირებელი, ჩვენივე სიგლახით აღმოცენებული კოლონიური წესის:

მონადირემ და მებადურმა, თავისი ნანადირევით გაწყობილ სუფრაზე დამპატიჟა ქალაქგარეთ, სიდედრის ბინაზე, მოსკოვის მახლობლად, რომელიღაც პატარა, ეგრეთ წოდებულ „სპუტნიკ-ქალაქში“.

შკლიარევსკი მშვენიერი პოეტია და კუნიაევიც არანაკლები. სუფრა მართლაც ნანადირევით იყო გაწყობილი და გულითადობით ალბეჭდილი. მაგრამ მთავარი დეკადის ამ ეპიზოდში ის იყო, რომ ხსენებულ წვეულებაში მე მართლაც მივიწვიე გალაკტიონი, რაზედაც უარი მითხრა. მიწვევა მე ოცდაექვსი მარტისათვის მიმიღია და გალაკტიონიც ამ დღეს მიმიწვევია, რასაც თავად აღნიშნავს დეკადის დღიურში. გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მეთორმეტე ტომში ვკითხულობთ:

„დღეს მურმან ლებანიძე მეპატიჟებოდა, ვიღაც ორი რუსი პოეტი ცხოვრობსო აქ... მე უარი ვუთხარი.., მურმანს აუღია გუშინ ანთოლოგიის ჰონორარი. მეც ხომ მეკუთვნის. მივალ იქ ზეგ ანთოლოგიისთვისაც, „იზვესტიისთვისაც“, „პრავდისათვისაც“.

ამ სტრიქონებში მე გალაკტიონისაგან მურმან ლებანიძის ვერც ქება ამოვიკითხე და ვერც ძაგება, საქმიანი ჩანაწერია და მეტი არაფერი... მაგრამ აქვე, ამ დღიურში გახლავთ მეორე, 23 მარტის ლამის იდენტური ჩანაწერი საგულისხმო განსხვავებით, რომელიც ანალიზისაკენ გვიბიძგებს და ზოგ რამე ცხადყოფს...

„ლეონიძე შემხვდა სასტუმროსთან. მითხრა: — არ გისადილნია, კაცო?! მოდი, აქ შავიდეთო. მას დაეთანხმა ქუთათელიც. მე ვუთხარი, საქმეზე მეჩქარება-მეთქი... „დროშები მაღლა, მაღლა, სულ მაღლა!“

ორი აზრი არ შეიძლება გაჩნდეს ამ ორი ტექსტის შედარების შედეგად. ურყევად დაჯერებული თავის შეუვალ სიდიდეში, გალაკტიონი გაღიზიანებულია უფროსი თაობის პოეტებით, საერთოდ და კერძოდ, ლეონიძით — ყველაზე მნიშვნელოვანით მეტოქეთა შორის, აგრეთვე ჩემი საყვარელი პოეტით, რომელიც მას (გენიოსს!) თავს უტოლებს...

რაიცა მურმან ლებანიძეს შეეხება და მისთანებს, ეს ხალხი სცნობს გალაკტიონის სიდიდეს, ეს ხალხი არ შედის ოპოზიციაში და გალაკტიონი ყოველ მათგანს თავთავისას მოძებნის ნიჭიერებისა და კიდევ სხვა ზოგი რამის გათვალისწინებით... აი, ასეთია ანალიზის შედეგი, თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

— 4 —

თუმც კი ჭიქა ღვინოზე მაპატიჟებლად დეკადის დღიურში გალაკტიონი ორ კაცს გვიხსენიებს, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ, ცნობილი გახლდათ რა

ახლა, მოტყუებულებს, სამშობლოში გვისტუმრებენ. რამდენჯერ მითქვამს, აღარ წავალ-მეთქი მოსკოვს, და მაინც შევცდები ხოლმე... ერთხელ მე და მუხრანმა ყრილობის დელეგატობაზე უარი განვაცხადეთ და ღვთის რისხვა დაგვატეხეს თავს, რაღაც აზრი ამოიკითხეს ჩვენს უარში, კაცმა რომ თქვას, რა აზრიც ჩვენ გვქონდა უარით გააზრებული, — მაგათ არაფერი ეშლებათ! მადლობა ღმერთს, გათავდა ეს დეკადა, თბილისი მომენატრა.

ცხრა საათი იყო. გალაკტიონი გამახსენდა და საჩქაროდ ტანთ ჩავიცვი. წუხანდელ ნაღვინევს კარზე მივადექი, ფრთხილად დავაკაკუნე...

— Кто там?! — წამსვე გამომეპასუხა კრიალა, საყვარელი ხმა.

— მე ვარ, ბატონო გალაქტიონ, მურმანი ვარ...

— შემოდი, ძამიკო, შემოდი, ღიაა კარები...

ვერ გეტყვით, კარი რატომ იყო ღია, საბანი მოისროლა და მკვირცხლად წამოჯდა საწოლზე. გრძელი, ძველებური პერანგის ამხანაგი აცვია, კოჭებთან ზონრებით შესაკრავი. შეჰყო ხელი საწოლქვეშ, გამოათრია მომცრო ჩემოდანი და სახურავი ახადა. სავსეა ჩემოდანი თავისივე ფორმატის ცარცის ქაღალდზე დაბეჭდილი, გალაკტიონის სტამბური პორტრეტებით. სტამბის საქმე მე არ შემეშლება, დასტაში ასე, ხუთასი პორტრეტი მაინც იქნება... ბეჭდვა მკრთალი, არცთუ ხარისხიანი, ფაქტიურად — წუნი...

— კინაღამ დამავიწყდა, ძამიკო, საჩუქარს რომ დაგპირდი, — საწერი მაგიდა ზედ სასთუმალთან აქვს, ამოიღო ჩემოდნიდან ერთი პორტრეტი, ჩაიჩოჩა ოდნავ მაგიდისკენ და, პირველ ყოვლის, სიგელ-გუჯრის ბოძებას შეუდგა...

პასტა არა არის, უფრო მელანს ჰგავს: „ჩემს მურმანს" — წავიკითხე პირველი სტრიქონი სიხარულით. მეორე და მესამე სტრიქონის აქ ჩაწერისაგან თავს ვიკავებ... დადო კალამი მაგიდაზე, პორტრეტი ოთხად გაკეცა და გამომიწოდა: — ეს საბუთად, ძამიკო! ეს კიდევ — სახმარად! — დასწვდა დასტას და ერთი პორტრეტიც დამიმატა...

დღე დიდებულად იწყებოდა. არავითარი წუხანდელი ბახუსის კვალი! ლიღინით ტანთ ჩაიცვა. ფრინველივით თავისუფალი იყო. აღარც ლენინის ორდენი ახსოვდა და აღარც დეკადის ფაციფუცი. მე რესტორანი შევთავაზე, ის ბუფეტს უჭერს მხარს: — ახლა, ძამიკო, შევალთ მე და შენ ჩვენს ბუფეტში და გამოვალთ „პაშმელიაზე", მშვენიერი ბუფეტია აგერ, ჩვენს სართულზე! — გამოვიხურეთ კარი, გავიარეთ გრძელი, გრძელი კორიდორები და შევედით ბუფეტში...

— Доченька, как живете, припеваючи?! — მიეყვავილა ფაშფაშა მებუფეტე დედაკაცს. მეთოდი აქვს გალაკტიონს საკუთარი, დიალოგს უწყინრად შორიდან იწყებს, მეთჩახივით ფინალი კი წინასწარ მოაზრებული აქვს.

— А Вы не бывали, доченька, у нас, в Тбилиси?—

— ეს უკვე მეორე, ცბიერი, ეტაპია, — ნებისმიერი პასუხით ეგრეთ წოდებულ „სატოპკეს" მიიღებს, ფრენბურთის ენით რომ ვილაპარაკოთ.

დედაკაცი ჰყვება, რომ ოდესღაც სომხეთში იყო გათხოვილი და, როგორც ახსოვს, თბილისი მატარებლით ჩაიქროლა, თანაც ღამით, მაგრამ გალაკტიონს ეგ არ აინტერესებს, სარეალიზაციო ფრაზა დაზუსტებული აქვს:

— Приезжайте, доченька — ალერსით მიმართავს, — к нам все приезжают. Тихонов, Михонов, Пахомов!.. Грибоедов у нас захоронен.... Вы тоже, Вы тоже приезжайте!..

ხამი მაგიდიდან მცირე ბუფეტში ორ დანარჩენ მაგიდას ჭრელფესკიანი და საერთოდ ჭრელი შუა აზია უსხედს. პურ-მარილს, დღეის კრიტერიუმებით, არა უშავს: ტაფამწვარი იუგოსლავური ლორით, სოსისი, ყველი შვეიცარული და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხიზილალა — შავიც და წითელიც... ცხრაას ორმოცდათვრამეტი წელია, ხრუშჩოვის დროებაა, მაგრამ ჯერ კიდევ არა უჭირს-რა იმპერიის სატახტოს... ვსვამთ „სტოლიჩნის" და ვაყოლებთ ლუდს. მოვდექით ხასიათზე. ორას ორმოცდაათ გრამში ვართ, ამ დილით მეტს არ ვაპირებთ, გამოვედით ბუფეტიდან და დავადექით გრძელ კორიდორს...

რა საკითხს ვიხილავთ ახლა ჩვენ, ამ დილით, სასტუმრო „მოსკვას" მეათე სართულის გრძელ კორიდორში. მოვდივართ და მოვსაუბრობთ, ძირითადად, გალაკტიონოლოგიაზე, როგორც მეცნიერების დარგზე. „ბევრი მტერი ჰყავს, ძამიკო, თქვენს გალაკტიონს, ბევრი მტერი! მაგრამ პატრიოტებიც ხომ ჰყავს?! მერე?! სირცხვილი არ არის, რომ დღემდე, საქართველოში, არსებობს შექსპიროლოგია და არ არსებობს გალაკტიონოლოგია, როგორც ასეთი?!"...

— ბატონო გალაკტიონ, — ვიწყებ მე ფრთხილად და ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს გამოცდას ვაბარებდე, — რა მნიშვნელობა აქვს დროის ამ თვალშეუდგამ უსასრულობაში ათს თუ ოც წელიწადს, როცა საკუნეც კი თვალის დახამხამებაა... გაივლის ოცი წელიწადი, ძალაუფლება ჩვენი თაობის ხელში აღმოჩნდება და ჩვენ, ჩვენი თაობა დააფუძნებს გალაკტიონოლოგიას... ნუ სწუხართ თქვენ მაგას!

გაიხარა, ფრთა გაშალა, გაიფოფრა და გადიდდა:

— აგაშენა ღმერთმა! სწორი ხარ, ძამიკო! რა მნიშვნელობა აქვს ათსა თუ ოც წელიწადს! მთავარია, ოციდან ოცდაერთში მოადინოს სხეპა ისარმა — ოცდამეერთე საუკუნეში... — წამით შეჩერდა, ჩაიცინა და უცბად მეკითხება:

— თუ გახსოვს ჩემი „შოვიდან ისარმა სხეპა მოადგინა, მტერს და მოღალატეს ბოლი აადინა"... რაზეა ეგ, თუ იცი დაწერილი? აპა, თუ მიხვდები?! „ნიკორწმინდაზე", ძამიკო, „ნიკორწმინდაზე"... „ნიკორწმინდა" რომ დავწერე შოვში, ისარი იყო ზოგისთვის და იმან მოადინა სხეპა თბილისში... შენმა გლოლელებმა მასწავლეს, ძამიკო, მშვენიერი რაჭული გამოთქმაა ეგ „სხეპა მოადინა"...

ამასობაში კორიდორმა ჩვენი ბინებისაკენ გაუხვია, სართულის მორიგესთან გალაკტიონმა ვიღაც ორი ადამიანი შენიშნა და აღტაცებულმა იყვირა:

— ა, ბატონო, პირველი გალაკტიონოლოგი! არც მთლად მასეა ძამიკო, საქმე, დღესაც გვყავს გალაკტიონოლოგები!

მკლავში მკლავი გამომდო და ამაჩქარა. ეჭვგარეშე იყო, რაღაც ჩაიფიქრა. ჩვენგან ასე, ოციოდე მეტრზე, „კოვერკოტის" ორი ნაცრისფერი „მაკინტოში" მოჩანდა. აქეთ იქით, „მაკინტოშების" გვერდით იატაკზე ორი ჩემოდანი იდგა. რომლები არიან, ჯერ ვერ ვხვდები, ოღონდ ჩვენი დეკადის ხალხი როა, სადავო არ არის, თანაც ერთ-ერთი მანდილოსანი უნდა იყოს. მორიგე დიასახლისთან წვრილ-წვრილ ხარჯებს ასწორებენ, დეკადა დამთავრებულია და შინ მიემგზავრებიან.

მივუახლოვდით, მივუახლოვდით, წავეპარეთ ორ-სამ ნაბიჯზე ცოლქმარს, ჩაუხველა გალაკტიონმა ხმამაღლა, შემობრუნდა ჭმუხა, ულვაშიანი ბერიკაცი და — სანდრო შანშიაშვილი ყოფილა... შემიშვა ხელი სასწრაფოდ გალაკტიონმა, წაიწია სანდროსკენ, სტაცა ხელი სიყვარულით ნიკაპქვეშ ამოუსვა შეჭაგრულ ყიყაპოში და ეუბნება:

— ჩვენებიანთ სანდრუა! როგორ გიკითხო, ძმაო სანდრო?!

შეირხა ბატონი სანდრო, ცოტა არ იყოს, უხერხულად. ფეხი მოინაცვლა. სახტად არის დარჩენილი. ხმას ვერ იღებს მოულოდნელი აქციისაგან გაშტერებული... მერე რას მეტყვის, მარტო რომ გშმომიჭერს, საიდან მეცოდინება, ახლა კი მოწმე ვარ, ჩემი თანდასწრებით დიალოგი ასეთ სახეს იღებს:

— ჰო, როგორ გიკითხო, ძმაო სანდრო, ხომ კარგად? — ჩაეკითხა გალაკტიონი.

— ძალიანაც მშვენივრად! — ყოყმანით ამოღერღა ბატონმა სანდრომ.

— ძმაო სანდრო, აგერ, ამ კაცმაც იცოდეს, ხომ დაწერე შენ მშვენიერი წერილი გალაკტიონზე?! გახსოვს, ხომ?!

— დავწერე, მაშა! როგორ არ მახსოვს?!

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი!—პირველად ვნახე, რომ სიტყვას ეძებს გალაკტიონი, — ხომ ხარ იმ აზრზე, ძმაო სანდრო. დღესაც იმ აზრზე?!

— ვარ, მაშა! არა, გალაკტიონი რო ნაღდი პოეტი ხარ, ეგ ხომ მეც მითქვამს, მაგრამ... ვარ, ჰო, ეხლაც იმ აზრზე ვარ, მაშა!

— ჩვე-ნე-ბი-ანთ სან-დრუ-ა!— დაუმარცვლა გალაკტიონმა, — აპა შენ იცი, იყავი, ძამიკო, იმ აზრზე! —, ერთხელაც ამოუსვა ხელი ყიყაპოში, მტაცა ხელი და ცოლქმარს გამარიდა...

მეტისმეტად უხერხულ სიტუაციაში ჩავარდნილმა, რა ვქნა ახლა მე?! ერთ ხანს გალაკტიონის ნომერში შევიცადე, გარეთ გამოსვლა აღარ მინდოდა, რადგან მორიგე ქალის მაგიდა პირდაპირ გალაკტიონის კართან იდგა, შანშიაშვილებს გვერდს ვერ ავუვლიდი ვითრიე ფეხი, მაგრამ მეც ჩასაბარგებელი ვიყავი და იქ ხომ არ დავრჩებოდი! ავიღე მაგიდიდან ჩემთვის ნაჩუქარი პორტრეტები, გავაღე კარი და კედელ-კედელ მივიპარები...

— შენა, ბიჭო, მურმანო! მოდი აქა!

რა მეტი გზა მქონდა, მივბრუნდი, წინ დავუდექი და ავიწურე...

— შენა, ბიჭო, მაგას ნუ აჰყოლილხარ! ლოთია ეგა და აფრაკი!

— და ხმას აუწია: — მერე კიდევ — მხეცია და ნადირი!..

— ბატონო სანდრო, —ვეუბნები დაბნეული და აფორიაქებული, — მე თქვენ პატივსა გცემთ და მაგას ნუ იკადრებთ! კარგის მეტი არაფერი უთქვამს თქვენზე. გაუხარდა თქვენი დანახვა, ვერაფერი გამიგია, რაზე შელაპარაკდით...

— არა, რაო, მაინც რა კარგებისა ამიტყდაო?! — დაინტერესდა ბატონი სანდრო.

— რაო და, წერილი დაგიწერიათ გალაკტიონზე, კმაყოფილი იყო, პირველი გალაკტიონოლოგიო, თქვენზე თქვა...

— რაო, რაო?! გალაკტიონოლოგიო?! ეგღა აკლია სანდროსა! დამიწერია რა, ტყავი კი არ გამიძვრია მაგისთვინა?! არ წაგიკითხავს ჩემი წერილი მაგაზედა?! აი, როდის იყო თქვენში ყრილობა, ახალგაზრდების? ორმოცდარვაში, არა? ლექსებს რომ ჰკითხულობდით, მე რო ჩემი ტომეულები მოვიტანე და, ვინც მამეწონეთ, დაგირიგეთ... სწორედ მაშინ, „ლიტერატურა და ხელოვნებაშიდა"... თუ არ წაგიკითხავს, ეხლა წაიკითხე... შენ კიდევ მაგას უჭერ მხარსა... არა, კაცო, ცუდი პოეტია-მეთქი, ამას როგორ ვიტყვი, ოღონდ წყალ-წყალაც ბევრი წაგვიკითხავს მაგისა...

თბილისში დაბრუნებისთანავე მოვიძიე „ლიტერატურა და ხელოვნების" საჭირო კომპლექტი, წავიკითხე ბატონ სანდროს ვრცელი წერილი გალაკტიონის წინააღმდეგ. ეს იყო პოეტის გაბიაბრუების ერთ-ერთი უხერხული, წარუმატებელი ცდა.

## ეპილოგი

მაისის ბოლოს ვერის ხიდთან შევხვდით, გამიჩერა და სიცილით მეუბნება: „წავაგეთ, ძამიკო, დეკადა, მარა... მაინც კარგი იყო, ხომ?!" — ეგ „მაინც კარგი" უთუოდ მის მახვილგონივრულ გამოხდომებზე და მოსკოვში ჩვენს დაახლოვებაზე იყო ნათქვამი, თან, ქვეცნობიერად, იმასაც გულისხმობდა, რომ ის დაახლოვება ჩემთვის იყო კარგი. უმალ მივუხვდი და: მაინც კი არა, ძალიან კარგი იყო-მეთქი, — სიცილითვე მივუგე.

გაზაფხულმა ჩაიარა, ზაფხულმა ჩაიარა, თბილისში შემოდგომა გაბატონდა და დეკადა დავიწყებას მიეცა. ნოემბრის ბოლო იქნებოდა, ალბათ, გაზაფხულს აქეთ აღარ მენახა და უცბად... ცისფრად შეღებილი დარაბა, უბრალო მუშური სასადილო ჩვენი პოლიგრაფკომბინატის უკანა ეზოს პირდაპირ, უნივერმაღის მახლობლად, ყოფილ კამოს ქუჩაზე...

პატარა, ერთოთახიან სასადილოში სამი მაგიდა იდგა, ერთი თავისუფალი, რომელსაც გამომცემლობიდან აქ მოსული მე და ოთარ ჭელიძე მივუსხედით. მარჯვნივ, მეორე მაგიდაზე, ოთხი-ხუთი ახალგაზრდა ხმაურიან ქეიფს ეწეოდა, მარცხენა კუთხეში კი, მესამე მაგიდასთან, ხაზგასმული განმარტოებით ,ზურგშექცევით ზის გალაკტიონი, პორტფელი მაგიდაზე უდევს, თავი ჩაუღია, ბეჭებს იქით თეფშს ვერ ვხედავთ, ერთი შავი ბოთლიკა კი მაინც მოჩანს...

პორტფელთან ერთად, ხალხთან ეს ზურგშექცევით ჯდომა იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გალაკტიონი საქმეებით არის დაკავებული, სასადილოდ არის შემოსული და სათრობად არა სცალია. „რა ვქნათო?" — ხმადაბლა მეკითხება ოთარი. „სადილობა ვაცადოთ და მერე ვცადოთ-მეთქი" — ხმადაბლავე ვეუბნები.

თითო შავი ბოთლიკა ჩვენც დავიდგით „ბულღამას" შევექცევით და გალაკტიონის ფეხზე ადგომას ვუდარაჯებთ. შავი-მეთქი, ბოთლზე იმიტომ ვამბობ, რომ საფერავს გეახლებით, სხვა რაფერი აქვს დახლიდარს, სამაგიეროდ, თუ გალაკტიონი მართლა „გამოვიჭირეთ" მწვადს გვპირდება, — დახლიდარიც ეგ არის და ოფიციანტიც... ანგარიშს უსწორებს გალაკტიონი, წამოდგა, პორტფელს დასწვდა და, წასასვლელად რომ შემობრუნდა, ჩვენც ფეხზე ამდგრები დავუხვდით...

— თუ შეიძლება, გთხოვთ, ბატონო გალაკტიონ! — სიტყვები კარგად არ მახსოვს, რაღაც ამისმაგვარი.

— ოჰ! თქვენ ხართ?! ვერ დავლევ. მაგრამ... სიამოვნებით, ძამიკო, სიამოვნებით! — ყასიდად არ შეუთცებია, ახლაღა დაგვინახა ნამდვილად. მესამე სკამზე თვითონ ჩამოჯდა, მეოთხეზე პორტფელი ჩამოდგა ისე, ცოტა ხნით რომ შეუყოვნდება კაცი სხვის სუფრასთან, წასვლას რომ აპირებს...

დავფაცურდით. მოვითხოვეთ სამი ბოთლი, მწვადიც შემოგვესწრო და ამას სამი ბოთლი კიდევ მოვაყოლეთ. პირველ სადღეგრძელოზე რას ვიტყოდით?! ვუთხარით კაი-კაი სიტყვები, გაეხსნა გული და იმანაც გვითხრა. ახლა სრულ უაზრობად მეჩვენება იმის აღდგენის ცდა, რაც იმ დღეს იქ ითქვა. იმ სიტყვებს მე ვერ გავიხსენებ და კიდევაც რომ გავიხსენო, არ დავწერ, რადგან შეუხებელი, შეულამაზებელი დაემსგავსება... [illegible] მოკლედ ვთქვა, რომ ხულში ჩავუძვერით და ხულში ჩავიძვრინეთ კაცი, რის გამოც ცაში ვფრინავდით...

შევზარხოშდით გვარიანად და სუფრის მომთავრების დრომაც მოაღწია. ამასობაში დახლიდარმა იმ მეზობელი სუფრიდან გამოგზავნილი, არაფრად საჭირო, სრულიად ზედმეტი ექვსი ბოთლი მოარიხინა და სამადლობელი ჰქით ოთარ ჭელიძე ეახლა მეზობლებს. გალაკტიონი მე შემომაცქერდა:— წასვლის დროა, ხომ?! — მითხრა ეშმაკური ღიმილით.

სულ ცოტა, სამ საათს მაინც გაგრძელებულიყო ჩვენი სერობა, რადგან დღის ბოლო იყო, გალაკტიონი ხომ ხელთ ვიგდეთ, ახლა გვარიანად შებნელებულიყო. ჩვენ ფრთხილად, თითისწვერებზე გამოვედით დუქნიდან და ოთარ ჭელიძე, ღალატით, ხმაურიან სუფრას შევატოვეთ...

მარცხნივ — ჩაბნელებული კამოს ქუჩა, მარჯვნივ — უნივერმაღის განათებული ფასადი და მარჯანიშვილის თეატრისკენ გასასვლელი... აქვე, თეატრთან ცხოვრობს გალაკტიონი.. შორი გზა არ გვქონდა სავალი, სახლამდე მივაცილე.

სადარბაზოში ბნელოდა.

გარეთ, ნათურისქვეშ შევჩერდით, გასაღები გარეთვე მოიჩხრიკა ჯიბეში.

ყოჩაღად იყო, ოღონდ მძლავრი მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, ნასვამზე სუნთქვა აჩქარებული ჰქონდა.

— მნახე, ძამიკო, მნახე! — ამ სიტყვებით დამემშვიდობა.

გულდასაწყვეტი, გულსატკენი სიტყვებია ეს სამი სიტყვა ჩემთვის:

„მნახე, ძამიკო, მნახე!"

სავსებით ყოფაცხოვრებითსა და არასენტიმენტურ სიტუაციაში წარმოთქმული ეს სიტყვები, გმირული თვითმკვლელობის შემდეგ, საოცარ ფიგურალურ მნიშვნელობას იძენენ ჩემს შემეცნებაში და საყვედურად ჟღერენ...

„მნახე, ძამიკო, მნახე!"

მერედა, ვნახე მე?! ნახეთ თქვენ?! ნახა სხვამ?!

შემეძლო მენახა მეორე დღესვე! მენახა მესამე დღესაც! მენახა ყოველდღე! ის ხომ უცთომელი გუმანით სცნობდა მტერსა თუ მოყვარეს! ვნახეთ, ბატონო, ოღონდ ოთხი თვის შემდეგ — ჯერ ტახტზე და მერე... მუხის კუბოში მწოლიარე...

ანდა კიდევ... ეს ჩემი ოცდაათი ლექსი! არა ვართ ჩვენ კი ხალხი! არის კი რომელიმე მათგანი სიცოცხლეშივე მიძღვნილი?! მოსცხებია კი რომელიმე მათგანი დაშანთულ გულს პოეტისას? „აქ პოეტს — ფარაონს გაუწყვეს ფანჩატური, — ჰრილობა გაუგრილეს რკინით დაშანთული", — ვწერ მე ამას ლამის ოცი წლის შემდეგ. დაღუპვიდან მხოლოდ ათი წლის თავზე, 1968 წელს ჩავედი მე ჭყვიშში ვასილ ტაბიძის კერიის ჯავის სანახავად, გალაკტიონის გარემოსა და საგვარეულში საცხოვრებლად, ორპირის ფშანზე ნეფის ჭალაში გასასვლელად და პატარა წიგნის წამოსაწყებად...

შენ ხარ მიწა! შენ ხარ ახლა<br>
მარილი!<br>
ხარ ბალახი! არ ბალაზე<br>
მტვერი!..<br>
მოგონებით ხდუმან<br>
შემოგარენი —<br>
ყურში მესმის ლაპარაკი შენი!

მამაჩემის, სილოვან ფირანის ძე ლებანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ამ სტრიქონებით ვამთავრებ მოგონებას დიდ მასწავლებელზე.

აგვისტო, 1990.

# გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მთავარ რედაქტორს

ბატონო ელიზბარ! გვინდა შევაწუხოთ და თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ პიროვნებას, საზოგადოების ყველა იმ წევრს, რომელმაც ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ თქვენი განუყოფელი ნაწილი, თქვენი სისხლი და ხორცი ვართ. განსაკუთრებით კი, ეს 28 ოქტომბერს და 11 ნოემბერს შევიგრძენით. დროებით ხმის უფლებაჩამორთმეულებმა ჩვენი ხმაც შევუერთეთ ერის ხმას — იმ მრავალპარტიულ არჩევნებში, რომელიც საქართველოში პირველად ჩატარდა, ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც შუამდგომლობა აღგვიძრა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე:

უპირველესად უწმინდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II და მოძღვრებს — ზურაბ ანთაძეს და ტარიელ სიკინჭილაშვილს, ვისი ლოცვა-კურთხევითაც დავიბრუნეთ რწმენა და მომავლის იმედი.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორს ბატონ მამია დარჩიას, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება პატიმარ ქალებს და მათი ბედი მთელი საზოგადოების მსჯელობის საგნად აქცია.

დიდია ბატონ მერაბ კოსტავას წვლილი ჩვენ! განთავისუფლებაში და რაოდენ სამწუხაროა, რომ ვერ მოესწრო ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებას.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ უდროოდ გარდაცვლილი მეგობრისა და თანამებრძოლის ყველა დაწყებულ საქმესთან ერთად, ჩვენს პრობლემასაც მიაქცია ყურადღება და არა ერთ ინსტანციაში მოუხდა მისი დაცვა.

აღსანიშნავია ბატონ აკაკი ბაქრაძის თანადგომა, რომელმაც პირველმა აღიმაღლა ხმა, რომ ქართველი პატიმრები არ გაეყვანათ საქართველოს ფარგლებს გარეთ, რადგან ეს მეორე სასჯელი იქნებოდა მათთვის.

დიდი მადლობა რესპუბლიკის ქალთა საბჭოს და სახალხო ფრონტის ყველა წევრს.

მადლობა, ბატონო რედაქტორო, პირადად თქვენ, თქვენს კოლექტივს და განსაკუთრებით კორესპონდენტს ნანა დავითაშვილს წერილებისათვის, რომლებიც თქვენი გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდებოდა. მათი მეშვეობით შევძელით მოგვეპოვებინა თქვენი მრავალათასიანი მკითხველის მხარდაჭერა, სიმპათია და სინანული. თქვენ აჩუქეთ ჩვენს შვილებს, დედებს, მეუღლეებს, ახლობლებს ჩვენი თავი.

დიდი მადლობა კოლონიის ყოფილ უფროსს — გოგი ქებურიას ამ სასიკეთო საქმის ხელშეწყობისათვის; ახლანდელ უფროსს — გიორგი ლვინაძეს, მის მოადგილეს მზია გელბახიანს, ოფიცერს — ცისანა ბაბუციძეს შუამდგომლობისათვის.

ახლა ჯერი ჩვენზეა.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ყოფილი პატიმარი ქალები.

# შეხვედრა გიმრის უღელტეხილზე

(დასასრული)

ლება არ მიექცია უბადრუკი ადამიანების თვალთმაქცური მუქარისათვის და საჩქაროდ მოსულიყო მასთან შურაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიმსახურებდა გულისწყრომას, რისგანაც ვერ დაიფარავდნენ მისი მურიდები.

ამ ბარათზე შამილმა კიდევ უფრო მოკლედ გასცა პასუხი კლუგენაუს. წერილი მომცრო ფურცელს შეადგენდა. იმამი კატეგორიული ტონით ატყობინებდა კლუგენაუს:

„ამ ბარათის დამწერის, უფლის მონის შამუილისაგან, რომელიც ყველა თავის ძრახვას ალაჰის ნებას ანდობს, გაცნობებ, რომ მე საბოლოოდ გადავწყვიტე არ გავემგზავრო თბილისში, მაშინაც კი, თუ ნაჭერ-ნაჭერ ამკუწავენ, რადგან ხშირად ვყოფილვარ მოწმე რუსების მხრივ არაერთგზისი ღალატისა. იმამი შამუილ“.

ამგვარად, შამილსა და ფრანც კარლის ძე კლუკი ფონ-კლუგენაუს შორის დაწყებული მოლაპარაკება თბილისში გამგზავრებაზე — უშედეგოდ დამთავრდა.

როცა თბილისში როზენს აცნობეს კახპიის მხარეთა გამგებლისა, სარდლისა და ჩინებული დიპლომატის კლუგენაუს უშედეგო ღონისძიებათა გამო, მას ლამის თავზარი დაეცა, როზენი ვრცელი რელაციით წარუდგა ნიკოლოზ პირველს. მაგრამ იმპერატორმა ბოლომდე არც კი წაიკითხა იგი როზენს და დასკვნა მოსთხოვა. იმპერატორმა ხმის გაუღებლად მოისმინა როზენის ცნობა. მერმე ზურგს უკან მდგომ ჩერნიშევს მიუბრუნდა და მისგან მოელოდა პასუხს. საქციელწამხდარი მინისტრი რაღაცის წარმოთქმას აპირებდა და ჩვეულებრივ დაიწყო:

— Sir!..

მაგრამ იმპერატორმა სიტყვა გააწყვეტინა და იხლა იკითხა — პეტერბურგში გასამგზავრებლად კარეტებისათვის ხომ კარგი ჯიშის ცხენები შეარჩიეთ.

...

თბილისიდან იმპერატორის გამგზავრების შემდეგ, იმავე წლის ნოემბერში როზენის ნაცვლად ნიკოლოზ პირველმა კავკასიის ჯარების სარდლად და სამოქალაქო საქმეთა გამგებლად დანიშნა ინფანტერიის გენერალი ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი, რომელსაც არაფრით უსახელებია თავი, ვითარცა სარდალს ან სამოქალაქო საქმეთა მმართველს.

კავკასიის სისხლიანი ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

ბიბლიოთეკა





# რადიო-პრესით

**პარიზი.** წმინდა ნინოს ქართული ეკლესია ულოცავს ბატონ ზვიად გამსახურდიას საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობას და სასოებით მოელის საქართველოს სრულ თავისუფლებას.

რადიო „თავისუფლება“ მიესალმება და ულოცავს ბატონ ზვიად გამსახურდიას საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევას.

**პარიზი.** ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოება.

1990 წლის 18 ნოემბერს გაიმართა ზეიმი მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისადმი. აქ თავი მოიყარეს პარიზში მცხოვრებმა ქართველებმა, სტუმრად მყოფმა თანამემამულეებმა, მწერლებმა, მეცნიერებმა, ჟურნალისტებმა. ეს იყო მეტად გულთბილი, საოცარი საღამო. სიტყვით გამოვიდა ბ-ნი ბერნარ უტიე, ბ-ნი გიორგი წერეთელი... ბ-ნმა ოთარ პატარიძემ ჩონგურზე დაამღერა აკაკის სიმღერები. საღამოს ბოლოს ბატონმა რამაზ პაპუაშვილმა საზოგადოებას გააცნო ახლახან მიღებული ცნობები საქართველოდან და: მიმართვა მსოფლიოს საზოგადოებრიობისადმი, მიმართვა პარიზის კონფერენციისადმი, რაც ჰელსინკის გაგრძელებაა და — მიმართვა პრესისადმი.

პარიზის ქარტია „ახალი ევროპისთვის“: ნებისმიერ პიროვნებას აქვს აზროვნების, სინდისისა და რელიგიური მრწამსის გამოთქმის უფლება. პარიზის ქარტიას, რომელიც დახვეწილი დოკუმენტია, არა აქვს კანონის ძალა, მაგრამ მას აქვს დიდი მორალური ძალა. მისი მთავარი თემაა ადამიანის უფლებების თემა. ადამიანის უფლებებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ეროვნებებისა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხი.

ვაშინგტონელი პოლიტოლოგი რობერტ ბოეზა: 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, როცა თბილისში ხალხს მიუსიეს ჯარისკაცები ალესილი სასანგრე ბარებითა და მომწამვლელი გაზით, საქართველოში უფრო გაძლიერდა ეროვნული ბრძოლა. სამხედრო ძალის გამოყენებამ ბაქოშიც არ „გაამართლა“. პირიქით, ზიზღი გამოიწვია. ამის შემდეგ გორბაჩოვი შეეცადა პრეზიდენტის უფლებების გაძლიერებას. ეროვნული საკითხების სპეციალისტთა აზრით, პრეზიდენტი შესაძლოა ერთ ხანს დათმობებზეც წავიდეს.

დღეს ყველაზე მეტი შანსი სსრკ-დან გასვლისა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს აქვთ. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, სკანდინავიის ქვეყნებთან მეზობლობა, დასავლეთში ზღვით გასვლის პერსპექტივა, ფინეთთან ვაჭრობის შესაძლებლობა... მათ შეუძლიათ ნეიტრალური ქვეყნები გახდნენ. ოღონდ, შეძლებს კი საბოლოოდ გამოეყოს ლიტვა, ლატვია და ესტონეთი სსრკ-ს? პრინციპში შესაძლებელია, მაგრამ ეს მათ დაჟინებით მოთხოვნაზეა დამოკიდებული და იმაზეც, რომ არჩეულ გზაზე დგომისას წუთითაც არ დაავიწყდეთ თავიანთი რესპუბლიკების კეთილდღეობაზე ზრუნვა.

პ. ფლორენსკი 1943 წელს კი არ გარდაიცვალა, როგორც გამოაცხადეს (ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკებში გაუარესდა პირობები და იქ გარდაიცვალაო), არამედ 1937 წლის 8 დეკემბერს; ის უკვე ცოცხალი აღარ იყო, როცა მისი „მარადი გამყინვარება“ გამოქვეყნდა. ამაზე ახლა გაიცა ოფიციალური ცნობა. ფლორენსკის შრომების მიხედვით („ღმერთის აღიარება“ — პირველი ეტაპი, და შემდეგ — „ადამიანის არსებობის გამართლება“) მისი შემოქმედების ორ ძირითად მიმართულებაზე შეიძლება ლაპარაკი. ახლა დიდია ინტერესი რელიგიური ფილოსოფიის მიმართ. ვისაც მართლა შეეძლო სწავლება, აღარ არიან, იმათგან კი, ვინც არიან, ყველას არ შეუძლია გვასწავლოს, ხელახლა სწავლისთვის ახლა წიგნებით და, კიდევ ის, რომ ახლა ბევრი ხალხი დადის ეკლესიაში. ბევრია კამათიც. კამათში ჭეშმარიტება იბადებაო, — არ არის მართალი, კამათში მხოლოდ სიძულვილი იბადება. ორივე მხარე ცდილობს დაამტკიცოს, რომ თვითონ, თავისი შეხედულებაა მთავარი. საუბარი კი სხვა რამ არის, საუბარში მოქმედებს არა გათიშვის, არამედ შეერთების პრინციპი (ინტერვიუდან პ. ფლორენსკის შვილიშვილთან).

„ეპილოგი. სალმან რაშდი და სხვები“. სალმან რაშდი: ერთი წელი გავიდა იმის მერე, რაც ჩემს რომანს ვიცავ. იმედი მქონდა, სხვები ილაპარაკებდნენ ჩემს მაგივრად. ბევრი მართლა მხარში ამომიდგა. მათ შორის მუსულმანებიც — ჩემს სიტყვებს ხომ მუსულმანთა დასაცინად იყენებენ. სკანდალის ცენტრში იყო რომანი, მხატვრული ნაწარმოები, „შაითანური სურები“ — იგი შეთქმულებად მიიჩნიეს. პირდაპირ უნდა ვთქვა — „მარტო რომანად“ არ ჩამიფიქრებია „სურები“, საერთოდ არ მიმაჩნია, რომ რომანი ცარიელი რამაა — იგი რადიკალური ფორმაა ენისა და იდეის მხრივაც. ჩემს ლიტერატურულ შემოქმედებაში ეს რომანი ემიგრანტის თვალით დანახული სამყაროა. უპირველესი ეს გახლავთ: ემიგრანტის მდგომარეობა და ამ მხრივ რაღაც საერთო მთელი კაცობრიობისთვის. აქ ერთმანეთს ერწყმის ორი ახალი კულტურა, სიმღერების, ხელოვნების, კინოფილმების... შერწყმით. მე ჰიბრიდი ვარ, თვითონაც აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ვარ (ინდოეთი და ინგლისი) და ორ კულტურას ვეკუთვნი. ეს ისეთი წიგნი არ არის, როგორადაც მიიჩნიეს. ძველთაგანვე იყო კამათი წმინდასა და არაწმინდაზე, სასაცილოსა და სერიოზულზე, სკანდალურსა და ეთიკურზე... რეალური ღირებულება წიგნისა ის არის, რომ წარმოაჩენს, თუ რა გზით მთლიანდება ადამიანი — ღვთის სიყვარულითა თუ მოყვასის სიყვარულით. ჩემი გამოცდილებით ვიცი, რომ აღმოსავლეთშიც ისევე სურთ ადამიანის თავისუფლება, როგორც დასავლეთში. დიდმა თავისუფლებამ გადაუარა ტალღასავით მთელ მსოფლიოს. თავისუფლების უფლება უნდა მოიპოვო, თუ გინდა, რომ თავისუფალი იყო. რა არის თავისუფლება? გამოხატვა. ენას თუ წაართმევ — თავისუფლება კვდება. რომანში შოკისმომგვრელი ადგილებიც არის, მაგრამ, როცა ამბობენ: რაშდიმ ჰომოსექსუალისტად დახატაო მუჰამედი, რაშდიმ მისი ცოლები მეძავებად გამოიყვანაო, რაშდის მიხედვით ყურანი ეშმაკეული თხზულებააო, — არ არის მართალი. შეძრწუნებული ვამჩნევ, რომ ამას იმეორებენ და იმეორებენ. რატომ ლაპარაკობენ რომანზე, რომელიც არ წაუკითხავთ. ხალხი არ ფიქრობს ხელოვნებაზე, ხელოვნებასთან მას საქმე არა აქვს. აქ გაურებაზეა ლაპარაკი — აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა, ბომბეისა და ლონდონს შუა წყდომაზე. ისლამის გაკიცხვა კი არ იყო რომანის თემა, არამედ კრიზისის მომენტში ადამიანის სულის მდგომარეობა. სამხრეთ აფრიკაში მუსულმანთა და არამუსულმანთა შორის შუღლის გაღვივებისთვისაც გამოიყენეს ეს რომანი. ბრიტანული რასიზმი ჩემი რომანის წყალობით არ არსებობს. ზუსტად ფანატიკოსებად წარმოაჩენდნენ მუსულმანებს რომანის მიხედვით — ინდოეთის, თურქეთის, პაკისტანის მუსულმანებს. ნუ თხოულობთ, რომ მწერალმა შექმნას წმინდა ნაწარმოები. ეს ერთი ვარიანტია სამყაროსი და თუ არ მოგწონთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ მას.

...სსრკ მხოლოდ მეტამორფოზას განიცდის. მართალია კპ ირღვევა, მაგრამ ძალაშია მისი მეორე დასაყრდენი — წითელი არმია. დამოუკიდებლობის გამოცხადება მართლა დამოუკიდებლობას არ ნიშნავს (მაგრამ მაინც დიდი საქმეა და ლიტვის მიმართ კრიტიკა მართებული არ იქნება). სრულ და დახვეწილ პროგრამასთან ერთად მთავარია ისიც, რომ როგორც რუსთაველი ბრძანებს, „მუშა მიწყივ მუშაკობდეს, ფალავანი ფალავნობდეს“. ყველა უნდა მონაწილეობდეს ეროვნულ ბრძოლაში და თან ყველამ აკეთოს თავისი საქმე. განგებისაგან იქ, მშობლიურ გარემოში, მამულიშვილებს მისჯილი აქვთ ერთად ბრძოლა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმპერიის სადამსჯელო რაზმების კავკასიის შტაბი თბილისშია, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდანაც კი საბჭოთა არმია ჯერ არ გამოსულა. ქართველი ხალხის ერთსულოვნებას გაიგებს და მთელი მსოფლიო დაუჭერს მხარს (ზ. ლაშქარაშვილის მიმოხილვიდან გიორგი წერეთლის წერილისა — „ნათელი“. ჟურნალი „გუშაგი“).

სსრკ-ში ყოველწლიურად იღუპება 4000-მდე ჯარისკაცი. ამას წინათ ერთზე, მაგალითად, თქვეს, მოწამვლით დაიღუპაო. არადა, სათბურში რვა კაცმა მოკლა თურმე. ერთ-ერთი მიზეზი ამდენი მსხვერპლისა ავარიულობაც არის — წყალქვეშა ნავებზე, ფლოტში...

თურქეთი მომხრეა სპარსეთის ყურეში შექმნილი კრიზისის მშვიდობიანი გადაჭრისა, მაგრამ, ამასთან, ომის დაწყების შემთხვევაში, უარს არ იტყვის საომარ მოქმედებაზე.

— თუ რადიკალურად არ შეიცვლება მთელი სისტემა, არავითარი იმედი არ არის. ახალგაზრდობის ჯანმრთელობა ისეა შერყეული, მათ ჯარშიც არ შეუძლიათ სამსახური (ინტერვიუდან მ. ჩერკასოვასთან. ბიოლოგი, მწვანეთა პარტია).

ჟურნალი „რ. ს.“ სტატია — „ქალები და გორბაჩოვი“. ...700 000 მოსკოველი ქალი მარტო ცხოვრობს. 1000 ქორწინებიდან 400-ზე მეტი განქორწინებაა — თითქმის ნახევარი. განქორწინებათა მაღალი პროცენტის მიზეზია ახალგაზრდა ქალების ცხოვრების მძიმე პირობები; 8 საათს მუშაობა, მერე სირბილი მაღაზიებში, რომ საჭმელი იშოვოს, ამის მერე სახლში აქვს კიდევ საქმე მისახედი. მას სიყვარულისთვის აღარ სცალია. თუ კარგად არ არის და სამსახურში ვერ მივიდა, მთავარია ცნობა მიიტანოს, სახელმწიფოს მისი ჯანმრთელობა არ აინტერესებს, სახელმწიფოს აინტერესებს ცნობა. 364 დღე მძიმე და უსიხარულო ყოფა და სამაგიეროდ — ერთი დღის — 8 მარტის „ქალთა დღედ“ გამოცხადება...

**„თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ რადიოგადაცემებიდან.**

**საქართველოს მწერალთა კავშირი, მწერალთა კავშირის გორის განყოფილება, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაუგრძნობენ მწერალ ალექსანდრე ტაბატაძეს დედის**

**რებეკა ჭილაძე-ტაბატაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ქართული განყოფილება, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ ალმანახ „რიწას“ მთავარ რედაქტორს, მწერალ გურამ ოდიშარიას მამის**

**ნიკოლოზ ოდიშარიას**

**გარდაცვალების გამო.**

გაზეთი დაკაბადონდა 28 ნოემბერს.

მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე,

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი მამუკა წიკლაური.



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65. 95-36-68.

რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით